

გიორგი პალიაძე



ქართველები

XVI-XVIII საუკუნეების
ილოცვა

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის
აზისა და აფრიკის ინსტიტუტი



აზისა და აფრიკის
ინსტიტუტი
INSTITUTE OF
ASIA AND AFRICA

გიორგი კაციტაძე

ქართველები XVI-XVIII საუკანეების
იჩანგი

თბილისი
2024



ნაშრომი გამოცემულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მსარდაჭერით [გრანტის ნომერი SP-23-568]. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს. This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [Grant # SP-23-568] The opinions presented in this book are the author's own ideas and may not necessarily reflect the official stance of the Shota Rustaveli Foundation.

რედაქტორი: თინათინ ქაროსანიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ტექნიკური რედაქტორი: საბა ტაველიშვილი

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი

წიგნში წარმოდგენილი ფოტოები ეკუთვნის გიორგი კაციტაძეს.
წიგნში ჩართული ხელნაწერების ავტორია დავით კაციტაძე.
ხელნაწერები დაცულია მისავე პირად არქივში.

© გიორგი კაციტაძე, 2024

გამომცემლობა „ნეკერი“, 2024

ISBN: 978-9941-501-70-8

ავტორის წინასიტყვაობა

ამ ნაშრომის შექმნის იდეა მამაჩემის, დევი კაციტაძის, „არქივის“ ქართველი გამიჩნდა. წავაწყდი მასალას ქართველების როლზე სეფიანთა ირანში. ამ თემაზე დევი აქტიურად მუშაობდა, ნაშრომის გამოცემასაც აპირებდა, მაგრამ არ დასცალდა. 2023 წელს 95 წელი შეუსრულდებოდა მამას და გადავწყვიტე არსებული მასალა დამემუშავებინა და ნაშრომად გამომეცა. აქ კი რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტმა, რომ იტყვიან, სულზე მომისწრო.

ნაშრომი ასახავს ქართველების როლს ირანის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ნაშრომი განკუთვნილია, პირველ რიგში, აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსებისათვის, სტუდენტების, მკვლევარებისა და ყველა იმ პირისათვისაც, ვინც დაინტერესებულია ჩვენი მეზობლის, დიდი კულტურის მქონე ირანის, ისტორიით. ბუნებრივია, ნაშრომი თავის წვლილს შეიტანს და დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს ისტორიის სპეციალისტებსა და ქართველობოგებს.

მიუხედავად იმისა, რომ ირანის ისტორია, ისევე როგორც მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მრავალგზის არის შესწავლილი, აღნიშნული ნაშრომი შეეცდება კონცენტრირდეს ერთ კონკრეტულ ფაქტორზე, ქართველების როლზე ირანის განვითარების ისტორიაში.

თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით იზრდება ყოველმხრივი ურთიერთობები ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან, შესაბამისად აუცილებელია, ვიცოდეთ თუ რა როლი მიუძღვის ირანის მმართველ წრეებს საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის ცვლილება-

ში, ხოლო ქართველებს კი ირანის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ნაშრომში გამოყენებული ქართული, სომხური, სპარსული, თურქული, ევროპული პირველწყაროები და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა – ვ. გაბაშვილის, კ. კუციას, ე. მამისთვალიშვილის, ვლ. ფუთურიძის, თ. ნატროშვილის, გ. ბერაძის, დ. კობიძის, მ. თოდუას, ნ. გელაშვილის, კ. ტაბატაძის, მ. სვანიძის, ლ. უორჟოლიანის, თ. ჭიჭინაძის, ი. ტაბალუას, აგრეთვე უცხოელი ორიენტალისტების: ი. პეტრუშევსკის, ო. ეფენდიევის, ა. ალენის, დ. ლენგის, ლ. ლოკარტის, ვ. მინორსკის, ნასროლა ფალსაფის, საიდ ნაფისის და სხვათა გამოკვლევები.

წინამდებარე ნაშრომს ორიგინალურობის პრეტენზია არა აქვს. მისი მიზანია, საქართველოსა და ირანის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს პოპულარულად მოუთხროს ირანში მოღვაწე თანამემამულეთა შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ ხელნაწერებზე მუშაობისას მაქსიმალურად ვეცადეთ შესაბამისი წყაროების მოძიება, რაც ზოგჯერ ვერ მოხერხდა. თუ როგორ მივაღწიეთ დასახულ მიზანს, ამის შესახებ მკითხველმა განსაჯოს.

და ბოლოს განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო თინათინ ქაროსანიძეს და საბა ტაველიშვილს, რომ არა ისინი, ამ საქმეს მე თავს ნამდვილად ვერ მოვაპამდი.

სარჩევი

შესავალი	6
თავი I. ქართველები XVI საუკუნის ირანში	8
თავი II. ქართველები XVII საუკუნის ირანში.	15
თავი III. ქართველები XVIII საუკუნის ირანში	71
დამოწმებული ლიტერატურა	97
პირთა საძიებელი	102
სურათები	109

შესავალი

საუკუნეთა მანძილზე ბედმა თუ უბედობამ მრავალი ქართველი გადასტყორცნა თავისი სამშობლოს გარეთ. ბიზანტია, ორანი, თურქეთი, სირია, ეგვიპტე, ავღანეთი, რუსეთი, საფრანგეთი და სხვ. აი, არასრული სია იმ ქვეყნებისა, სადაც ქართველები დაწინაურდნენ სამხედრო, პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ თუ კულტურულ სარბიელზე. ცნობილია ქართველ მამლუქთა დინასტიები, ქართული წარმოშობის ფაშები, ვეზი-რები, იანიჩრები, სარდლები, ბეგლარბეგები, გენერლები, პოეტები, მხატვრები და სხვ., რომელნიც აქტიურად მოღვაწეობდნენ ბიზანტიაში, ორანში, თურქეთსა თუ რუსეთში.

ამჟამად, ჩვენი მიზანია – მკითხველს მოვუთხროთ XVI-XVIII საუკუნეთა ორანში მოღვაწე ქართველთა შესახებ.

XVI საუკუნის დასაწყისიდან სეფიანთა ორანმა გაააქტიურა მოქმედება აღმოსავლეთ საქართველოს წინააღმდეგ. რბევა-აოხრებასთან ერთად, ყიზილბაშებმა აუარებელი ქართველი ტყვედ წაიყვანეს და გადაასახლეს ორანში (ცნობილია, რომ შაჰთამაზ I-მა მარტო ერთი ლაშქრობის დროს 30 000 ტყვე წაასხა ირანში; შაჰ აბას I-მა, ზოგიერთი წყაროს ცნობით, 100 000 კაცი, ზოგის ცნობით – 150 000 კაცი გადაასახლა შიდა ორანში და სხვ.). მაგრამ ქართველები ორანში მარტო დატყვევების გზით არ მოხვედრილან: XVI საუკუნის საქართველოში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ე. წ. სათავადოთა სისტემა. თავადი თავადს მტრობდა, სტაცებდა მიწებს, ყმებს; ამ შინაფეოდალურ ბრძოლაში ერთ-ერთი მხარე მარცხდებოდა. დამარცხებულს საქართველოში აღარ დაედგომებოდა და იგი თავს აფარებდა ორანს. ერთი სიტყვით, XVI საუკუნიდან საქართველოში მიმდინარე შინაფეოდალური ბრძოლის გამოც, ბევრი ქართველი აღმოჩნდა ორანში გადახვეწილი (ქართველ ფეოდალთან – თა-

ვადთან ერთად ირანს თავს აფარებდნენ მისი „მოკიდებულები“ – აზნაურები, გლეხები...).

ამრიგად, XVI საუკუნის შუახანებიდან ირანში უამრავი ქართველი ცხოვრობდა, რომელთა ნაწილიც გამუსლიმების პირობით დაწინაურდა სამხედრო, პოლიტიკურ, ადმინისტრა-ციულ სარბიელზე და ზოგიერთი მათგანი გავლენასაც კი ახ-დენდა ირანის ბედ-ილბალზე.

თავი I. ქართველები XVI საუკუნის ირანში

XVI საუკუნეში (განსაკუთრებით კი მის მეორე ნახევარში) ირანში მრავალი ქართველი აღმოჩნდა, რომელთა უმრავლესობა ტყვედ იყო წაყვანილი: მაგ., შაჰ-თამაზ I-ის ქართლში მეოთხედ შემოსევის დროს (1554 წ.) ყიზილბაშებმა ატენის ციხე აიღეს. XVI საუკუნის შესანიშნავი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში მოგვითხრობს, რომ „ლუარსაბის (ლუარსაბ I - დ. კ.) დედა მრავალ აზნაურთან ერთად ტყვედ ჩავარდა. ის ურნმუნონი საღვთო ომის ხმლით ჯოჯოხეთში გაგზავნეს. რამდენიმე სხვა ციხე და სიმაგრეც შაჰვერდი-სულთან ზიად-ოღლის მეცადინეობითა და მამაცობით იქნა დაპყრობილი დღეგრძელი სახელმწიფოს მოღვაწეთა მიერ. ამ ლაშქრობაში 30 000-ზე მეტი ტყვე ჩაუვარდა ხელში ზღვასავით მქუხარე ჯარს. მათგან ისინი, ვინც დიდებულთა, წარჩინებულთა და აზნაურთა ცოლები, ქალიშვილები და ვაჟები იყვნენ, „ხუთისთავის“ ანგარიშში შაჰის უკეთილშობილეს სარქარს მიაკუთვნეს“ (ისქანდერ მუნში, 1969:21).

ტყვედ წაყვანილი ქართველი მამაკაცები ყიზილბაშებმა გაამუსლიმეს, რის შემდეგაც ისინი სახელმწიფო სამსახურში დაწინაურდნენ.

ირანში აღმოჩნდნენ და გამუსლიმდნენ ქართველი უფლის-ნულებიც. სპარსულ წყაროებში (შერეფ-ხან ბითლისი, ბუდაყყაზვინი, ჰასან რუმლუ, ყადი მოჰამედ ყაფარი...) არის ცნობა იმის თობაზე, რომ ლევან კახთა მეფის ძე იესე ბატონიშვილი მამამისმა ირანში გააგზავნა ირან-კახეთის პოლიტიკური ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით (1558 წ.). შერეფ-ხან ბითლისის¹ ცნობით, „ზაგერელი ლევან ქართველის ვაჟი, სახე-

1 შერეფ ხან ბითლის (1543 -?) – სპარსულენოვანი ქურთი ისტორიკოსი, რომელიც 1578-88 წლებში ამიერკავკასიაში ოსმალეთის ლაშქრობებში მოხანილეობდა. მას ეკუთვნის ისტორიული თხზულება „დიდების წიგნი“, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს საქართველოს შესახებ.

ლად იესე, ისლამის სარწმუნოების მიღებით გაკეთილშობილ-და, შაჰის დივანისგან შაქის ვილაიეთის მმართველობა მიიღო და სახელად ისა-ხანი ეწოდა“; ჰასან რუმლუს ცნობაში კი ვკითხულობთ: „ამავე წელს ისა-ხანი საქართველოს მმართველის ლევანის შვილი, ისლამის მიღებით გაძედნიერდა და ქვეყნის საფარველმა შაჰმა მას წყალობის თვალით დაუწყო ცქერა“ (ჰასან რუმლუ, 1966:35).

იესე ბატონიშვილი ადრეც ყოფილა ირანში (1554 წ.), ახლა კი – 1560 წელს იგი გამუსლიმებულა და განდიდებულა. შერეფ-ხან ბითლისის ცნობით, შაჰი მას „შვილობით უხმობდა და დიდ ჯამაგირსაც აძლევდა: „შაქის ვილაიეთიდან, (ირანის) სხვა მხარეებიდან და ხელმწიფის ხაზინიდან ყოველწლიურად შვიდი ათასი თუმნის სარჩო ეძლეოდა თანხისა და სურსათის სახით“ (შერეფ ხან ბითლისი, ტომი II, 1562-1563 წწ.).

როგორც ვხედავთ, ისა-ხანი (იესე ლევან კახთა მეფის ძე) ირანში დიდ პატივშია, მაგრამ, საფიქრებელია, იგი მაინც ქართველ კაცად რჩებოდა: 1562 წელს მას ყაზვინიდან საქართველოში გაქცევა განუზრახავს. ალათაყ ჩერქეზს იგი შაჰთან დაუბეზლებია. შაჰ თამაზ I-მა იესე ბატონიშვილი ალამუთის ციხეში დაამწყვდია. სპარსული წყაროები ყურადღებას აქცევენ იესე ბატონიშვილის გაქცევის მცდელობას. მათი აზრით, იესე ბატონიშვილი ქართველ აზნაურებს გაუპრიყვებიათ. შერეფ-ხან ბითლისის ცნობით, იესე ბატონიშვილის ამგვარი საქციელი „ქართველი აზნაურების ბილნი შეგონებით“ უნდა აისწნას (შერეფ ხან ბითლისი, ტომი II, 1562-1563 წწ.); ყადი მოჰამედ ყაფარის „ნოსახე ჯაჰან არაში“ ნათქვამია: „ისა-ხანი შეაცდინეს და კვლავ ქრისტეს რჯულზე გადაიბირეს აზნაურებმა, რომლებიც მიჩვეული იყვნენ ღვინის სმასა და ლორის ხორცის ჭამას“.

კიდევ უფრო საინტერესოა ბუდაყ ყაზვინის ცნობა: ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ 1560 წელს იესე ბატონიშვილმა მამას (ლევან კახთა მეფეს) უდალატა, განუდგა, შაჰ-თამაზ I-თან

მივიდა და გამუსლიმდა. შემდეგ: ისტორიკოსის ცნობით, იქსე ბატონიშვილის გამუსლიმება მოჩვენებითი ყოფილა, იგი გულით ისევ ქრისტიანი იყო. იქსე შაპთან დაუბზღვებიათ. შაპმა მისი გაჩერება ბრძანა. მისი ეჭვი გამართლდა: იქსეს უბეში ხატი და ჯვარი უპოვეს. შაპი განრისხდა და იგი ალამუთის ციხეში დაამწყვდია (ბუდაყ ყაზვინი, დორნის კატ. №288, ფ. 329 ბ).

ისა-ხანი 14 წელი იყო ალამუთის ციხის პატიმარი. 1576 წელს ისმაილ-მირზას ტახტზე ასვლის შემდეგ (სხვათა შორის, ისმაილ მირზაც მამის – შაპ თამაზ I-ის ბრძანებით ალამუთის ციხეში იჯდა) იგი, სიმონ ქართლის მეფესთან ერთად (ისიც ალამუთის პატიმარი იყო) გამოუშვეს. ისქანდერ მუნში ასე მოგვითხრობს ამ ამბავს: „ისა-ხან ქართველი, ლევან-ხანის შვილი და სიმონ-ხანი, ლუარსაბის ძე, ორივენი ალამუთის ციხეში რომ იყვნენ დაპატიმრებულები, ისმაილ-მირზამ გამოუშვა“ (ისქანდერ მუნში, 1969:28). ისმაილ II-ის ხანმოკლე ზეობის შემდეგ (1576–1577 წწ.), შაპმა მოჰამედ ხოდაბენდემ ისა-ხანიც და სიმონ-ხანიც ალამაღლა. ისტორიკოსი განაგრძობს: „სამოთხეში დამკვიდრებული შაპის ძმის საამ-მირზას ასული სულთან-მოჰამედ-ხოდაბენდემ ისა-ხანს მისცა და შაქის მმართველად განაწესა“ (ისქანდერ მუნში, 1969:28). ე. ი. ისა-ხანი თავის ძველ თანამდებობაზე დაუბრუნებიათ, ამავე დროს შაპთამაზის ძმის ასულიც მიუთხოვებიათ მისთვის, ხოლო სიმონი, იმავე ისქანდერ-მუნშის ცნობით, „ისლამის მიღების პატივით გაბედნიერდა და სულთან-მაჰმუდ-ხანად იწოდა. შესაბამისად სიტყვებისა: მხოლოდ მართლმორწმუნები არიან ღირსეულნი, – მან „ძმის“ ბედნიერი წოდებულება მიიღო, პატივითა და ღირსებით მოსილი საქართველოში გაემართა და სამემკვიდრო ქვეყანას დაეუფლა“ (ისქანდერ მუნში, 1969:28). ამ ტექსტში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სიმონისათვის „ძმის“ წოდებულება მიუციათ. ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ სიტყვაში გარკვეული პოლიტიკური შინაარსია ჩადებული. ირანის შაპის ოფიციალური თვალსაზრისით, ქართლისა

და კახეთის მეფები მისი ქვეშევრდომები, მისი „შვილები“ (ე. ი შაჲზე დაბლა მდგომები) არიან; ახლა კი ციხიდან გამოშვებულ სიმონს შაჲი „ძმის“ წოდებულებას აძლევს.

კიდევ უფრო ხატოვნად აგვინერს ამ ამბავს ფარსადან გორგიჯანიძე: „ამან მეფე სვიმონ გაათათრა და რაც მასთან დაჭირულნი თავადნი და აზნაურნი იყვნენ, მოუსხმევინა და ყველას ცხენი და იარაღი გაუკეთეს და ხალათი და საფარაჯო მისცეს და მეფეს სვიმონს სახელმწიფო მოსახმარი ყოვლის იარაღისაგან გაურიგეს და ცხენი, აქლემი, ჯორი შეუკაზმეს, კარვები მოუფინეს და სალაროთ აუკიდეს და საქართველოს მეფობა მისცეს და რაყამი ძმობით მისწერეს და მეპმანდარი გაატანეს და ყველგან ფიშვაზი უყვეს და დიდის პატივითა და მირთმევით და კარგად დახვდომით ქართლს მივიდა და ყველანი წინ მოეგებნენ“ (გორგიჯანიძე, 1925:219).

სიმონ I-ის ამგვარი მოულოდნელად აღზევების მიზეზი ცხადზე ცხადია: ირანს ოსმალები ემუქრებიან; ირანის შაჲი ოსმალთ წინააღმდეგ საბრძოლველად ქართლის მეფის, სიმონ I-ის გამოყენებას ლამობს; ამიტომაც იხსენიებს მას ოფიციალურად რაყამში „ძმად“, ე. ი. თავის თანასწორად.

ირანში მყოფი ქართველები ხშირად აქტიურად მონაწილეობდნენ შაჲის ტახტის დასაკავებლად გამართულ პოლიტიკურ ბრძოლებში.

1576 წელს გარდაიცვალა ირანის შაჲი თამაზ I (1524-1576 წწ.). მას სხვადასხვა ცოლთან 12 ვაჟი და 8 ქალიშვილი ჰყავდა, მათ შორის 4 ვაჟი და 1 ქალი – ქართველი ცოლებისაგან. თანამედროვე სპარსელი ისტორიკოსის, თეირანის უნივერსიტეტის პროფესორის ნასროლა ფალსაფის ცნობით, „შაჲ თამაზის ბევრი ცოლი იმ მხევალთა და ასულთაგან იყო, რომელთაც გურჯისტანის ამირები, სხვა ძლვენთან და საჩუქრებთან ერთად, ყოველწლიურად უგზავნიდნენ ხოლმე შაჲს“ (კაციტაძე, 1997:6).

ისევ ნასროლა ფალსაფიზე დაყრდნობით, მოგვაქვს მისი

ვაჟების სახელები (ისტორიკოსს ზოგჯერ ნაჩვენები აქვს მათი დედების სახელებიც): 1. მუჰამედ-მირზა, შაჰ აბასის მამა; 2. ისმაილ-მირზა (ამ ორის დედა, სულთანამი, თურქმენი იყო მუსალავის ტომიდან); 3. მურად-მირზა; 4. ჰეიდარ-მირზა (დედამისი, სულთან-ზადე ხანუმი, ქართველი იყო); 5. სულეიმან-მირზა (დედამისი, სულთან აღა ხანუმი, ჩერქეზი იყო); 6. მუსტაფა მირზა (დედამისი, ბაჰრა ბაჯი, ქართველი იყო); 7. მაჰმედ-მირზა; 8. იმამული-მირზა (რომლის დედა, ხან-ფარვარ ხანუმი, ქართველი იყო); 9. ალი-მირზა (ამის დედაც ბაჰრა ბაჯი იყო); 10. აჰმად მირზა; 11. ზეინ ოლ-აბედინ მირზა; 12. მუსა-მირზა.

შაჰ თამაზ I-ის 8 ქალიშვილიდან ჩვენთვის საინტერესოა ფერიხან (ფერიჯან) ხანუმი – სულეიმან მირზას ღვიძლი და, რომლის დედაც ჩერქეზი იყო და ზეინაბ ბეგუმი, რომელსაც ადრე ანა ხანუმი ერქვა (დედამისი ქართველი იყო).

შაჰ თამაზ I-ის უფროსი ვაჟი მოჰამედ მირზა (ტახტის მემკვიდრე) ნახევრად უსინათლო იყო, ამდენად მას არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონებოდა შაჰის ტახტზე პრეტენზია; იგი ხორასნის გამგებლობით კამაყოფილდებოდა.

მომდევნო უფლისწული ისმაილ-მირზა მამის სიცოცხლე-შევე პრეტენზიას აცხადებდა ტახტზე; 1556 წელს იგი მამამ, შაჰ თამაზ I-მა დააპატიმრა და ალამუთის ციხეში გამოკეტა.

შაჰ თამაზ I-ს თავისი ვაჟიშვილებიდან განსაკუთრებით გამორჩეული ჰყავდა ჰეიდარ-მირზა, რომლის დედაც ქართველი იყო. არსებობს ცნობა იმის თობაზე, რომ ჰეიდარ მირზას რჩევას შაჰი ანგარიშს უწევდა და ხშირად ითვალისწინებდა კიდეც. მას შაჰის მოადგილესაც უწოდებდნენ. ასევე გამორჩევით უყვარდა მას თავისი ქალიშვილი ფერიხან-ხანუმი (როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, დედამისი ჩერქეზი იყო).

1571 წელს ირანში ჩასული ვენეციის რესპუბლიკის ელჩი დალესანდრი ასე ახასიათებს ჰეიდარ-მირზას: „ჰეიდერ-მირზა შაჰის დიდი ნდობით სარგებლობს. იგი 18 წლისაა, ტანმორჩი-

ლი, მაგრამ გარეგნობით მეტად ლამაზია. ჰეიდარ-მირზა შესანიშნავი ორატორია და ბრწყინვალე მოჯირითე“ (კაციტაძე, 1997:6; ბერძენიშვილი, 1967:134; სვანიძე, 1971:147-148).

1573 წელს შაჲ თამაზ I ავად გახდა, ყიზილბაშმა ამირებმა დაინუეს ტახტის მემკვიდრის შერჩევა. ორი დაჯგუფება დაუპირისპირდა ერთმანეთს: ჰოსეინ-ყული ხულაფა რუმლუ, ამირა ასლან-ბეგ ავშარი და ჩერქეზთა შამხალი ისმაილ-მირზას უჭერდნენ მხარს, ჰეიდარ-მირზას მხარეს კი დადგნენ ყველაზე მრავალრიცხოვანი ტომის უსთავლუს ამირები, რომლებიც შაჲის კარზე ყველაზე მეტი გავლენითა და ღირსებით სარგებლობდნენ, შიხავენდის ტომის სუფიურ-დერვიშული ორდენის მეთაური, ყაჯართა ტომის ამირების ერთი ნაწილი და „მამაცი და სახელოვანი ქართველი სარდლები ზაალი, დაუდი, თამაზ-იმამყული მირზას დედის ხანფარვარ ხანუმის ძმები (ეს უკანასკნელნი იმის გამო, რომ ჰეიდარ მირზას დედაც ქართველი იყო). ეს ქართველი სარდლები ყიზილბაშთა ტომებში სახელგანთქმულნი იყვნენ თავიანთი სიმამაცით და საქართველოში დიდ ქონებასა და მამულს ფლობდნენ. შეთქმულთა ჯგუფში შედიოდნენ აგრეთვე შაჲ თამაზის ძმისწული იბრაჟიმ მირზა და უფლისწული მუსტაფა მირზა, რომლის დედაც ქართველი იყო,“ – გადმოგცემს ნასროლა ფალსაფი (კაციტაძე, 1997:6).

1573 წელს შაჲ თამაზ I გამოჯანმრთელდა, ასე რომ ტახტის პრეტენდენტებსა და მათ მხარდამჭერთა შორის შეტაკება არ მომხდარა, მაგრამ ორ სხვადასხვა დაჯგუფებას შორის ფარული ბრძოლა გრძელდებოდა.

ნასროლა ფალსაფი მოგვითხრობს, რომ შაჲის ჰარამხანაში ჰეიდარ მირზას დედა, ქართველი ქალი სულთან-ზადე ხანუმი (იგი შაჲს სხვა ცოლებზე უფრო უყვარდა), შაჲის კარზე გავლენიანი ქართველი სარდლების მეშვეობით, თავისი ვაჟის ტახტზე ასაყვანად ნიადაგს ამზადებდა (კაციტაძე, 1997:6).

გულხელდაკრეფილი არც მოწინააღმდეგეთა ბანაკი იყო: შაჲის უსაყვარლესი ქალიშვილი – გამჭრიახი, ცბიერი და

ფრთხილი ფერიხან ხანუმი ყოველნაირად ცდილობდა მამის-
თვის, შაჲ თამაზ I-ისთვის ჰეიდარ მირზა შეეძულებინა, ხოლო
ისმაილ მირზა შეეყვარებინა, ამასთანავე, იგი თავისი ბიძის
(დედის ძმის) შამხალ-ხან ჩერქეზის საშუალებით ისმაილ-მირ-
ზას მომხრებს ამხნევებდა. მას საიდუმლო მიწერ-მოწერა
ჰქონდა ისმაილ მირზასთანაც.

1576 წლის 14 მაისს, ღამით შაჲ თამაზ I გარდაიცვალა.
დილით უკვე გამოაცხადეს, რომ შაჲ თამაზ I-ის ანდერძის თა-
ნახმად, შაჲის ტახტი დაიკავა ჰეიდარ-მირზამ (ზოგიერთი ის-
ტორიკოსი თვლის, რომ შაჲ თამაზ I-ის ანდერძი ფალსიფიცი-
რებული იყო), მაგრამ რუმლუს, ავშარის და ყაჯართა ტომების
ამირებმა არ სცნეს ჰეიდარ მირზას შაპობა. აღსანიშნავია, რომ
ყიზილბაშთა ზემოხსენებული ტომების რაზმები იცავდნენ სა-
სახლეს, ასე რომ ჰეიდარ მირზა ფაქტობრივად დატყვევებული
აღმოჩნდა სასახლეში. მის მისაშველებლად დავლათხანისაკენ
მდაბიო ხალხთან ერთად გაემართა ზაალ გურჯი. შერეფ-ხან
ბითლისის ცნობით, „შამხალმა ჰეიდარ-მირზა მოკლა, მერე
თავი მოკვეთა და ქართველებს გაუგორა წინ. ქართველთა
რაზმა ამის შემდეგ ბრძოლა ბალში გააგრძელა და ზაალ-ბე-
გი, რომელიც იმ გზააბნეული ხალხის სარდალი იყო, ფინდიხის
მოხვედრებით მინას დაანარცხეს, ხოლო ის გზააბნეული [ქარ-
თველები] დამარცხდნენ“ (კაციტაძე, 1997:6-7).

ზემოხსენებული ფაქტი კარგად მოწმობს, რომ ქართველე-
ბი ზაალ-გურჯი, ალიხან-გურჯი და სხვები დიდ როლს თამა-
შობდნენ XVI საუკუნის 70-იანი წლების ირანის პოლიტიკურ
ცხოვრებაში.

თავი II. ქართველები XVII საუკუნის ირანში

ჰეიდარ-მირზას მოკვლის შემდეგ, ყიზილბაშებმა ისმაილ-მირზა გამოიყვანეს ალამუთის ციხიდან და ტახტზე დასვეს ისმაილ II-ის სახელით (1576 წლის 26 აგვისტოს).

შაჰი ისმაილ II სასტიკი და დაუნდობელი მპრძანებელი აღ-მოჩნდა: მან სიკვდილით დასაჯა თავისი ძმები (დაინდო მხო-ლოდ ღვიძლი ძმა მოჰამედ ხოდაბენდე და მისი შვილები), აგ-რეთვე ჰეიდარ-მირზას მომხრები. გადარჩა მხოლოდ ალი-ხა-ნი, რომელმაც თავს სამშობლოში – საქართველოში გაქცევით უშველა.

აღსანიშნავია, რომ შაჰი ისმაილ II-მ სიმონ I, რომელიც მას-თან ერთად იყო გამომწყვდეული ალამუთის ციხეში, გაათავი-სუფლა. სიმონ I-თან ერთად ალამუთის ციხიდან გაათავისუფ-ლეს იქსე ბატონიშვილიც. სიმონ I – ქართლის მეფე 1569 წელს ფარცხისთან ბრძოლაში ყიზილბაშებმა დაატყვევეს (გელაშვი-ლი, 1984:151-154). შაჰი თამაზ I-მა იგი დიდი პატივით მიიღო ყაზვინში და გამუსლიმება შესთავაზა. სიმონმა არ დაუტევა ქრისტეს რჯული და ამიტომაც შაჰმა იგი ალამუთის ციხეში ჩასვა. რაც შეეხება კახეთის მეფის ლევანის ძე იქსეს, იგი 1558 წელს მამამისმა მძევლად გააგზავნა შაჰი თამაზ I-ის კარზე. 1562 წელს იგი გაქცევას შეეცადა და ამიტომაც შაჰმა ალამუ-თის ციხეში დაამწყვდია.

ტახტზე ახლად ასულმა ისმაილ II და ქართლის მეფე სიმონ I-მა პატიმრობაში ერთად გაატარეს 8 წელი. ჯიოვანი ტომაზო მინადოის² ცნობით, ისინი დამეგობრებულან. იმ დროს ვენე-ციის საელჩოს ინფორმატორი კონსტანტინოპოლში მინადოი კარგად იყო ჩახედული ირანის შინაურ საქმეებში. მისი გად-

2 ჯიოვანი ტომაზო მინადოი (1549-1615 წწ.) – ვენეციელი ექიმი და ალე-პოში ვენეციელი კონსულების დაზვერვა.

მოცემით, ისმაილ-მირზასა და სიმონს შორის ციხეში ისეთი მეგობრობა დამყარებულა, რომ ქართლის მეფეს სეფიანი უფლისწულის ზეგავლენით რჯულიც კი შეუცვლია – გამუსლიმებულა. სიმონმა თითქოს შეიგნო (რა თქმა უნდა, ისმაილ-მირზას შეგონებით), რომ ქრისტიანად დარჩენის შემთხვევაში მას სამუდამო ტყვეობა ელოდა, ხოლო თუ გამუსლიმდებოდა, ისმაილ-მირზა ტახტის დაკავების შემთხვევაში, მას ციხიდან განთავისუფლებას და ქართლის ტახტის დაპრუნებას ჰპირდებოდა (მინადო, 1588:128-130; მამისთვალიშვილი, 2009:197-199).

მაჰმუდ ნათანზის ცნობით, ისმაილ II-ის ტახტზე ასვლის ცერემონიალში ვითარცა საპატიო სტუმრები მონაწილეობდნენ „ისა-ხანი, ლევანის ვაჟი და სიმონ მეფე, ლუარსაბის ვაჟი სხვა ქართველ დიდებულებთნ ერთად“ (ნათანზი; ისქანდერ მუნში, 1939:151-154).

შაჰი ისმაილ II 1577 წლის 22 ნოემბერს გარდაიცვალა საიდუმლო ვითარებაში; არის ვერსია, რომ იგი ჰარემში შეპარულმა ქალის ტანსაცმელში გადაცმულმა შეთქმულმა მოკლა (დონ ხუან სპარსელის³ ცნობა); მეორე ვერსიით, მან თავისი ხალვაჯი ბაშის (სასახლის კონდიტრების უფროსის) სასახლეში სტუმრობის დროს ბევრი თრიაქი მოსწია და მოკვდა (ამ ვერსიას იზიარებს ცნობილი ირანისტი ედვარდ ბრაუნი⁴); მესამე ვერსიის მიხედვით, შაჰ ისმაილ II-ის სიკვდილში ქართველები არიან გარეულნი. არის ცნობა, რომლის მიხედვითაც 1578 წელს საქართველოს წინააღმდეგ წამოსული მუსტაფა ლალა ფაშა ამ წლის ივლისში შაჰ მოჰამედ ხოდაბენდესალმი გაგზავნილ წე-

3 დონ ხუან სპარსელი (1560-1605 წწ.) – იგივე ურუჯ-ბეგი, ულუგ-ნეგბაიათი იყო ირანელი დიპლომატი და შპპ აბას I-ის თანამებრძოლი. 1598 წელს შაჰ აბას I-მა ევროპულ სახელმწიფოებში ელჩობა გააგზავნა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით. დონ ხუან სპარსელი ეპანეთში გააგზავნეს, სადაც ქრისტიანობა მიიღო და საბოლოოდ იქ დარჩა. მან ესპანეთში საქართველოსას შეადგინა რელაციონი, რომელიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს ისტორიის შესახვადად.

4 ედვარდ გრენვილ ბრაუნი (1862-1926 წწ.) – ინგლისელი ორიენტალისტი, ირანისტი, სპარსული ლიტერატურის სპეციალისტი.

როლში წერს: „დიდად ბრწყინვალე ირანის შაჰი! მე აქ მოსული ვარ... რათა დავსაჯო ისინი, ვინც თქვენი ძმის ისმაილის მონამვლაშია დამნაშავე და ამისათვის ქრისტიანი ქართველების ქვეყანა უნდა დავიპყრო. ხოლო, თუ თქვენი უდიდებულესობა გზას გადამიღობავს და ამ ხალხის დაცვას შეეცდება, მაშინ... თქვენც შეგებრძოლებით“ (კაციტაძე, 1997:7).

„ზემოთმოყვანილი წერილის მიხედვით იმის მტკიცება, რომ ქართველები მონაწილეობდნენ ან დაინტერესებულნი იყვნენ ისმაილ II-ის სიკვდილში, ძნელია. მაგრამ ქართველებსა და შაჰ ისმაილის შემცვლელ შაჰ მოჰამედ ხოდაბენდეს შორის რომ რაღაც კავშირი არსებობდა, ამაზე მოგვითხრობს ინგლისელი თომას ჰერბერტის ერთი ცნობა, რომლის მიხედვით, ახლად გამეფებულ ისმაილს უმცროსი ძმები ამოუწყეტია. ასეთივე ბედი ემუქრებოდა უფროს ძმას მოჰამედ-მირზას (შემდეგ მოჰამედ ხოდაბენდე), მაგრამ ის საქართველოში გაიქცა, შეკრიბა 12 ათასი მხედარი, ისფაჰანში დაბრუნდა და თვითონ დაიკავა ტახტი“ (მამისთვალიშვილი, 1977:116; Herbert, 1663:451). ჰერბერტის ეს ცნობა საეჭვოა, თუნდაც იმიტომ, რომ აქ ისფაჰანი დედაქალაქის მნიშვნელობითაა, რაც, როგორც ცნობილია, სწორი არაა: მოჰამედ ხოდაბენდეს ტახტზე ასვლის დროისათვის (1578 წელი) ირანის დედაქალაქი ყაზვინია, ისფაჰანი ირანის დედაქალაქად 1598 წელს გამოაცხადა შაჰ აბას I-მა.

ასეა თუ ისეა, 1578 წელს ყიზილბაშებმა ირანის შაჰის ტახტზე აიყვანეს შაჰ თამაზ I-ის უფროსი ვაჟი მოჰამედ ხოდაბენდე – ნახევრად უსინათლო, სუსტი ნებისყოფისა და უნიათო კაცი. სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სადავეები ხელთ იგდო მისმა ცოლმა ენერგიულმა და პატივმოყვარე ყიზილბაშმა ქალმა, მაჰდი ულიამ. გახშირდა ყიზილბაში ამირების სეპარატისტული გამოხდომები, რომელთა ნინააღმდეგაც მაჰდი ულია რადიკალურ ზომებს იღებდა.

მაჰდი ულიას მიენიჭა უმაღლესი დივნის – ვექილის წო-

დება. შაჰინ-შაჰის ბრძანებულებებზე (ფირმანებზე) ვექილის ბეჭდის ზემოთ მაჰდი ულიას ბეჭედი უნდა ყოფილიყო.

მაჰდი ულიამ სიკვდილით დასაჯა ფერიხან-ხანუმი, რომლის მცდელობითაც ყიზილბაშებმა ტახტზე აიყვანეს ისმაილ მირზა (ისმაილ II) და რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა სასახლის კარზე.

1578 წელს ირანში შექმნილი გართულებული ვითარებით ისარგებლა ოსმალეთმა, დაარღვია 1555 წლის ამასის ზავი და ამიერკავკასიის ქვეყნების დაკავების შემდეგ, საომარი მოქმედება ირანის ტერიტორიაზე გადაიტანა.

ირანის მიერ ქართლის მმართველად დანიშნული სიმონ I-ის ძმა, გამაჰმადიანებული დავითი (დაუდ-ხანი) ყირიმის ხანთან გაიქცა, ხოლო შემდეგ – ოსმალეთში, სულთანთან (მამის-თვალიშვილი, 1987:50).

აი, ასეთ ვითარებაში გამოაგზავნეს ირანიდან ქართლში მეფედ სიმონი ლუარსაბის ძე. ისქანდერ მუნშისა და ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, მას უბოძეს რაყამი „მმობით“ (ამის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი).

ქართულ წყაროებში – ბერი ეგნატაშვილის „ახალ ქართლის ცხოვრებასა“ და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში მოთხოვნილია, რომ ქართლში სიმონის კვლავ გამეფების საქმეში, გადამწყვეტი როლი შეასრულა ოთარ შალიკაშვილის ასულმა, რომელიც ზემოხსენებული წყაროების მიხედვით შაჰ მოჰამედ ხოდაბენდეს დედა იყო (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973:411) (აშკარა შეცდომა! ამაზე ქვემოთ). „სწავლულ კაცთა“ ნაშრომში ვკითხულობთ: „ხოლო ამას უამსა შინა მოიპოვა ღონე ესე შაჰ თამაზ, ეზრახა ათაბაგს ქაიხოსროს და სთხოვა ცოლად ტომისაგან თვისისა. ხოლო ათაბაგს თვისი არა ჰყვანდა რა და ენათესავებოდა ოთარ შალიკაშვილი ათაბაგსა, ამისათვის ნებაყოფლობით გამოართვა ქალი და ნათესავად თვისად გაუგზავნა ყაენს და ყაენმან შეირთო ცოლად“... (ბერი ეგნატაშვილი, 1940:76; A კ~10, 156). შემდეგ ავტორები აგრძე-

ლებენ: „ხოლო ლალა ფაშამ ამოსწყვტა ყოველი სამცხე და დაიპურა ციხე და სიმაგრენი.

ხოლო მიესმა შაჰ ხუდაბანდას საქმე ესე და შაჰ ხუდაბანდას დედამ მოიყვანა, ოთარ შალკაშვილის ქალმან, მეფე სვეტონ, ვითარცა ქართველთა დედანი ლეჩაქს მოახუევნდა იგიცა ქართველი იყო, – მანცა ეგრეთვე ყო და წარმოუგზავნა ლეჩაქი თესი და მოუმცნო: „მეფე სვეტონ, გნადდეს ლეჩაქი ესე აიღეო და გნადდეს წრმალი, ჩუენც მოგვეხმარე და შენს საბატონოსაცა“. და მისცა ნიჭი მრავალი და სამოსელი სამეფო და წარგზავნა თესა ქართლად და წარმოვიდა“ (ბერი ეგნატაშვილი, 1940:89-90).

ვახუშტი ბატონიშვილიც დაახლოებით ამგვარად მოგვითხრობს: „შემდგომად წარვიდა ლალა ფაშა შირვანს და მუნიდამ მოქცეული დადგა მუხრანს. მაშინ შაჰ-ხუდაბანდა ვერა რისა მყოფელი, ამისათეს დედამან მისმან (რომელი იყო ასული ოთარ შალკაშვილისა) დაახვივა წრმალსა ლეჩაქი და წარმოუგზავნა სვეტონ მეფეს (ვითარცა წესი არს ქართველთა) და მოუთხრა: „რომელიცა გნებავს, აღიღე და წარვედ ქუეყანასა შენსა ნიჭითა დიდითა და ბრძოდე ოსმალთა“. მის ზედა დაურთეს ცხრა ათასი თუმანი და ტყუენი ყოველნი საქართველოსანი, მუნ დატყუევებული“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973:411).

როგორც ვხედავთ, ბერი ეგნატაშვილის „სწავლულ კაცთა“ კომისიის და ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, შაჰ ხოდაბენდეს დედა ქართველი ქალი ყოფილა, ოთარ შალკაშვილის ასული, რაც, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, სინამდვილეს არ შეეფერება: შაჰ ხოდაბენდეს და ისმაილ-მირზას (მისი მომდევნო ძმის) დედა სულთანამი, თურქმენი იყო მუსალავის ტომიდან. აქვე გვინდა ისიც აღვნიშნოთ, რომ ზემოაღნიშნული ქართული წყაროების ცნობებზე დაყრდნობით, ზოგიერთმა თანამედროვე ქართველმა ისტორიკოსმა შაჰ-აბას I-ის ბებიად, ე.ი. შაჰ მოჰამედ ხოდაბენდეს დედად, ქართველი ქალი მიიჩნია.

ზემოთმოტანილი ქართული წყაროების ცნობებში ჩვენს ყურადღებას სხვა გარემოება იქცევს: როგორც ჩანს, ირანის შაჰმა (არა აქვს მნიშვნელობა ვისი ინიციატივით), ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო ვარიანტად სიმონ ქართლის მეფის ქართლში გამოშვება და ქართლის ტახტზე დაბრუნება მიიჩნია და როგორც თანასწორს, მოკავშირეს, რაყამი⁵ „ძმობით“ უბოძა (იხ. ზემოთ ისქანდერ მუნშისა და ფარსადან გორგიჯანიძის ცნობები).

სიმონი თავგამოდებით იბრძოდა ოსმალების წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა. ოსმალებმა იგი დაატყვევეს და სიცოცხლე სტამბოლში, საპატიმროში დაასრულა.

ოსმალები ირანის ტერიტორიაზე წინ მიიწევდნენ. მათი წინსვლა დროებით შეაჩერა ჰამზა-მირზამ სამხრეთ აზერბაიჯანში (აქ მან ორჯერ ბრწყინვალედ გაიმარჯვა თურქებზე), მაგრამ თურქების ჯარს მხარი დაუჭირა ქურთული სუნიტური არისტოკრატიის ნაწილმა. ჰამზა-მირზა მოკლეს ყიზილბაშური სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის წრიდან გამოსულმა შეთქმულებმა. ნასროლა ფალსაფის ცნობით, შაჰ მოჰამედ ხოდაბენდეს უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებული ჰამზა-მირზა, იმავე წელს (989 წელს ჰიჯრით), როცა მას ვეზირის, მირზა სალმანის, ქალი შეურთავს, მისივე რჩევით დაქორწინებულა კახეთის მეფის ალექსანდრესა და ქართლის მეფის სიმონის ასულებზე. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ესპანელი მისიონერის ანტონიო გოვეას⁶ ცნობა: „ერთხელ, როცა ჰამზა-მირზა ავად გახდა, მისმა ქრისტიანმა ცოლმა, საქართველოს ამირას ალექსანდრე – ხანის ასულმა, მას ჯვარი უჩვენა და უთხრა: თუ იესოს იონმუნებ და მას მფარველობას სთხოვ, განიკურნებიო. ჰამზა-მირზა დათანხმდა და განიკურნა...“. (კაციტაძე, 1997:7) შემდეგ, ანტონიო გოვეა აღნიშნავს,

5 რაყამი – სპარსეთის შაჰის ან ოსმალეთის სულთნის ბრძანებულება, წერილი.

6 ანტონიო დე გოვეა (1575-1628 წწ.) – პორტუგალიელი მისიონერი და ესპანეთის საელჩოს წარმომადგენელი სეფიანთა ირანში.

რომ შაჰ-აბასის სიტყვით, ყიზილბაშმა სარდლებმა ჰამზა-მირზა იმის გამო მოკლეს, რომ იგი ქრისტიანებს დიდი სიმპათიითა და სიყვარულით ექცეოდა.

1585-1588 წლებში თურქებმა დაიპყრეს მთელი ჩრდილო და სამხრეთი აზერბაიჯანი თავრიზითურთ, რომელიც საშინალად გაძარცვეს.

ამასობაში, ხორასასანში, ჯერ კიდევ შაჰ მოჰამედ ხოდაბენდეს ზეობის დასაწყისში აჯანყდნენ ყიზილბაშური ტომები უსტაჯლუ და შამლუ. ხორასნის ნომინალურ მმართველად ითვლებოდა მოჰამედ ხოდაბენდეს უმცროსი ვაჟი, აბას მირზა (დაიბადა 1571 წელს). მისი აღზრდელი („ლალე“) იყო ალი-ყული ხან შამლუ, რომელიც შეუკავშირდა მურშიდ-ყული ხან უსტაჯლუს. მათ, თავიანთი ტომების მხარდაჭერის იმედით, გადაწყვიტეს აბას-მირზას შაჰად გამოცხადება ჯერ კიდევ 1581 წელს (როგორც ჩანს, მათ უნდოდათ ესარგებლათ აბას მირზას მცირენლოვანებით და თვითონ ჩაეგდოთ მმართველობის სადავეები ხელში). 1578 წელს მათ უარი უთხრეს შაჰს და მის მეუღლეს ბავშვის დაბრუნებაზე ყაზვინში – სასახლეში იმ საბაბით თითქოს მათ აღზრდილს იქ საფრთხე ელოდა; ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ აშკარა ბრძოლა დაიწყეს შაჰ მოჰამედ ხოდაბენდეს ნინაალმდეგ. ჰამზა-მირზას სიკვდილის ამბის გაგების შემდეგ (იგი მათი ერთადერთი ძლიერი მოქიშპე იყო), მათ გაილაშქრეს ყაზვინზე და 1587 წელს სეფიანთა ირანის დედაქალაქი დაიკავეს. მოჰამედ ხოდაბენდე ამ დროს დაკავებული იყო ფარსში სახალხო აჯანყების ჩაქრობით. იგი მისმა ჯარმა მიატოვა და მალე მოკვდა.

ასეთ ვითარებაში ავიდა ტახტზე 16 წლის აბას-მირზა, მომავალი შაჰ აბას I. მას ძალზე რთულ საგარეო და საშინაო ვითარებაში მოუხდა მეფობის დაწყება: მავერანაპრის უზბეკური სახელმწიფოს ჯარებმა მთლიანად დაიკავეს ხორასანი ქალაქებით მერვით, ჰერათით, მეშვედით და ნიშაბურით (1587-1588 წწ.). სომხეთის აღმოსავლეთი ნაწილი, ჩრდილო და

სამხრეთი აზერბაიჯანი და დასავლეთი ირანის ნაწილი ოსმალებმა დაიკავეს. მოსახლეობა გაძარცვეს და დაარბიქს. ოსმალები დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას მონად ჰყიდდნენ. რელიგიური ფანატიზმი ამართლებდა თურქეთის სულთნის ამგვარ მოქმედებას. საქმე ისაა, შარიათის (მუსლიმური სასულიერო სამართლის) მიხედვით, მუსლიმის მიერ მუსლიმის დამონება სასტიკად იკრძალებოდა, მაგრამ თურქეთის სუნიტ-მა სასულიერო პირებმა დაუშვეს „ურნებუნო“ შიიტების დატყვევება და მონად გაყიდვა. სწორედ ამიტომ, თურქების მიერ თავრიზის აღების შემდეგ ადგილობრივი სეიდებიც⁷ კი წაიყვანეს ტყვედ და მონებად გაყიდეს სტამბოლის ბაზარზე ებრაელ და „ფრანგ“ (ევროპელ) ვაჭრებზე. ქვეყანაში შინაფეოდალური ომი და სახალხო აჯანყებები მიმდინარეობდა. აი, ასეთ მძიმე ვითარებაში მოუხდა ქვეყნის სათავეში მოსვლა ახალგაზრდა აბას-მირზას, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ალიული-სან შამლუს და მურშიდ-ყული ხან უსტაჯლუს დახმარებით და ხელშეწყობით ავიდა ტახტზე. ორივე ხანი ვარაუდობდა, რომ ახალგაზრდა აბასი მათ ხელში სათამაში ბურთად გადაიქცეოდა, ხოლო ქვეყნის ფაქტობრივი მმართველები კი თვითონ იქნებოდნენ. მაგრამ, მალე შაჳ აბას I-ის მეურვეებს შორის დაიწყო ბრძოლა პირველობისათვის, რომელშიც მურშიდ-ყული ხანი აღმოჩნდა გამარჯვებული; აბას I-მა იგი თავიდან მოიცილა: იგი მოკლეს. მაშინვე აბას I-მა დაიწყო დაყრდნობა ფეოდალთა იმ დაჯგუფებაზე, რომელიც დაინტერესებული იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობით ირანულ სამოქალაქო ბიუროკრატიაზე.

შაჳ-აბას I-მა, ტახტზე ასვლისთანავე, შესთავაზა რუსეთის მთავრობას თურქეთის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალით ომის დაწყება, რათა დაებრუნებინა თურქეთის მიერ არცთუ ისე დიდი ხნის წინ დაპყრობილი კასპიის ზღვის კავ-

7 სეიდი – ტიტული, რომელიც აღნიშნავს მოციქული მუჰამადის შვილი-შვილების, ჰასანისა და ჰუსაინის, და მოციქულის ქალიშვილის, ფატიმას და სიძის, აღი ბ. აბუ ტალიბის მამრობითი სქესის შთამომავლებს.

კასიის სანაპირო და აბრეშუმით მდიდარი შირვანი. თავისი ელჩის ჰანდი-ბეგის პირით შაჰ-აბას I რუსეთის სახელმწიფოს დახმარების სანაცვლოდ ბაქოსა და დარუბანდის დათმობას პირდებოდა (მიმდგომი სანახებით). რუსეთის მეფე თევლინე ივანეს ძე ცდილობდა ამ დათმობის ფორმაცური დადასტურების მიღებას. ჰანდი-ბეგი დიდხანს თავს არიდებდა ამ მოთხოვნის შესრულებას და ზეპირი დაპირებებით იფარებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მან შაჰისაგან მიიღო დასტური წერილობითი თანხმობის შესახებ, მაგრამ რუსეთს „ლივონიის ომი“⁸ ახალი დამთავრებული ჰქონდა (ამ ომიდან იგი დასუსტებული გამოვიდა); ამავე დროს, მას ემუქრებოდა შვედეთთან, პოლონეთთან და ყირიმის ხანთან ომის საშიშროება. ასე რომ, ოსმალეთის ძლიერ სახელმწიფოსთან იგი დიდ ომს მოერიდა: რუსეთი შემოიფარგლა დაღესტნის საზღვართან ადგილობრივი მნიშვნელობის საომარი ოპერაციებით.

1590 წელს შაჰ აბას I იძულებული გახდა დაედო თურქეთთან ირანისათვის მეტად მძიმე ზავი: ირანმა თურქეთს დაუთმო აღმოსავლეთი საქართველო, აღმოსავლეთი სომხეთი, ქურთისტანი, მთელი ჩრდილო და სამხრეთი აზერბაიჯანი (არდებილისა და თალიშს გარდა) და ლურისტანის⁹ ნაწილი.

შაჰ აბას I ნიჭიერი და ჭკვიანი მპრძანებელი იყო. მან თურქეთთან დადებული ირანისათვის მეტად მძიმე ზავის შედეგად მოპოვებული მშვიდობიანი პერიოდი გამოიყენა ოზბეგების წინააღმდეგ საბრძოლველად და აუცილებელი რეფორმების გასატარებლად.

აბას I-ის ჯარმა 1597 წელს გაიმარჯვა ოზბეგებზე და

8 ლივონიის ომი – 1558-1583 წლებში მიმდინარეობდა ლივონიის დასაკავებლად, რომელსაც მოსკოვის სახელმწიფო ანარმოებდა ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვების მიზნით. ამ ომში მოსკოვის სახელმწიფო დაბარცხდა.

9 ლურისტანი – ისტორიული ოლქი ირანის დასავლეთ ნაწილში, მთავარი ქალაქი – ხორემაბადი.

წაართვა მათ მთელი ხორასანი (უფრო სწორად, დაიბრუნა) ქალაქებით: ნიშაბურით, მეშედით, ჰერათით და მერვით.

შაჳ აპას I-მა სწორად შეაფასა თურქეთთან ომში ირანის დამარცხების მიზეზები: თურქეთის ჯარის წარმატება განპირობებული იყო მისი სამხედრო ორგანიზაციის მაღალი დონით და სეფიანთა სამხედრო პოტენციალის ჩამორჩენილობით. თურქეთს ფეოდალური ლაშქრის გვერდით ჰყავდა რეგულარული ჯარი – შესანიშნავი არტილერია და იანიჩართა ქვეითი რაზმები. სეფიანთა ჯარი შედგებოდა ცხენოსანი მოისრეების (ყორჩიების) კორპუსიდან, მომთაბარეთა ცხენოსანი ლაშქროსაგან, რომელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი ტომობრივი ორგანიზაცია: ისინი, არცთუ იშვიათად, სალაშქროდ ოჯახებთან ერთად მიდიოდნენ (თან საქონელიც მიჰყავდათ); მასში იყო აგრეთვე, ნაწილობრივ, ადგილობრივი ფეოდალების სახალხო ლაშქარი, როგორც ყორჩიები (6 000 კაცი), ასევე ფეოდალური სახალხო ლაშქრის მეომრები (მულაზიმები) უმეტესად მომთაბარე – ყიზილბაშები იყვნენ. ყველა ყიზილბაშური ტომი (XVI საუკუნის ბოლოს 15 ყიზილბაშური ტომი იყო) მოიცავდა 200 000 სამხედროვალდებულს, მაგრამ ჯარში 60 000 ყიზილბაშზე მეტი არასოდეს ყოფილა. ამ რაოდენობის მეომარზე სახელმწიფო გამოჰყოფდა ჯამაგირს. კიდევ მეტი, ყიზილბაშური ტომობრივი ლაშქარი ხშირად დაუმორჩილებელი იყო.

შაჳ აპას I-მა თავისი რეფორმების გატარება დაიწყო სამხედრო ძალის გარდაქმნით, რაც დაავალა ცნობილ ალავერდისანს და ინგლისელ ავანტიურისტებს, ძმებს ანტონი და რობერტ შერლებს¹⁰ (ეს უკანასკნელი ყაზვინს მოვიდნენ 1598 წელს). ალავერდი-ხანის უშუალო მონაწილეობით და მცდელობით შეიქმნა რეგულარული ჯარი, რომლის შემადგენლობაშიც

10 შერლი, რობერტ (1581-1628 წწ.) – სერ რობერტ შერლი იყო ინგლისელი მოგზაური, სერ ანტონი შერლისა და სერ თომას შერლის უმცროსი ძმა, რომელიც შაჳ აპას I-ის თხოვნით სპარსეთის არმიის მოდერნიზებას და ბრიტანული არმიის მოდელზე გადაყვანას ხელმძღვანელობდა.

იყო მუშკეტერების (თოფანგჩიების) 12 000 კაციანი კორპუსი (მათ მეთაურს ეწოდებოდა თოფანგჩი აღასი), 10 000 კაციანი ლოლამების – გვარდიელების კორპუსი, ყულის ჯარი – ყულარალასით¹¹ სათავეში, მეზარბაზნეთა ნაწილი – თოფჩიების რაზმი, რომლის სათავეშიც თოფჩი-ბაში იდგა. ყულის ჯარი დაკომპლექტებული იყო ქართულ-კავკასიური ელემენტებით (ქართველები, სომხები, ჩერქეზები...), რომელიც შაჲ აბას I-მა დაუპირისპირა ყიზილბაშურ არისტოკრატიას. ამრიგად, აბას I-ის სამხედრო რეფორმას პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. თოფანგჩიები და თოფჩიები ირანელები იყვნენ.

ინგლისელი ისტორიკოსები, რომლებიც ეყრდნობოდნენ ძმები შერლების მონათხრობს, გადაჭარბებით აფასებდნენ მათ როლს შაჲ აბას I-ის სამხედრო რეფორმის საქმეში. სპარსული წყაროების მიხედვით, ძმები შერლები ამ საქმეში ძალზე მოკრძალებულ როლს ასრულებდნენ. უახლესი გამოკვლევების მიხედვით, შაჲ-აბას I-ის სამხედრო რეფორმის სულისჩამდგმელი და გამტარებელი იყო ალავერდი-ხანი. სწორედ მასზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

ალავერდი-ხანი გამოჩენილი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე იყო. იგი XVI საუკუნის ბოლო ხანებიდან 1614 წლამდე ყულარალასი და ფარსის ბეგლარბეგი იყო. პორტუგალიელი ანტონიო გოვეა გადმოგვცემს, რომ ალავერდი-ხანის წლიური შემოსავალი მარტო ფარსის საბეგლარბეგოდან 50 000-100 000 ეკიუს უდრიდა. მას, როგორც ირანის გვარდიის სარდალს, ყულარალას, შემოსავალი ჰქონდა გულფაიგანიდანაც („თაზქირათ ალ-მულუქის“ – ირანის სახელმწიფო სამართლის ძეგლის მიხედვით გულფაიგანი ყულარალასის სახარაჯო ქვეყანა იყო).

ალსანიშნავია ერთი გარემოება: ყულის ჯარის ჩამოყალიბების შემდეგ, პირველი ყულარალასი იყო ალავერდი-ხანი, გვარად უნდილაძე. ამ დროიდან მოკიდებული XVIII საუკუნის პირველ მეოთხედამდე (კონკრეტულად: 1722 წლამდე, ავღა-

11 ყულარალასი – მეფის პირადი დაცვის ხელმძღვანელი.

ნელთა მიერ სეფიანთა ირანის დაპყრობამდე) ყულარალასი ყოველთვის ქართველი იყო.

ალავერდი-ხანი განთქმული იყო თავისი სააღმშენებლო საქმიანობითაც: მაგ., ისპაპანში მის მიერ აგებული ხიდი („სი ო სე ფოლ“ – „ოცდაცამეტმალიანი ხიდი“), რომელიც „ახალ ჯულფას“ აერთებს ისპაპანთან, დღესაც მოქმედებაშია და მნახველს აოცებს თავისი გრანდიოზულობით.

ალავერდი-ხანის ხარჯით იყო მოხატული ისპაპანში „ჩეპელ-სუთუნის“¹² („ორმოცსვეტიანი“) სასახლის ზოგიერთი ფრესკა (კაციტაძე, 2001:362). ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახულია შაპ-აბას | თავისი დიდებულებით. შაპის მარჯვნივ ზის ალავერდი-ხანი.

ალავერდი-ხანს მეუღლე ქართველი ჰყავდა. მისი სახსრებით ცენტრალური ირანის მთიანეთის უღელტეხილებზე გაიყვანეს გზები და უღელტეხილები.

ალავერდი-ხანი გამოჩენილი სარდალი იყო. მისი ხელმძღვანელობით ირანის ჯარმა თურქებთან ომში ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა. დენისონ როსის და ვ.ე.დ. ალენის აზრით, ალავერდი-ხანი, მეორე ქართველთან, თამაზ-ყული ხანთან ერთად, ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდა სეფიანთა ირანში.

ალავერდი-ხანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მრავალი პირველწყაროა სპარსულ, ქართულ, სომხურ და ევროპულ ენებზე. კარგა ხნის მანძილზე ალავერდი-ხანის წარმომავლობის საკითხი საკამათო იყო. დონ ხუან სპარსელი-გაკათოლიკებული სპარსელი, რომელიც 1601 წელს ევროპაში ელჩობის დროს ანტონი შერლის თან ახლდა, აღნიშნავს, რომ „შაპმა ალავერდი-ხანი 12 000 ქართველი (მეომრის) სათავე-

12 ჩეპელ სუთუნის სასახლე 1647 წელს აიგო შაპ აბას II-ის მმართველობის დროს. რეალურად სასახლეს აქვს ოცი სვეტი, თუმცა სასახლის წინ აუზში არეველის გამო, ორმოცი სვეტის ილუზიას ქმნის. სასახლე მორთულა სეფიანთა დინასტიის მმართველების ფრესკებით. სასახლის ცენტრალური ნაწილი კი აბას II დარბაზს უკავია, რომელიც მორთულია ძვირფასი თვლებით და მოხატულია ოქროს ტონებით.

ში დააყენა, რადგან თვითონ იგი ქართველი რენეგატი იყო“ (ხინთიბიძე; *Relations de Don Juan de Persia dirigidas a la Magestad Chatolica de Don Philippe III*, 1604). ამ ცნობაში საინტერესოა არა მარტო ის, რომ დონ ხუან სპარსელი ალავერდი-ხანს ქართველად მიიჩნევს, არამედ ისიც, რომ 12 000 კაცი (ყულის ჯარი) ქართველებით ყოფილა დაკომპლექტებული, ე. ი. „ყულის ჯარში“ ქართული ელემენტი დომინირებდა.

საინტერესოა დონ ჯუსტო პრატოს ცნობა: „ქართველების შემწეობით სპარსეთი გამდიდრდა... ასე რომ, ამჟამად სპარსეთის არმია შედგება ქართველი და სომეხი რჯულგანდგომილებით. მათ ხელშია ყველა დიდი თანამდებობაც კი სახელმწიფოში“. შემდევ იგი უმატებს „თვითონ სპარსეთის შაპი აბასიც ქართველი ქრისტიანი ქალის შვილი იყო“ (ტაბაღუა, 1987:191).

ანტონი შერლის ამალის წევრი უილიამ პერი ალავერდი-ხანს ქართველ ქრისტიანს უწოდებს.

წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერი ამბროზიო დუშ ანუშში 1614 წლის 16 იანვარს მადრიდში გაგზავნილ ბარათში აღნიშნავს, რომ ალავერდი-ხანი გამაჰმადიანებული ქართველი იყო.

მაგრამ არის სხვა ცნობაც, რომლის მიხედვითაც, ალავერდი-ხანი სომეხი იყო: ცნობილი იტალიელი მოგზაური პიეტრო დელლა ვალე გვამცნობს, რომ „ალავერდი-ხანი ეროვნებით ქრისტიანი სომეხი იყო, მაგრამ ქართველთ ქვეყნიდან“ (Della Valle, 1972).

თანამედროვე ისტორიკოსებიდან ალავერდი-ხანს ქართველად მიიჩნევენ დენისონ როსი, დევიდ ლენგი, ვ. გაბაშვილი, დ. კაციტაძე, კ. კუცია, მ. სვანიძე, თ. ნატროშვილი და სხვ. სომხად – (პიეტრო დელლა ვალეზე დაყრდნობით) ვლ. მინორ-სკი, ი. პ. პეტრუშევსკი, მ. ს. ივანოვი, ლ. სტროევა (ამათგან, მ. ს. ივანოვი და ლ. ვ. სტროევა იმეორებენ ვლ. მინორსკისა და ი. პ. პეტრუშევსკის მოსაზრებას). ალავერდი-ხანი სომხად მიაჩინიათ თანამედროვე სპარსელ ისტორიკოსს ნასროლა ფალ-საფისა და სომეხ ისტორიკოს მელიქიან-დარბინიანსაც.

ვალერიან გაბაშვილმა 1972 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ეჭვმიუტანლად დაამტკიცა, რომ ალავერდი-ხანი, გვარად უნდილაძე, წარმოშობით ქართველია: იგი ერთ-ერთი ძველი ქართული ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელია, რომელიც XIII-XV საუკუნეებში იხსენიება. ვ. გაბაშვილის აზრით, XV საუკუნეში (ქართლში სათავადოების საბოლოო გამარჯვების პერიოდში) უნდილაძეები უპირისპირდებიან ქართლის სხვა ფეოდალურ საგვარეულოებს. შემდეგ, საქართველოში მათი ხსენება აღარაა. შეიძლება, მათ, შინაფეოდალურ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, თავი შეაფარეს ირანს (გაბაშვილი, 1972:64-84).

უნდილაძეთა სახლის წევრთაგან ირანში, XVI საუკუნის 70-იან წლებში პირველად ალავერდი-ხანმა მიიპყრო ყურადღება. სპარსულ წყაროებში ალავერდი-ხანი პირველად დასახელებულია 1588 წლის ამბებთან დაკავშირებით; ახალგაზრდა შაჰმა აბას I-მა მისი დახმარებით თავიდან მოიშორა მურშიდ-ყული ხანი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ის კაცია, რომლის თანადგომითაც აბას-მირზამ ტახტი ჩაიგდო ხელში და რომელიც იმედოვნებდა, რომ ახალგაზრდა შაჰს თავის ნებაზე ათამაშებდა. თუმცა ნიჭიერმა და პატივმოყვარე შაჰმა მალე დაანახა დიდებულებს, რომ იგი არავის მეურვეობას არ საჭიროებდა.

თავდაპირველად ალავერდი-ხანს ზარგარბაშის (ოქრომჭედლების უხუცესის) თანამდებობა ეკავა, შემდეგ კი იგი დაწინაურდა და აქტიურად ჩაება შაჰს აბას I-ის რეფორმების გატარებაში. იგი ყულის ჯარის, გვარდის სარდალი – ყულარალასი გახდა, 1595 წელს კი მას ფარსის ბეგლარბეგობა უბოძეს; ერთი წლის შემდეგ მის სამფლობელოს ქუპ გილუე მიემატა. 1601 წელს ალავერდი-ხანმა ხელთ იგდო ლარის ვილაიეთი ომანის ზღვის სანაპირო ზოლთან ერთად, ბაჰრეინის კუნძულები და მნიშვნელოვნად შეზღუდა პორტუგალიელების გავლენა ამ რეგიონებში.

ალავერდი-ხანი ფაქტობრივად მეორე პირი იყო სახელ-

მწიფოში შაჰის შემდეგ. აბას I მას დიდ პატივს სცემდა და ანგარიშს უწევდა. პორტუგალიის ელჩი ანტონიო გოვეა გად-მოგვცემს, რომ აბას I-ს მასთან ერთ-ერთი საუბრის დროს უთქვამს: „მთელი სპარსეთი მე მემორჩილება და მე კი – ალა-ვერდი-ხანსო“ (ხინთიბიძე; Gouveia, 1646:43).

საინტერესოა თანამედროვე სპარსელი ისტორიკოსის აზ-რი ალავერდი-ხანზე. ნასროლა ფალსაფი წერს: „შაჰ აბასი ალავერდი-ხანს ყველა სხვა დიდ სარდლებზე უფრო მეტად აფასებდა და დიდ პატივს სცემდა. რადგანაც იგი ხანდაზმული კაცი იყო, შაჰი მას მამას ეძახდა. ვერც ერთი სარდალი ვერ უტოლდებოდა მას ჩინისა და თანამდებობის მხრივ. იგი, კარგად შეიარაღებული და ომში გამოწრობილი ოცდაათი ათასი ცხენოსანი ჯარით, ირანის სამხრეთით მდებარე ყველა ვილაიეთზე, სპარსეთის ყურის სანაპიროსა და კუნძულებზე მბრძანებლობდა. შაჰ აბასი დიდი ომებისას, რომელსაც იგი ოსმალეთთან აწარმოებდა, უმთავრესად მის სამხედრო ძალას ეყრდნობოდა ხოლმე“ (ნასროლა ფალსაფი, 2003:19-20).

1613 წლის ზაფხულში ალავერდი-ხანი მოულოდნელად გარდაიცვალა. მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა თანამედროვეთა შორის მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ნიშანდობლივია, რომ მისი მოულოდნელი სიკვდილი დაემთხვა საქართველოში შაჰ-აბას I-ის ლაშქრობის სამზადისს. შესაძლებელია, შაჰ-აბას I-მა მას გაანდო საქართველოში შემოსვლის გეგმა. ყოველ შემთხვევაში, არსებობდა აზრი, რომ ალავერდი-ხანი შაჰის ბრძანებით მოწამლეს. ეს ვერსია დასტურდება კლოდ მალენგრის წიგნში მოტანილი ცნობით (გამოცემულია სენ ლაზარის მიერ პარიზში 1635 წელს): „შაჰი მეტად განრისხებული იყო: შირაზის ხანი, სახელად ალავერდი და მისი ჰარამხანის მეთვალყურე და მაღალი ხელისუფლებით აღჭურვილი ყორჩიბაში, შეეცადნენ უარი ეთქმევინებინათ შაჰისათვის თავის გადაწყვეტილებაზე, თვითონ პირადად წასულიყო ქართველების წინააღმდეგ სალაშქროდ. ამის გამო ირანის შაჰის რისხვას ვერ გადაურჩინენ:

შაჰემა ბრძანა, ალავერდი-ხანი მოეწამლათ (იგი მოწამლეს). მან სიკვდილის წინ გამწარებულმა ხელები დაუკბინა თავის ცოლს, ყორჩიბაში კი შაჰემა ბრძანებით ჯოხით სცემეს“ (ტაბაღუა, 1987:64).

შაჰ აბას I ამირებისა და დიდებულების თანხლებით თავისი ერთგული და ნამსახური თანამებრძოლის პანაშვიდს დაესწრო: განბანებისა და შესუდრვის ცერემონიალშიც მონაწილეობა მიიღო. შაჰის ბრძანებით, მისი ნეშტი დიდი პატივით გადასვენეს მეშვედში და დაკრძალეს ალავერდი ხანის მიერ აგებულ აკლდამაში (იმამ ხიზას საფლავის მახლობლად). შაჰ აბას I-მა 150 თუმანი გასცა სამეფო ხაზინიდან მისი სუდარისა და დამარხვის ხარჯებისათვის.

მეორე დღეს შაჰ-აბასი იმამყული-ხანს, ალავერდი-ხანის უფროს ვაჟს ეწვია სახლში და გაამზნევა იგი, შემდეგ მამის სახელისუფლო – ფარსის ბეგლარბეგობა უბოძა მას. მანამდე, იმამყული-ხანს დაღესტნის მმართველობა და დივანის ამირას თანამდებობა ჰქონდა. ამასთანავე, მას ყულარალასის თანამდებობაც უბოძეს.

იმამყული-ხანი დედითაც ქართველი იყო. იგი დაკავშირებული იყო ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან: იმამყული-ხანის ერთი ქალიშვილი ანდუყაფარ ამილახორის ცოლი იყო და საქართველოში ცხოვრობდა (ისქანდერ-მუნშის ცნობით, „თვით ის – (ანდუყაფარ ამილახორი – დ. კ.) ფარსის ბეგლარბეგის იმამყული-ხანის სიძე იყო და ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა“) ქმართან ერთად (ისქანდერ მუნში, 1969:130); მეორე ქალი დაუდ-ბეგ გურჯიშე იყო გათხოვილი, მესამე – ალი ყული ბეგის, ირანის სპასალარისა და თავრიზის ბეგლარბეგის როსტომ-ხან სააკაძის ძმის ცოლი იყო. ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ თეიმურაზ I-ის ერთი და გათხოვილი იყო დაუდ-ხან უნდილაძეზე. ვფიქრობთ, ლოგიკური იქნება დასკვნა, რომ უნდილანთ განთქმულ ფეოდალურ სახლს კავშირი არ გაუწყვეტია ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან. შეიძ-

ლება არც იმის აღნიშვნა იყოს ინტერესს მოკლებული, რომ დუშ ანუშის¹³ ცნობით, „შირაზის მეფისნაცვალი დიდი კაცია. მას ორმოცდათი ცოლი ჰყავს და თითქმის ყველანი ქართველები არიან“ (დუშ ანუში, 1987:75-79).

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ „უნდილაანთ ფეოდალური სახლის წარმომადგენლებს მიუხედავად მათი ყულარალასობისა და ბეგლარბეგობისა, საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში პირადად მონაწილეობა არ მიუღიათ. ფარსის ჯარს, ისქანდერ მუნშის ცნობით, მეთაურობდა მათი ხელქვეითი ბიგვერდი-გურჯი სულთანი“ (გაბაშვილი, 1972). ისქანდერ მუნში მოგვითხრობს: „შაჰმა გადაწყვიტა საღვთო ომი იმ გზადაკარგულ ხალხთან (ქართველებთან – დ. კ.) და ერთი რაზმი ისლამისათვის მებრძოლთა ჯარისა ბიგვერდი-ბეგ ქართველის, ფარსის ბეგლარბეგის მოლაზემის მეთაურობით, რომელიც თავისი ხალხის რაზმით [შაჰის] „ბედნიერ უზანგს ახლდა“, მათ წინააღმდეგ გაგზავნა“ (ისქანდერ მუნში, 1969:130).

იმამყული-ხანის სახელი გასცდა ირანის ფარგლებს: მის შესახებ წერენ უცხოელებიც. ინგლისელი თომას ჰერბერთი¹⁴ ასეთ ცნობას გვაწვდის ფარსის ბეგლარბეგის შესახებ: „ეს კა-

13 ამბროზიო დუშ ანუში – იგივე ქოაო პინტო ქეთევან დედოფლის წამების თვითმხილველია. ის 1591 წელს ლისაბონში დაიბადა. 1618 წლიდან სპარსეთში ცხოვრობდა, სადაც პატიმრობაში მყოფ ქეთევან დედოფალს დაუხალოვდა. ავგუსტინელი მამა დიდად აფასებდა დედოფალს და ქართველებს. 1628 წელს დუშ ანუში საქართველოში დასახლდა და გორში კათოლიკური მონასტერი დააარსა. მამა ანუში ცდილობდა, რომ ქეთევან დედოფალი წამების და სიკვდილის შემდეგ რომის პაპს წმინდანად ეღიარებინა, თუმცა მისი კათოლიკობის ცნობა ვერ მოიპოვა. საბოლოოდ აღიარა, რომ ქეთევანი ქართულ ეკლესის ეკუთვნოდა. ის განუწყვეტლივ ექებდა დედოფლის დაკრძალვის ადგილს და რომ მიაგნო, ჯერ მალულად ისპაპანში, შემდეგ კი ინდოეთში გადასვენა. თვითონ დუშ ანუში 1642 წელს რომსა და ლისაბონს შორის გემის კატასტროფას შეეწირა.

14 სერ თომას ჰერბერთი (1606-1682 წ.). – ინგლისელი მოგზაური და ისტორიკოსი, რომლის მთავარ წარმომადგენს სპარსეთის აღწერა (1634 წ.).

ცი არის წარმოშობით ქართველი, სარწმუნოებით მაჰმადიანი, ერთ-ერთი ტეტრარქი, რომელიც განაგებს შაჰ-აბასის იმპერიას. მისი სამფლობელოები აღნევს თითქმის ოთხას მიღს ყოველი მიმართულებით“ (ნატროშვილი, 1991:313). შემდეგ, თომას ჰერბერთი ჩამოთვლის იმამყული-ხანის ტიტულებს: „დიდი ბეგლარბეგი, მეთაური თორმეტი სულტნისა, ორმოცდათი ათასი მხედრისა, მსახური შაჰ-აბასისა და ვარდი აღტაცებისა“ (ნატროშვილი, 1991:313).

იტალიელი მოგზაური და პოლიტიკური დამკვირვებელი პიეტრო დელლა ვალე მოგვითხრობს, რომ „იმამყული-ხანი არის ბეგლარბეგი ფარსისა, რომელიც წარმოადგენს ირანის ყველაზე მნიშვნელოვან პროვინციას და ტერიტორიით გაცილებით ვრცელია პორტუგალიაზე, ხოლო თავისი ძლიერებითა და მდგომარეობით არ ჩამოუვარდება ევროპის მრავალ სამეფოს. შირაზის ხანი კი უჟეველად ყველაზე დიდი პიროვნებაა მთელს ირანში შაჰ-აბასის შემდეგ. მას ძალიან უყვარს ქრისტიანები და მეგობრობს ევროპელებთან“ (Pietro Della Valle, 1972; ნატროშვილი, 1991:313).

აღსანიშნავია ერთი გარემოება: თომას ჰერბერთი და პიეტრო დელლა ვალე იმამყული-ხანის თანამედროვენი იყვნენ და პირადად იცნობდნენ ფარსის ბეგლარბეგს, ამდენად მათი ცნობების მნიშვნელობა იზრდება.

იმამყული-ხანის შესახებ ქართულ წყაროებში საინტერესო და ხელშესახები მასალაა შემორჩენილი. ქეთევან დედოფლის ტრაგიულ თავგადასავალთან დაკავშირებით, ბერი ეგნატაშვილის „სწავლულ კაცთა“ ნაშრომში ვკითხულობთ: „მაშინ გაუგზავნა კაცი შირაზის ხანსა და იპმო ბატონის თეიმურაზის შვილი ალექსანდრე და ლევან და, რა მოიყვანა, გამოასაჭურისნა ორნივე და ამყოფა თვისთა თანა“ (ბერი ეგნატაშვილი, 1940:143; A კ~ვ 10, 296). ამ ბარბაროსული წამების შედეგად უფლისწული ლევანი შეიშალა, ხოლო უფლისწული ალექსანდრე კი მოკვდა. აბას I-მა ეს არ აკმარა თეიმურაზს: დედამისი,

ქეთევან დედოფალი გამოითხოვა. „სწავლულნი კაცნი“ მოგვითხრობენ: „ხოლო ქეთევანისათვს გაგზავნა კაცი და შეუთვალა იმამყულიხანს ვითარმედ: „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენო და თუ არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით მოკალო“ (ბერი ეგნატაშვილი, 1940:143; A კ~ივ 10, 296). იმამყული ხანი შეეცადა ქეთევანის გადარჩენას: „ხოლო იმამყულიხანს რა ესმა ესე, გამოუბრუნა [მოციქული] და მოაქსენა ესრეთ, ვითარმედ: „ბერი დედაკაცი არისო და ახლა ეს არ გათათრდებისო, და რას აქნევთო ამის გათათრებასაო, დაექსენითო, თქუნთვს სირცხვილი არისო ამის სიკვდილი. შაპ აბასზე ამ უარმა არ იმოქმედა. „ხოლო შააბაზ იწყინა და გაუგზავნა კაცი, ვითარმედ არ იქნებისო“ (ბერი ეგნატაშვილი, 1940:143; A კ~ივ 10, 296).

იმამყული-ხანი ეცადა ქეთევანის დაყოლიებას გამუსლიმებაზე, მაგრამ ვერაფერს გახდა: ქეთევან დედოფალმა ქრისტეს რჯული არ უარჲყო. ამის შემდეგ, ქეთევან დედოფალი საშინლად აწამეს (ნატროშვილი, 1991:264).

უფრო მოკლედ მოგვითხრობს ამ ამბავს ვახუშტი ბატონიშვილი: „ამ უამთა კახთა მცირედ იწყეს შენობა და მოსახლეობა, არამედ კუალად მიესმა ესე ყოველი შააბაზს, განრისხნა და განძვნდა, მიუწერა შირაზის ბეგლარბეგსა, რათა გაამაჰმადიანოს დედა თეიმურაზისა ქეთევან დედოფალი, და უკეთუ არა ჰყოს გმობა ქრისტესი, მოლას ტანჯვითა ფიცხელითა. და ამან მოკლა ქრისტესთვს ტანჯვითა ფერად-ფერადითა, ვითარცა მოგვითხრობს მეტაფრასი მისი ქადაგი ჩეკვდ, ქარ. ტ~იბ, სეკტენბერსა ი~ბ“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973:591-592).

ისქანდერ მუნში იმამყული-ხანის შესახებ წერს: „იმამყული-ხანი, ალავერდი-ხანის შვილი, რომელიც მამის ნაცვლად ფარსის, ქუპებილუიეს, ლარის, ბაჟრეინისა და ჯორუნის ბეგლარბეგია. მისდამი დაქვემდებარებულ ამირებთან ერთად, რომლებიც სხვადასხვა თანამდებობას ასრულებდნენ“ (ისქანდერ მუნში, 1969:147).

იტალიელი პიეტრო დელლა ვალე თავის წერილებში საკმაოდ დადებითად აფასებს იმამყული-ხანს. იგი აღნიშნავს, რომ შირაზის ხანი მფარველობდა ქეთევან დედოფალს, ცდილობდა მის გადარჩენას; ასევე მფარველობდა იგი დატყვევებული ლუარსაბ II-ისა და თეიმურაზის შვილებს. „ამ იტალიელი გრანდის წერილებში ხაზგასმულია იმამყული-ხანის თავისი ქვეყნის (საქართველოს) თვისტომთა და ხალხის არაჩვეულებრივი სიყვარული“ (გაბაშვილი, 1972:72).

ამჟამად, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა თეიმურაზ I-ის საისტორიო პოემის „წამება ქეთევან დედოფლისა“ ცნობები.

თეიმურაზ I, წამებული დედოფლის ვაჟიშვილი, რომელიც გაბოროტებული უნდა იყოს იმამყული-ხანზე (მოვიგონოთ, რომ ქეთევან დედოფალი ანამეს შირაზში იმამყული-ხანის ბრძანებით; მართალია, შეაც აპას I-ის უზენაესი ნება-სურვილით, მაგრამ შაჰის სურვილის უშუალო აღმასრულებელი ხომ იმამყული-ხანი იყო?!), შემდეგნაირად ახასიათებს იმამყული-ხანს:

„შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი,
მდაბალი, ტკბილი, მოწყალე, აქებენ სულად ქვენანი,
ლირსეულია ღვთისაგან, მითა სცავს ძალთა ზენანი...“

(თეიმურაზ I, 1928:37)

ცოტა არ იყოს, მოულოდნელია წამებული დედოფლის ვაჟიშვილის, ყიზილბაშების წინააღმდეგ მებრძოლი მეფე-პოეტის მიერ იმამყული-ხანის ამგვარი შეფასება!? მაგრამ, თუ მოვიგონებთ პიეტრო დელლა ვალეს ცნობას იმის თაობაზე, რომ იმამყული-ხანი შეძლებისდაგვარად მფარველობდა ქეთევან დედოფალს, მაშინ გასაგები გახდება თეიმურაზ I-ის მიერ იმამყული-ხანის ესოდენ დადებითი შეფასება.

თეიმურაზ I-ის მიხედვით, იმამყული-ხანი ყოველნაირად ცდილობს, თავიდან ააცილოს ქეთევანს საშინელი განსაცდელი-წამებით სიკვდილი:

„რა შაპაზ შეუთვალა შირაზისა ხანლარ-ხანსა:

„შენ ქეთევან დედოფალსა ნუ აცოცხლებ დიდსა ხანსა,
ვირ არ შევსვამ სისხლსა მისსა, არ ავიღებ დასტახანსა,
წელსა ათად გავათავებ, მოვიგონებ ხანდის-ხანსა“

(თეიმურაზ I, 1928:36).

შაჲ აბას I დაუინებით მოითხოვდა ქეთევან დედოფლის გა-
მაჲმადიანებას, სანაცვლოდ დიდებასა და პატივს პეირდებოდა:

„თუ მუსურმანი შეიქნეს ეგე ლალი და ჯანია,
მაჲმადის რჯულზედ მოიქცეს, აზრაველს მისცეს ჯანია,
მე მურთუზალი მიფიცაგს, არ უყო ისკანჯანია,
არა გმოს იესო ქრისტე – მიეცით დიდი რჯვანია“

(თეიმურაზ I, 1928:36).

თეიმურაზ I-ის საისტორიო პოემაში მოტანილი ეს ცნობა
დასტურდება ევროპული წყაროების (ამბროზიო დუშ ანუში,
პიეტრო დელლა ვალე...) ცნობებით.

იმამყული-ხანი გაოგნებულა შაჲის ამ უკეთური წინადადე-
ბის მოსმენისას და უცდია შაჲისთვის, გადაეთქმევინებინა ამ
საზარელი განზრახვის შესრულება:

„იმამყული-ხანს რა ესმა საქმენი საზარონია,
მეტად გაკვირდა, ესა სთქვა: „მისი რა საკადრონია?
ვიცი რომ არ გათათრდების, თუცა არა აქვს დრონია,
თეიმურაზის დედასა ვით ვკადრო უკადრონია?“

(თეიმურაზ I, 1928:37)

შაჲ-აბას I-ის გადაწყვეტილება მტკიცე იყო: იგი დაბეჯი-
თებით მოითხოვდა იმამყული-ხანისაგან ქეთევან დედოფლის
გამუსლიმებას, უარის შემთხვევაში კი – წამებას. იმამყული-
ხანი ყოყმანობდა: როგორც ჩანს, მას უჭირდა და უმძიმდა ქე-
თევანისათვის შაჲ აბას I-ის ბრაძანების გამხელა. თეიმურაზის
საისტორიო პოემაში ამის შესახებაცაა საუბარი. მეფე-პოეტი
იმამყული-ხანს ათქმევინებს:

„ვით უამბო, ვით შევკადრო ტყვესა ჩემსა ანაბარსა,
მე მინდოდა სამსახური, არ უძახდი განაპარსა,
არ ვისმინო, რაღა უყო, ხელმწიფისგან დანაპარსა,
მოციქული გაუგზავნა, არ უვლიდეს მთას და ბარსა“
(თეიმურაზ I, 1928:37).

იმამყული-ხანი ბევრს ეცადა ქეთევან დედოფლის გამუს-ლიმებას და ამით მის ფიზიკურად გადარჩენას, მაგრამ უშე-დეგოდ: ქეთევან დედოფალმა ქრისტეს რჯულს არ ულალატა და შირაზის ბეგლარბეგიც იძულებული გახდა, შეესრულებინა შაჰის ბრძანება: კახეთის დედოფალი საშინლად აწამეს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ დავასკვნით: მიუხედა-ვად მუსლიმობისა და ირანში დიდმოხელეობისა, იმამყული-ხა-ნი მაინც ქართულ სულს ინარჩუნებს და შესაძლებლობების ფარგლებში ირანში ქართულ საქმეს ემსახურება.

იმამყული-ხანმა ირანში სახელი გაითქვა თავისი სააღმშე-ნებლო საქმიანობითაც: ალსანიშნავია, რომ იმამყული-ხანის ხელმძღვანელობით ისპაჰანის ახლოს დიდი საირიგაციო ნაგე-ბობების მშენებლობა მიმდინარეობდა.

იმამყული-ხანი იმდროინდელი ირანის ერთ-ერთი უმდიდ-რესი კაცი ყოფილა. იგი ფლობდა ფუნდუკებს, ბაზრებს, ქარ-ვასლებს. XIX საუკუნის ინგლისელ ისტორიკოსს, ჯონ მალ-კოლმს დამონმებული აქვს ერთი სპარსული წყარო, სადაც არის ცნობა, რომლის მიხედვითაც, შაჰ აბას I-ს იმამ-ყული ხანისათვის ასე მიუმართავს: შენ ერთი დირჰემით ნაკლები მაინც დახარჯე, რათა ხალხმა დაინახოს განსხვავება შაჰსა და ხანს შორისო.

ასეთი ცნობა აქვს XVIII საუკუნის მოგზაურსა და ვაჭარს, ფრანგს, უან ბატისტ ტავერნიეს. იგი მოგვითხრობს, რომ იმამ-ყული-ხანი იყო უაღრესად შეძლებული კაცი, სარგებლობდა მთელი ქვეყნის სიყვარულით და მას გარს ერტყა ირანის უმა-მაცეს მხედართა ელიტა. იგი გულუხვად აჯილდოებდა მხედ-რებსაც და სწავლულებსაც. უყვარდა უცხოელი სტუმრები,

იცოდა ლამაზი ნივთების ყადრი. ხელს უწყობდა და ზრუნავდა მეცნიერებისა და ხელოვნების მსახურებზე.

იმამყული-ხანს ქებით იხსენიებს გერმანელი ადამ ოლეა-რიუსიც, რომელიც აღნიშნავს, რომ იგი უზარმაზარი სიმდიდ-რის პატრონი იყო და განთქმული იყო თავისი ქველმოქმე-დებით. მას ხაზგასმული აქვს აგრეთვე იმამყული-ხანის სამ-ხედრო ნიჭი. „იგი ყველა ლაშქრობაში იჩენდა თავს, როგორც უბადლო გმირი და რაინდი“ (ნატროშვილი, 1995).

იმამყული-ხანი ძალიან განათლებული პიროვნება ყოფილა: იგი თანამედროვეთა ყურადღებას იქცევდა თავისი მწიგნობ-რული ინტერესებით. შირაზის ბეგლარბეგი დაინტერესებული ყოფილა პლატონისა და არისტოტელეს თხზულებებით. მას კარმელიტი მისიონერებისათვის უთხოვია რომიდან პლატონი-სა და არისტოტელეს თხზულებათა ტექსტების (ბერძნულ და ლათინურ ენებზე), აგრეთვე არაბულ-ლათინური ლექსიკონე-ბისა და არაბულად გადათარგმნილი ბიბლიის გამოწერა (შირა-ზის კარმელიტთა მისიონის პრეფექტის დიმასის 1623 წლის 23 სექტემბრის წერილი).

იმამყული-ხანი თანაბრად იყო დაინტერესებული დასავ-ლური და აღმოსავლური კულტურის მიღწევებით. ამასთან, ბერძნულ-ბიზანტიურ კულტურასთან დამოკიდებულების ტრა-დიცია დამახასიათებელი იყო არა XVI-XVIII საუკუნეების ირა-ნისათვის, არამედ საქართველოსათვის (გაბაშვილი, 1972:72). შეიძლება ესეც, მისი მაღალი ინტელექტი, მიუთითებდეს მის სიახლოვეზე ქართულ სამყაროსთნ.

იმამყული-ხანი ძალიან ცნობილი სარდალი იყო. იგი ხელ-მძღვანელობდა ყიზილბაშთა მიერ ყანდაარის აღების სამხედ-რო ოპერაციას და 1623 წელს პორმუზის განთავისუფლებას.

შირაზის ბეგლარბეგის ცხოვრება-მოღვაწეობა მრავალ საისტორიო წყაროებშია აღწერილი. სპარსულად დაინტერა საის-ტორიო ნაწარმოებები „ჯანგ ნამა-ი ქიშმ“ და „ფარუნ-ნამე“. ამ პოემების ავტორია თანამედროვე სპარსელი პოეტი კად-

რი. „ჯანგ ნამა-ი ქიშმ“ ეხება კუნძულ ქიშმის (ქეშმის) დაპყრობას იმამყული-ხანის სარდლობით, ხოლო „ფარუნ-ნამე“ დაწერილია ჰორმუზთან პორტუგალიელების დამარცხების და სპარსელთ გამარჯვების აღსანიშნავად. მას დართული აქვს დამატება, რომელშიც აღნერილია 1622 წლის მომდევნო ამბები (მათ შორის, შაჳ სეფის მიერ იმამყული-ხანის სიკვდილით დასჯა 1633 წელს).

ალავერდი-ხანის მეორე ვაჳი, დაუდ-ხან უნდილაძე, ძმაზე (იმამყული-ხანზე) ნაკლები სარდალი და მოღვაწე არ ყოფილა. ზოგიერთი თანამედროვეს მოწმობით, სამხედრო ნიჭით დაუდ-ხანი იმამყული-ხანს სჯობნიდა და ომშიც ბედი უფრო მეტად უჭრიდა. მისი სარდლობით ფარსის ჯარმა დაიპყრო გამპრუნი, სადაც შემდეგ ცნობილი ნავსადგური ბენდერ-აბასი დაარსდა (გაპაშვილი, 1972:75).

დაუდ-ხანმა სახელი გაითქვა თავისი სააღმშენებლო მოლვანეობითაც. იგი აშენებდა ბაზრებს, ქარვასლებს, სასახლეებს და სხვ. ირანში დიდხანს ახსოვდათ დაუდ-ხანის სახელი (XVII საუკუნის 70-იან წლებშიც). ფრანგი ნეგოციანთი უან შარდენი, რომელიც 1674 წ. იმყოფებოდა ირანში, აღნიშნავს, რომ არის დაუდ-ხანის ბაზარი. იგი ასახელებს აგრეთვე დაუდ-ხანის ქარვასლასაც, რომელშიც 200 ოთახი იყო. ეს ქარვასლა ინდოელი ვაჭრებისთვის იყო განკუთვნილი.

შარდენი მოგვითხრობს სოფ. ამნაბადის შესახებ (ისპაპან-ბენდურ აბასის საგაჭრო საქარავნო გზაზე მდებარე დასახლებული პუნქტი) და იხსენიებს დაუდ-ხანის აგებულ ციხე-სიმაგრეს და შესანიშნავ ქარვასლას.

დაუდ-ხანის სასახლის კედლის მხატვრობას და შესანიშნავ ბაღს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ჰერბერტზე, რომელმაც დარბაზის პატრონს ლათინურად დაწერილი ლექსი მიუძღვნა.

შაჳ აბას I-მა დაუდ-ხანი 1625 წელს ზიად-ოღლი ყაჯარის ნაცვლად განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგად დანიშნა, ისქანდერ მუნშის მიხედვით, შაჳ აბას I ზიად ოღლი ყაჯარს იმის გამო

გაუწყრა, რომ გიორგი სააკაძის (მოურავის) ბოროტების გა-
მოვლენაში მას გულგრილობა გამოუჩენია, მოურავს კი მისი
ქვეყანა დაულაშქრავს. სწორედ ამიტომ ზიად-ოღლი ყაჯა-
რი „ყარაბალის ამირთა ამირობიდან გადაყენებული იქნა და
დაუდ-ხანი, ალავერდი-ხანის ძე, რომელიც თბილისის დასაცა-
ვად და საქართველოს მიდამოების საქმეთა მოწესრიგებისათ-
ვის განწესებული [მაშინ] იმ მიდამოებში იყო, ამ დიდი თანამ-
დებობის მიღებით გაბედნიერდა“ (ისქანდერ მუნში, 1969:144).

ისქანდერ მუნში კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოე-
ბას, თუ როგორ მოხდა დაუდ-ხანის დანიშვნა განჯა-ყარაბა-
ლის ბეგლარბეგად: „დაუდ-ხანი, იმამყული-ხანის ძმა, მოპა-
მედ-ყული ხან ყაჯარის ნაცვლად, რომელიც ქართველი მოუ-
რავის საქმესთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულისათვის
ყარაბალის მმართველისა და ამირთა-ამირობიდან დათხოვნი-
ლი იქნა, ამ ვილაეთის ბეგლარბეგი და ყაჯართა ელისა და
ომახის წინამძღოლია“ (ისქანდერ მუნში, 1969:147).

სწორედ ამ პერიოდიდან იწყება და მტკიცდება კავშირი
თეიმურაზისა და დაუდ-ხანს შორის. მანამდე კი, მარაბდის
ომის წინ, შაჰ აბასმა დაუდ-ხანს უბრძანა საქართველოში ყი-
ზილბაშთა მოსაშველებლად წასვლა, მაგრამ მან ამ ბრძანების
შესრულება თავიდან აიცილა. სომეხი ისტორიკოსი ზაქარია
კანაკერცი¹⁵ მოგვითხოვს, რომ „როდესაც შაჰმა გააგზავნა
მოურავის წინააღმდეგ ყორჩი-ბაში, გააგზავნა მაცნე დაუდ-
-ხანთან, რათა იგიც წასულიყო ყორჩი-ბაშთან ერთად, მაგ-
რამ იგი არ წავიდა მის მოწოდებაზე და მოიგონა მიზეზი, რომ
თითქოს იგი დაჭრილია და ამიტომაც არ წავიდა“ (წატროშვი-
ლი, 1991:354).

დაუდ-ხანი თეიმურაზ I-ს განსაკუთრებით დაუახლოვდა
მარაბდის ომის შემდეგ. თეიმურაზ I შაჰ აბას I-თან მოლაპარა-
კებას სწორედ დაუდ-ხანის მეშვეობით აწარმოებდა. ისქანდერ

15 ზაქარია კანაკერცი (ქანაქერცი) (1627-1699 წწ.) ასევე მოიხსენიება,
როგორც ზაქარია სარკავაგი.

მუნში მოგვითხრობს: „თეიმურაზმა თავისთვის უმჯობესად სცნო, რომ შეხვეწნოდა [შაჰის] კარს. ალავერდი-ხანის შვილს, რომელიც ყორჩიბაშის განკარგულების თანახმად, თავისი ერთი რაზმით თბილისში იდგა, გაეცნო და დაუმეგობრდა. მათ შორის მიწერ-მოწერა და მისვლა-მოსვლა გაიმართა. გასულ წელს მან მისი მეშვეობით მორჩილების არზები გაგზავნა ქვეყნის საფარველ კარზე“ (ისქანდერ მუნში, 1969:139-140).

დაუდ-ხანის შუამავლობით შაჰ-აბას I-სა და თეიმურაზ I-ს შორის „მეგობრული“ ურთიერთობა დამყარდა: თეიმურაზ I-მა მორჩილება იკისრა: [თეიმურაზმა] „ხელი ჩასჭიდა მისი შუამ-დგომლობის კალათს“ და თავისი საქმე მის წება-სურვილსა და შეხედულებას მიანდო. მან პირობა დასდო, რომ თუ ხელმწიფის წყალობა და შევრდომა მოევლინებოდა, თავის სიცოცხლეში აღარ ასცდებოდა მონობისა და მორჩილების გზას.

დაუდ-ხანის შუამავლობის შედეგი უნდა იყოს საქართველოს მიმართ ის „კომპრომისული“ პოლიტიკა, რომელსაც 1625 წლიდან დაუბრუნდა შაჰ აბას I. შაჰ აბას I დარწმუნდა, რომ „გურჯისტანის საკითხის“ ერთი ხელის დაკვრით გადაჭრა მის ძალ-ღონეს იმუამად აღემატებოდა, ამიტომაც იგი კომპრომისის გზას დაადგა: მან თეიმურაზ I ქრისტიანობით აღიარა ქართლის მეფედ, ისე რომ სიმონ II თბილისში დატოვა. ამ აქტით შაჰ აბას I ვარაუდობდა ქართული ფეოდალური საზოგადოების ძალების დაქსაქსვას; „მანვე ხელახლად აღადგინა ორენვანი საბუთი. ქართლში თავისებური „ორიანობა“ შეიქმნა. თბილისში მაჰმადიანი ხანი იჯდა, ხოლო ამავე დროს შაჰი თეიმურაზ I-ს ქართლ-კახეთის ქრისტიან მეფედ სცნობდა“ (გაბაშვილი, 1958).

უნდილაძეთა გავლენა შაჰ აბას I-ის დროს სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, მაგრამ 1629 წელს შაჰ აბას „დიდი“ გარდაიცვალა. მას პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩენია (შაჰ აბას I-ს ხუთი ვაჟი ჰყავდა: 1. მუჰამედ ბაყერ-მირზა, ცნობილი სეფი-მირზას სახელით; 2. ჰასან-მირზა; 3. სულთან მუ-

ჰამედ-მირზა, ცნობილი ბუზაქ-მირზასა და ხოდაპენდე-მირზას სახელით; 4. ისმაილ-მირზა; 5. იმამყული-მირზა; ტახტის მემკვიდრე – უფროსი ვაჟიშვილი, სეფი-მირზა, მან მოაკვლევინა ორი ვაჟიშვილი – მუჰამედ მირზა და იმამყული-მირზა შაჰის ბრძანებით დააბრმავეს, ისმაილ-მირზა და ჰასან-მირზა ბავშობაშივე გარდაიცვალნენ), ასე რომ ტახტი გადასცა შვილიშვილს – სეფი მირზას შვილს, საამ-მირზას (დედამისი ქართველი ქალი იყო. ადამ ოლეარიუსის მიხედვით, ეს ქართველი ქალი შაჰ აბას I-ისათვის უჩუქებიათ, მაგრამ რადგანაც იგი სეფი-მირზას შეუყვარდა, შვილს მასზე დაქორწინების ნება დართო), რომელიც ირანში მცხოვრები ქართველი ბატონიშვილის – დაუდ-ხანის უკანონო შვილის, ხოსრო-მირზას დახმარებით ავიდა ტახტზე სეფი I-ის სახელით.

სეფი I (1629-1642 წწ.) განებივრებული და ავადმყოფურად სასტიკი ახალგაზრდა იყო. ტახტზე ასვლის შემდეგ მან თანდათანობით ჩამოიცილა შაჰ აბას I-ის კარზე დაწინაურებული ნიჭიერი მოხელეები, სამაგიეროდ თავისი მომხრეები დააწინაურა. შეირყა უნდილაანთ ფეოდალური სახლის მდგომარეობაც.

შაჰ აბას I-ის ანდერძის თანახმად, შაჰ-სეფის მრჩეველი იმამყული-ხანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხოსრო-მირზამ პირველობა არავის დაუთმო: იგი ყველაზე უფრო ახლოს იყო ახალგაზრდა შაჰთან. ხოსრო-მირზას (შაჰ სეფიმ მას როსტომი უწოდა) სახით იმამყული-ხანს (და საერთოდ, უნდილაძეთა ფეოდალურ სახლს ირანში) სახიფათო მეტოქე გამოუჩნდა. ირანში მყოფი ქართველებიც ამ ორი ძლიერი პიროვნების გარშემო დაირაზნენ. ფარული ბრძოლა მათ შორის კარგა ხანს გაგრძელდა, რადგან უნდილაძეთა ერთბაშად დამხობა ადვილი საქმე არ იყო (ირანში მათ ძალიან დიდი გავლენა ჰქონდათ). როსტომ-ხანი ფრთხილად იქცეოდა და ხელსაყრელ მომენტს ელოდა უნდილაძეთა გზიდან ჩამოსაშორებლად.

როსტომის მომხრეებმა საწადელს მიაღწიეს: შაჰ სეფი I-მა დაუდ-ხანი მეჯლისიდან გააგდო. სპარსოფილი, ქართვე-

ლი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც დაუდ-ხანს „უჭკუო და ამაყ კაცს“ უწოდებს, აღნიშნავს, რომ ყაენს იგი „როსტომ მეფის გულისათვის მეჯლიშიდამენ გაეგდებინა“ (გორგიჯანიძე, 1925:238).

ისტ-ინდოეთის კომპანიის აგენტი კაპიტანი ვედელი გვამ-ცნობს 1633 წლის 14 მარტით დათარილებული წერილით, რომ „შირაზის ხანის ძმა შაჰთან მეჯლისზე ყოფნის დროს გაკადნიერ-და და დაუშვებელი სიტყვები წარმოთქვა. შაჰის ბრძანებით იგი დაუყოვნებლივ მეჯლისიდან გააგდეს და ქვეყნის წესისამებრ და-საჯეს. ამ შეურაცხყოფის შურისძიებისა თუ შაჰის შემდგომი უკმა-ყოფილებით შეშინებული, იგი ქართველებთან გაიქცა“. ეს ამბავი 1630 წლის ბოლოს, თუ 1631 წლის დასაწყისში უნდა მომხდარიყო.

კაპიტან ვედელის წერილიდან არ ჩანს, ვინ იყო ამ „დაუშვებელი სიტყვების“ ადრესატი, მაგრამ ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და ზემოხსენებული ევროპული წყაროს ცნობების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის შემდეგ, საფიქრებელია, რომ დაუდ-ხანმა არასაკადრისი სიტყვებით ხოსრო-მირზა (როსტომი) გალანძლა. „სავსებით აშკარაა: დაუდ-ხანს დაუშვებელი სიტყვები გამოუყენებია ახალი ყულარალასის წინააღმდეგ. მაშასადამე, კონფლიქტი როსტომ-ხანსა და დაუდ-ხანს შორის ამ მეჯლისამდე კარგა ხნით ადრე არსებობდა. როსტომ-ხანი 1629 წელს გახდა ირანის პირველ კაცად. ახალგაზრდა შაჰი ხელზე დაიხვია და დაუყოვნებლივ შეუდგა ძველ ხელისუფალთა გავლენის დამცრობა-დამდაბლებას. ამიტომ დაუდ-ხანს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ როსტომ-ხანი და მისი მომხრენი უნდილაანთ საზიანოდ მოქმედებდნენ და მათს წინააღმდეგ ისეთ ხმებს ავრცელებდნენ, რასაც შაჰის გულისწყრომა უნდა გამოეწვია. თავის მხრივ, უნდა ვიფიქროთ, დაუდ-ხანს თვალში არ მოსდიოდა არც როსტომ-ხანის პირველობა, არც მისი მოქმედება თეიმურაზის წინააღმდეგ“. (გაბაშვილი, 1972:64-84).

მეჯლისიდან გაძევებული დაუდ-ხანი საქართველოში წა-

ვიდა, შეუკავშირდა თეიმურაზ I-სა და შაჰ-სეფის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო. აჯანყებულებმა განჯა-ყარაბაღი დაარბიეს. განჯა-ყარაბაღის დარბევაში მონაწილეობდნენ: თეიმურაზ I ლაშქრითურთ, იმერეთის მეფე ალექსანდრე, სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი, მესხი თავადები და აზნაურები, ქართლელები და კახელები. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ აჯანყებულებს მოემხრო განძასარის სომხეთ კათოლიკოსი: იგი თეიმურაზ I-ს ეახლა და ლაშქრით მიშველება შესთავაზია. „ასე რომ ფაქტიურად ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხთა აჯანყებას ირანის ბატონობის წინააღმდეგ. აჯანყებულთა შორის იმყოფებოდა დაუდ-ხან უნდილაძეც, რომელიც უფრო ადრე, ზაქარია სარკავაგის მონმობით გიორგი სააკაძის აჯანყებასთან იყო დაკავშირებული“ (გაბაშვილი, 1972:68).

შაჰ სეფიმ ჯავრი იმამყული-ხანზე და მის შვილებზე იყარა: ყაზვინის მოედანზე დახოცეს იმამყული-ხანის სამი ვაჟი – ლარის ბეგლარბეგი სეფი-ყული ხანი, ფათალი-ბეგი და ალი ყული-ბეგი, თვით იმამყული-ხანის მოსაკლავად კი მისივე სიძეები გაგზავნა, რომელთაც დასაძინებლად გამზადებული ხანი მოტყუებით გარეთ გამოიყანეს და მოკლეს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ შაჰმა იმამყული-ხანის და მისი ვაჟების სიკვდილით დასჯა დაავალა მის სიძეებს დაუდ-ბეგ-გურჯის, ალი ყული-ბეგ სააკაძეს და ქელბალი-ბეგ ეშიკალასის. „შაჰ სეფიმ ფარსის გადაყენებულ ბეგლარბეგს ჯალათებად მისივე ახლო ნათესავები დაუნიშნა. ეს ახალგაზრდა შაჰის უბრალო კაპრიზი და ვერაგობა არ იყო. მას ეშინოდა ქართველების შურისძიებისა და წინასწარ თადარიგს იჭერდა, რათა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი რეაქცია სახელგანთქმული იმამყული-ხანის სიკვდილით დასჯის გამო. ქელბალი-ბეგ ეშაკალა-სი კი, როგორც ჩანს, ყაჯართა ყიზილბაშურ ტომს ეკუთვნოდა და მისი მონაწილეობა უნდილაანთ სახლის წევრების დასჯაში სისხლის აღების ყიზილბაშურ წესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული“ (გაბაშვილი, 1972:68).

შაჲ სეფი I, როგორც ჩანს, თავიდანვე ეჭვით უყურებდა დაუდ-ხანს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ შაჲს მძევლად ჰყავდა დაუდ-ხანის ერთ-ერთი ცოლი და ვაჟი. როდესაც შაჲმა თეიმურაზისა და დაუდ-ხანის ერთობლივი აჯანყების ამბავი გაიგო, მისი ცოლი საროსკიპოში მოათავსა, რათა ყველას პატივი აეხადა მისთვის, ხოლო მისი ვაჟი კი მეჯინიბებს მიუგდო.

თეიმურაზისა და დაუდ-ხანის ერთობლივმა აჯანყებამ განარისხა შაჲი, მაგრამ მან მაინც სიფრთხილე ამჯობინა: თეიმურაზის მოსთხოვა მასთან თავშეფარებული განვა-ყარაბალის ბეგლარბეგის გაცემა, სამაგიეროდ კი შეწყალებას და აურაცხელ საბოძვარს შეჰპირდა მას. მაგრამ, ამ ფანდმა არ გასჭრა: თეიმურაზმა დაუდ-ხანის გაცემა არ იკადრა. მეფე-პოეტი არჩილი გადმოგვცემს:

„ყაენმა მთხოვა ბევრითა წყალობა უსაზომოთა,
„დასწყნარდი, მამეც დაუდ-ხან, გაძელ ჩემითა ომითა,
წყალობა გიყო მრავალი არ ხერხად შემამდგომითა“
ამად ვერ ვქენ, ვერ მივეც, რომ ხმალზედ მამენდო მითა.“
(არჩილიანი, 85)

როგორც ვხედავთ, თეიმურაზმა ქართული სტუმარ-მასპინძლობის ნესი არ დაარღვია და სტუმარი არ გასცა. დაუდ-ხანმა ოსმალეთს შეაფარა თავი.

შაჲ სეფიმ ფარსის ბეგლარბეგად ოლურლუ-ხანი ეშიყალა-სიბაში დანიშნა და მას დაავალა იმამყული-ხანის დარჩენილი ნათესავების ამოწყვეტა, აგრეთვე დაუდ-ხანის ვაჟის – გორგანის მმართველის მოკვლა.

უნდილაძეთა ძლიერი ფეოდალური სახლის დაცემამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მიზეზებსაც დაუწყეს ძიება. საინტერესოა, რომ ასეთი ვერსიაც ყოფილა: თანამედროვე სპარსელი ისტორიკოსი ნასროლა ფალსაფი გადმოგვცემს, რომ შაჲ-აბას I თავის ყველაზე დაახლოებულ პირს, იმამყული-ხანს

თავისი ჰარამხანიდან ქალებს უგზავნიდა ხოლმე საჩუქრად. ერთ-ერთი ქალი ფეხმძიმედ აღმოჩნდა და მას მალე ვაჟი შეეძინა. იმამყული-ხანს თითქოს განზრახული ჰქონდა ამ ვაჟის (შაჰ აბასის შვილის), ტახტზე აყვანა შაჰ აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ. სეფი I-მა იმის შიშით, რომ იმამყული-ხანს თავისი განზრახვა არ შეესრულებინა, მთელი მისი საგვარეულო ამოაწყვეტინა.

ისქანდერ მუნში მოგვითხრობს, რომ თეომურაზს და დაუდ-ხანს მეზობელი მხარეების ამირებისათვის წერილები გაუგზავნიათ, რომელთა შინაარსი ასეთია: „ჩვენი აჯანყების მიზანია მეფისნულის ტახტზე აყვანა, რომელიც იმამყული-ხანთან იმყოფება ფარსში“ (ისქანდერ მუნში, 1939:109-116). სპარსელი ისტორიკოსი დასძენს: ამ წერილებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, თუმცა მათი შინაარსი სინამდვილეს არ შეეფერებოდაო.

ასეა თუ ისე, უნდილაძეთა ფეოდალურ სახლს შაჰ სეფი I-მა ანგარიში გაუსწორა და ფაქტობრივად გაანადგურა, თუმცა ამ სახლის ცალკეულ წევრთა სააღმშენებლო საქმიანობა დიდი ხნის განმავლობაში ახსოვდათ ირანში. ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ ისპაჰანში მდ. ზაინდე-რუდზე დღესაც მოქმედებაშია ალავერდი-ხანის მიერ აგებული ოცდაცამეტმალიანი ხიდი.

უნდილაძეთა ფეოდალური სახლის ირანში მოღვაწეობის შესახებ საუბრისას უნდა მოვიხსენიოთ იმამყული-ხანის ვაჟი, რომლის შესახებაც ისქანდერ მუნში თავის ძირითად თხზულებაში – „თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასიში“ ასეთ ცნობას გვაწვდის: „სეფიოული-ხან ქართველი, შირა-ალის ტიტულით წოდებული, რომელიც არაბეთის ერაყის ბეგლარბეგი, ყორჩიბაში და წმინდანთა ბალებისა და იმამთა საფლავების მოთავალია, როგორც ჰაფეზ-აჰმად ფაშას ბალდადზე გამოლაშქრება – გაბრუნების ამბავში უკვე იქნა მითითებული, ხსენებულმა ხანმა ამ ბრძოლაში დიდი მამაცობა გამოიჩინა და ჭეშმარიტად [ხელმწიფური] აღზრდის ღირსი იყო“ (ისქანდერ მუნში, 1969:147).

ისქანდერ მუნში სეფი ყული ხანის შესახებ მოკლე ცნობას გვაწვდის „თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასის“ გაგრძელებაშიც: „შორსმჭვრეტელი მბრძანებლის განკარგულებითა და შექმნილი აუცილებლობის გამო [იმამყული-ხანის] უფროსი ვაჟი – სეფი ყული ხანი ორ დანარჩენ ვაჟთან ფათჰალი-ბეგთან და ალიყული-ბეგთან ერთად მოკლეს იმ დროს, როდესაც ისინი მისი უკეთილშობილესობის სამსახურში შუშეუნების კაშკაშს უყურებდნენ და ღვინით სიმთვრალისა და სიამაყისაგან გალე-შილები იყვნენ“ (ისქანდერ მუნში, 1939:116-119).

შემდეგ: „სეფი ყული-ხანი – იმამყული-ხანის ვაჟი, იბრაჟიმ-ხანის შემდეგ ლარის ვილაიეთის ვალი და იმ მხარის მბრძანებელი იყო. [იგი] მაღალ ამირთა რიგებში ირიცხებოდა, როდესაც იმამყული-ხანის ძლიერება და ძალა სასჯელის მახვილის ელვარებით ქარმა გაანადგურა, ნაპერწკლები ამ კვამლიდან მთელ მის საგვარეულოზე წამოვიდა. სეფი-ყული ხანმაც, რომელიც მისი უფროსი მემკვიდრე იყო, მამის ბედი გაიზიარა“ (ისქანდერ მუნში, 1939:293).

XVII საუკუნის ირანში კიდევ სხვა მრავალი, ნაკლებად ცნობილი ქართველი მოღვაწეობდა. იტალიელი ჯუსტო პრატო გვამცნობს: „დღეს მთელი სპარსეთი სავსეა ქართველებით – რჯულგანდგომილებით. მათ ხელშია კველა დიდი თანამდებობაც კი სახელმწიფოში. თვითონ სპარსეთის შაჰი აბასიც კი ქართველი ქრისტიანი ქალის შვილი იყო“ (ტაბალუა, 1987:191). ამ ცნობაში საყურადღებოა ისიც, რომ ლეგენდა შაჰ-აბას I-ის ქართული წარმომავლობის შესახებ ევროპულ წყაროებშიც გვხვდება, რაც ჩვენის აზრით, ქართული ელემენტის დაწინაურებაზე უნდა მიუთითებდეს.

ისქანდერ მუნშის თხზულებაში ზოგიერთი მათგანის შესახებ მოკლე ცნობები არის შემორჩენილი. მაგ., „ჯემშიდ სულთან ქართველი ეიდლუ ავშარის ოიმახის ამირი და ხორასნის აბივერდის ჰაქიმი არის“ (ისქანდერ მუნში, 1969:147); დარუბანდის მმართველად ყოფილა იოთამ სულთან ქართველი. ის-

ქანდერ მუნში მოგვითხრობს: „[ამ წელს გარდაიცვალა] იოთამ-სულთან ქართველი, იგი იყო სამეფო კარის მსახურთა წრი-დან, მისი უდიდებულესობის აღზრდილი და ბაბ ალ-აბვაბის დარუბანდის მმართველად განდიდებული. ამ წელს (1625-1628 წწ. შორის) ბაბ ალ-აბვაბიში გარდაიცვალა ჭაბუკობის გაფურ-ჩქვნის ასაკში. იმ ველაეთის მმართველობა ჩაბარდა სამეფო კარის ღოლამს ფერობ-სულთანს, რომელიც როსტემდარელი თოფანგჩიების სარდალი იყო“ (ისქანდერ მუნში, 1969:144).

ირანში დაწინაურებული ყოფილა ბიგვერდი-ბეგ ქართვე-ლი, რომელიც შაჰ აბასმა საქართველოს დასასჯელად გა-მოგზავნილი ყიზილბაშთა ჯარის სათავეში ჩააყენა. ისქანდერ მუნში მოგვითხრობს: „შაჰმა გადაწყვიტა საღვთო ომი იმ გზა-დაკარგულ ხალხთან და ერთი რაზმი ისლამისათვის მებრძო-ლი ჯარისა ბიგვერდი-ბეგ ქართველის, ფარსის ბეგლარბეგის მოლაზემის მეთაურობით, რომელიც თავისი ხალხის რაზმით [შაჰის] „ბედნიერ უზანგს ახლდა“, მათ წინააღმდეგ გავზავ-ნა“ (ისქანდერ მუნში, 1969:90). ყიზილბაშებმა ამ გადაგვარე-ბული ქართველის მეთაურობით აუარებელი ხალხი დახოცეს, გაქცეულთა სარჩო-საპადებელი და სახლ-კარი აიკლეს „დაახ-ლოებით ხუთასი კაცი ტყვედ წამოიყვანეს და ორიათასამდე ძროხა და ხარი და ცხვარი ხელთ ჩაიგდეს და გამარჯვებუ-ლები შაჰის ბანაკში დაპრუნდნენ“ (ისქანდერ მუნში, 1969:90).

ახლა კი მკითხველს გვინდა მოვუსლიმებუ-ლი ქართველი ბატონიშვილის, ლუარსაბ I-ის შვილიშვილის, დაუდ-ხანის შვილის, ხოსრო-მირზას შესახებ, რომელიც დიდ-ხანს მოღვაწეობდა ირანში და რომელმაც მნიშვნელოვანი კვა-ლი დაამჩნია ირანის პოლიტიკურ ცხოვრებას.

ხოსრო მირზას ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ საინტე-რესო ცნობებია დაცული ქართულ, სპარსულ და ევროპულ წყაროებში (ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“, „ცხოვრება საქართველოისა“ („პარიზის ქრონიკა“), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილის საის-

ტორიო ნაშრომი, ისქანდერ მუნშის „თარიხ-ე ალამ არაი-ე აბა-სი“ და მისი გაგრძელება – „ზეილ-ე...“, დონ პიეტრო ავიტაბი-ლეს „ცნობები საქართველოზე“, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილა-ნელის „წერილები საქართველოზე“, შარდენის „მოგზაურობა“ და სხვ.).

ქაიხოსრო ბატონიშვილი, იგივე ხოსრო-მირზა (შემდგომში როსტომ ქართლის ვალი) იყო ქართლის მეფე სვიმონ I-ის ძმის დავითის (დაუდ-ხანი 1562-1579 წწ.) „უკანონო შვილი“, წავკი-სელი გლეხის ქალთან შეძენილი. იგი დაიბადა ისპაჰანში დაახ-ლოებით 1565 წელს (დაუთ-ხანის ისპაჰანში ყოფნის დროს).

დაუდ-ხანის საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ხოსრო მირზა ისპაჰანში დარჩა დედასთან ერთად, სადაც დედა-შვი-ლი დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდნენ. „სწავლულ კაცთა“ კომისიის ნაშრომში ვკითხულობთ: „შექმნილიყუნენ ორნივე დედა-შვილნი სჯულითა მაჲმადიანნი და იყოფებოდენ დიდად გლახაკად და უღონოდ ყოვლისავე საქმარისაგან“ (ბერი ეგნატაშვილი, 1940:149; A კიზ 2, 304).

ირანში მცხოვრებ გაჭირვებულ ქართველ ბატონიშვილს ყურადღება მიაქცია იქ სამშობლოდან გადახვეწილმა გიორგი სააკაძემ, რომელმაც გადაწყვიტა ხოსრო-მირზას გამოყენება საკუთარი მიზნებისათვის: როგორც ჩანს, მას განზრაული ჰქონდა გამაჲმადიანებული ქართველი ბატონიშვილის დაპირისპირება ლუარსაბ II-სთან და მისი გახელმწიფება ქართლის ტახტზე. საქმე ისაა, რომ ქართული (ქრისტიანული) სახელმწიფო სამართლის ძალით, ხოსრო-მირზა, როგორც ხარჭის ნაშობი, ქართლის ტახტს ვერ დაიკავებდა, მუსლიმური სამართლის ძალით კი ეს დასაშვები იყო (მამამისი დაუდ-ხანი ქვემო ქართლში მეფე იყო). ამიტომაც გიორგი სააკაძე მატერიალურად, მორალურად ეხმარებოდა გაჭირვებაში მყოფ ქართველ ბატონიშვილს და იგიც, მისი ხელშეწყობით, თანდათან დაწინაურდა სამოხელეო სარბილზე. კონკრეტულად რითი დაეხმარა გიორგი სააკაძე ხოსრო-მირზას, საისტორიო წყაროებიდან არ

ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ „დიდ მოურავს“ დიდი ამაგი აქვს მასზე: ხოსრო-მირზა (იმუამად უკვე როსტომ ქართლის ვალი) ერთ-ერთ თავის სიგელში აღნიშნავს, რომ „გიორგი მოურავი ჩვენზე და საქართველოზედაც დიდათ ნამსახური იყო“.

იოსებ ჭავილელი „დიდმოურავიანში“ გიორგი სააკაძეს ათ-ქმევინებს:

„ხოსრო მირზა მე გავჰქადე ხემწიფესთან გამოჩენით,
მოვახსენე: „შეიწყალე, თქვენ სიუხვე მაზედ ქენით!“
ვეხმაროდი, ბევრს ვაძლევდი, შევიტყპობდი ტკბილის ენით,
გავამდიდრე, მე ჩამოვხსენ ლარიბობას ცრემლთა დენით.“
(ტფილელი, 1939:175)

თუ როგორ მოახერხა გიორგი სააკაძემ ხოსრო-მირზას აღზევება და რა მიზეზით, ამასაც ათქმევინებს ავტორი „დიდ მოურავს“:

„ამად ვჰქენი, მამით იყო ბაგრატოვანთ თესლი, გვარი,
დედას ვინდა იყითხავდა, გლეხი იყო თუ რა გვარი?
მე ხემწიფე ყურს მიპყრობდა, სიტყვა მქონდა მით მაგარი.
ყველგან წახდა ჭირნახული, ჭკუა მექნა წასაგვარი.“
(ტფილელი, 1939:176).

„სწავლულ კაცთა“ ნაშრომში ვკითხულობთ: „მაშინ მოვი-
და ესე ხოსრო-მირზა მოურავთანა და მცირედი რამე მოარ-
თუა მოურავსა. ხოლო მოურავმან რა იხილა ხოსრო-მირზა,
წარმოუდგა ფერწებედ, დაუცალა ადგილი თვსი, მიიყვანა და
დასუა იგი და პატივ-სცა დიდად. ხოლო იყო მოურავი მაშინ
ყაენისაგან დიდად პატივცემული და მორჩილებდნენ სულად
ყიზილბაშნი და გუერდს ახლდნენ. იხილეს რა ყიზილბაშთა
ესევითარო პატივისცემა ხოსრო მირზასი, ჰკითხეს მოურავ-
სა: „ვინ არს კაცი ესე, რომელსა ესრე დიდად პატივ-ეცო“. ხოლო მოურავმან აუწყა მათ, ვითარმედ: „ესე არსო ძე დაუთ-
ხანისა, პატრონისა ჩემისაო“. მაშინ სცნეს ყიზილბაშთა ესე
და უპყრობდნენ დიდსა პატივსა ხოსრო-მირზას. მაშინ დიდად

კეთილსა უყოფდა ყაენი ხოსრო-მირზას და მისცა მოურაობა ისპაპანისა და ჰყვანდათ ესე მეტოქედ ქართლის ბატონისა“ (ბერი ეგნატაშვილი, 1940:149 A კიზ 2, 304).

მსგავსი ცნობა აქვს ვახუშტი ბატონიშვილსაც: „(ხოლო ესრე ხოსრო-მირზა იყო ძე დაუთხანისა, ნაშობი ხარჭისაგან ისპაპანს ყოფასა შინა და მიერითგან იყო უპატიოდ და უპოვარ ფრიად; და ოდეს იყო მოურავი მუნ, მოვიდა დარბაზობად ხოსრო-მირზა მოურავისა თანა. რა იხილა მოურავმან, მიეგება და დასუა ადგილსა თვესსა ზედა და თკთ დაუჯდა შორეს. ამის მხილველთა ყიზილბაშთა ჰყითხეს მოურავსა ვინაობა მისი. ხოლო ეტყოდა მათ ძედ პატრონისად თვესისად. ამისათვე აცნობეს ეს შაპაბაზს და პატივსცა და მისცნა ნიჭნი და მოურაობა ისპაპანისა. არამედ ესე არა ჰყო მოურავმან სიყუარულითა პატრონისათა, გარნა რათა აღუდგინოს ლუარსაბ მეფესა მეტოქი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973:432).

შაპ აბას I, როგორც ცნობილია, ნიჭიერი და ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო: მან სწორედ გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართველ უფლისწულთან დაახლოება გადაწყვიტა; იგი იმედოვნებდა, რომ მის მიერ აღზევებული ქართველი უფლისწული მისი ერთგული იქნებოდა (მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ დაგვანახა, რომ ირანის ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი შაპი არ შემცდარა).

შაპ აბას I-მა 1618 წელს ხოსრო-მირზა დედაქალაქ ისპაპანის თავად-ტარულად დანიშნა. ამ თანამდებობაზე იგი 40 წლის განმავლობაში (1618-1658 წწ.) იყო. საქართველოში წამოსვლამდე (1633 წ.) იგი პირადად 15 წლის განმავლობაში მართავდა ქალაქს, ხოლო შემდეგ კი – ნაიბის, მოადგილის ხელით.

ხოსრო-მირზა ჭკვიანი და ენერგიული მმართველი აღმოჩნდა. მან თავი გამოიჩინა თვისი სამართლიანობითაც. დონ პიეტრო ავიტაბილე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „როსტომ ხანს სამართლიანობა უძლვის წინ. მას სამართლის საქმეში თხუთმეტი წელი უმსახურია სამეფო ქალაქ ისპაპანში“.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ხოსრო-მირზა ხან-გრძლივად იყო ისპაჰანის ტარულად¹⁶. ეს იმ დროს, როდესაც სეფიანთა ირანში საყოველთაოდ გავრცელებული წესის თანახმად ტარულად ერთი და იგივე პირი შეიძლებოდა ყოფილი-ყო ერთი, უკიდურეს შემთხვევაში, ორი წლის განმავლობაში (კუცია, 1972).

ისპაჰანის ტარულად ყოფის დროს ხოსრო-მირზამ თავი გამოიჩინა ენერგიული სამსახურით და, რაც მთვარია, შაჰ აბას I-ისადმი ერთგულებით. ნასროლა ფალსაფის მოაქვს ერთი ცნობა: 1614 წელს (ჰიჯრის 1023 წ.) შაჰ აბას I-ს ხელთ ჩაუვარდა ისპაჰანში მყოფი პორტუგალიელი მისიონერების საიდუმლო წერილები, რომლებიც მათ გაუგზავნეს პორტუგუზის პორტუგალიელ გამგებელს. ისინი უთვლიდნენ პორტუგუზის გამგებელს: არ შეშინებოდა და შაჰ აბას I-ის მოთხოვნები არ შეესრულებინა.

შაჰ აბას I-მა ბრძანა მისიონერების დაპატიმრება და მათი სახლების გაჩერეკა. შაჰმა წერილები ხოსრო-მირზას გადასცა და უბრძანა მისიონერების დანაშაულებში გამოტეხა.

ხოსრო-მირზამ მისიონერების სახლებთან ყარაულები დააყენა და მათ გარეთ გამოსვლა აუკრძალა შაჰის ბრძანებამდე. ამ ცნობიდან აშკარაა, რომ ხოსრო-მირზას შაჰისადმი ერთგულებით თავი გამოუჩენია ისპაჰანის ტარულად დანიშვნამდე.

ხოსრო-მირზა დიდ სააღმშენებლო სამუშაოებს აწარმოებდა ისპაჰანში. როგორც ჩანს, მან ამ სარბიელზეც გამოიჩინა თავი. აღსანიშნავია, რომ 1625 წელს ის მეთაურობდა სპეციალისტების იმ ჯგუფს, რომელიც შაჰ აბას I-მა გააგზავნა ქალაქ ბაღდადში სააღმშენებლო სამუშაოების საწარმოებლად.

16 ტარულა – მოურავი XVI-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში. ეს თანამდებობა საქართველოში სეფიანთა ირანიდან გავრცელდა, სადაც ტარულა პოლიციის უფროსს ეწიდებოდა, რომელიც ასევე გადასახადების აკრეფის ფუნქციასაც ითავსებდა. სეფიანთა ირანში ტარულას თანამდებობა ხშირად გამუსლიმებულ ქართველებს ეკავათ. წყაროებში მოხსენიებულია ქალაქების, როგორიცაა თბილისი და გორი, ტარულები.

ხოსრო-მირზა მფარველობდა ვაჭარ-ხელოსნებსაც. და-
მახასიათებელია, რომ შაჲ სეფი I-ის ტახტზე ასვლის დროს
დედაქალაქში არეულობის თავიდან ასაცილებლად მან ყულის
ჯარის ქართველ გვარდიელებთან ერთად ქალაქის ვაჭარ-ხე-
ლოსნებიც გამოიყვანა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ხოსრო-მირზა გამოირჩეო-
და შაჲ აბას I-ისადმი არაჩვეულებრივი ერთგულებით. ამიტო-
მაც იყო, რომ როდესაც მარაბდის ომის შემდეგ ყიზილბაშებმა
გადაწყვიტეს არაგვის ხეობაში (ყარაყალ-ხანის ხეობა) დატ-
ყვევებული შაჲ აბას I-ის ერთგული ანდუყაფარ ამილახვარის
განთავისუფლება, ამ საქმეში ხოსრო მირზაც იღებდა მონაწი-
ლეობას. ისქანდერ მუნშის სიტყვით: „ყორჩიბაშმა ამ მოთხოვ-
ნის შესასრულებლად ერთი რაზმი ამირებისა და გამარჯვებუ-
ლი კარისა გაგზავნა ყარაყალ-ხანზე აზერბაიჯანის ბეგლარ-
ბეგის შაჲპენდე ხანის, შირვანის ბეგლარბეგის ყაზაყ-ხანის და
ბაგრატ-ხან ქართველის ძმის ხოსროვ-მირზას მეთაურობით“
(ისქანდერ მუნში, 1969:130).

ხოსროვ-მირზას ავტორიტეტი განსაკუთრებით გაიზარდა
შაჲ სეფი I-ის დროს. 1629 წ. შაჲ აბას I გარდაიცვალა. როგორც
ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, მას მემკვიდრე ვაჟიშვილი
არ დარჩენია. მისივე სიცოცხლეში ტახტის მემკვიდრედ გა-
მოცხადებული იქნა საამ-მირზა – მეოცნებე, ჭირვეული, სუს-
ტი ნებისყოფის და განებივრებული ყმანვილი, რომელთანაც
დაახლოებული იყო ხოსრო-მირზა. ეს სიახლოვე კიდევ უფრო
განმტკიცდა მას შემდეგ, რაც ხოსრო-მირზამ თავისი მოქნი-
ლი და ოპერატორიული მოქმედებით ხელი შეუწყო საამ-მირზას
გახელმწიფებას. იმ ამბების თანამედროვეთა მოწმობით, ხოს-
რო-მირზამ დიდი როლი შეასრულა სეფი I-ის გახელმწიფების
საქმეში.

ისქანდერ მუნში მოგვითხრობს: „უფლისწულებმა, დიდე-
ბულმა ქალბატონებმა და საპატიო ჰარემის მანდილოსნებმა,
რომლებიც დედაქალაქ ისფაჲანში იყვნენ ამ შემაძრნუნებე-

ლი ამბის გაგონებაზე, მოთქმა და გოდება ცის დასასრულს ააწვდინეს. ამ სამეფო სახლის რამდენიმე უხუცესმა, რომელიც აქ სახლებლად იყვნენ განწესებული, განსაკუთრებით აბულ-ყასემ-ბეგ ეიკა ოღლიმ, რომელიც წმინდა რწმენის სუფიების ჯგუფიდან ეშიკალასიბაში იყო, საქართველოს ვალის ბაგრატ-ხანის ძმასთან ხოსროვ-მირზასთან ერთად, სატახტო ქალაქ ისფაპანის ჰაქიმი რომ იყო, ბოროტმოქმედებათა აღსაკვეთად და იმ უზარმაზარი ქალაქის სიწყნარის შენარჩუნების მიზნით, რომელიც სხვადასხვა ფენისა და ტომების ხალხებით იყო ავსებული, უავგუსტონესობის ტახტზე აყვანა, ამ გარდაუვალი მოვლენის გამო, გლოვასა და მწუხარებაზე უმნიშვნელოვანეს და უპირატეს საქმედ მიიჩნიეს და მაშინვე ის ახალგაზრდა ხელმწიფე სეფიანთა დინასტიის სუფიების წესისა და რიგის დაცვით, სამოთხეში დამკვიდრებული წინაპრების სამემკვიდრეო სამეფო ტახტზე და სამბრძანებლო ხალიჩებზე განამტკიცეს, ფეხზე მთხვევის ჰატივი მოიპოვეს და უავგუსტონესის ტახტზე დაჯდომის ამბავი კიდით-კიდე მთელს ქვეყანას შეატყობინეს“ (ისქანდერ მუნში, 1969:146).

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ „ქრონიკონსა სამასცამეტსა შაჲ აბაზ ყაენი მაზანდარას მოკვდა და ისფაპანს როსტომ მეფის ცდით შაჲ სეფი ყაენი გახელმწიფდა და ქართველთ დრო დაიცეს და უპატრონობა თქვეს და ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხებოდა“ (კაკაბაძე, 1926:41; გორგიჯანიძე, 1925:238). აღსანიშნავია, რომ ამ საინტერესო ცნობაში ფარსადან გორგიჯანიძე თარიღს არასწორად იძლევა – ქორონიკონი 313 უდრის 1625 წელს (1312+313), შაჲ აბას I კი 1629 წელს გარდაიცვალა (კაციტაძე, 2001:420).

„სწავლულ კაცთა“ კომისიის ნაშრომში ვკითხულობთ: „და ამა უამში მოკუდა შააბაზ. მაშინ ხოსრო-მირზა, ქართლში რომ კარგად ყოფილიყო და ბევრს გარჯილიყო, მისად მაგიერად მიეცათ ყულარალასობა და იყო ყულარალასი, ხოლო, რა შააბაზ მოკუდა, მაშინ აირივნენ ყიზილბაშნი და კარის ბეგლა-

რებს სწადოდათ ერანის აშლა, ხოლო ამა ხოსრო ყულარალას-მან გაამაგრა კარი და გამოიყვანა შვილი (?) დ.კ.) შააბაზისა შა-სეფი და დასუა ყაენად, და მოუდგა თვთ და გაუმაგრა კარი და დარჩა დიდად ერთგულად ყეენზედა და იყო მწყალობელი მისი“ (ბერი ეგნატაშვილი, 1940:160; A კუპ 1, 328).

ძალზე საინტერესო ცნობაა, მაგრამ „სწავლული კაცები“ ცდებიან, როდესაც შაპ სეფის აბას I-ის შვილობით იხსენიებენ (იგო შაპ აბას I-ის შვილიშვილი იყო, დ. კ.).

შაპ სეფის ტახტზე ასვლას აგვიწერს ვახუშტი ბატონიშვილიც: „შემდგომად მოკუდა შააბაზ ყეენი ქუსა ჩუქუცი, ქარ. ტუვ, თათრულსა ჩულც და იწყეს ყიზილბაშთა შფოთებად. მაშინ ხოსრო მირზამ შემოიკრიბნა ყულნი, გამოიყვანა შაპ-სეფი და დასუა ყეენად და მოსრნა წინააღმდეგომნი. მიერიდგან უწოდებდა ყეენი მამად ხოსროს. ესე მოირჭმა და განმდიდრდა ფრიად“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973:436).

შაპ სეფის გახელმწიფებასთან დაკავშირებით ხოსრო-მირზას ღვანლის შესახებ უფრო ვრცელი ცნობაა ე. ნ. „პარიზის ქრონიკაში“: „ამასობაში მოვიდა ბრძანება ღვთისა და შაპ აბაზ-ყაენმა ტახტი დაცალა და ამა სოფლით მიიცვალა ქორონიკონსა ტკ (320) მაზანდარის ქვეყანასა აშრაფს რომ ყაენის სასახლე არის და როსტომ-ხან იყო, დაუთხანის ნაბიჯვარი ისპაპანს, ყაენის შვილები და შვილიშვილები იქ იყვნენ. მრავალჯერ ქმნილიყო წინათ ჯამში ხელმწიფეთ მიცვალებაზედ როსტომ-ხან ძალითა და შეწევნითა მღვთისათა გასინჯა საქმე. შვილიცა იყო ყაენისა, მაგრამ თვად თვალდამწვარი იყო, სინათლე არ ჰქონდა. მაგრამ უფროსი შვილიშვილი იყო და დიალ, კაი თვალად და ტანად მშვენიერი: ხელმწიფობა იმას შეეფერებოდა. გამოიყვანა და ტახტზე დასვა და მიულოცა ხელმწიფობა შაპ სეფი ყაენსა“ (ბროსე, 1830:63). უნდა აღინიშნოს, რომ შაპ აბას I-ის გარდაცვალების თარიღი: ქრონიკონი ტკ (320 ე. ი. 1632 ნ.) შეცდომითაა მოცემული.

შაპ სეფის გახელმწიფების შესახებ ცნობებია ევროპულ წყა-

როებშიც. კარმელიტების ქრონიკის მიხედვით, როსტომს კრიფი-კულ მომენტში სიმშვიდე და მოხერხებულობა გამოუჩენია: იგი პირველი იყო, რომელმაც ახალი მბრძანებელი დასვა ტახტზე.

უფრო ვრცელი და საინტერესოა მეორე ცნობა, რომლის მიხედვითაც შაჲ აბას I-ის გარდაცვალების შესახებ ამბის გაგებისთანავე ისპაპანში არეულობა დაიწყო. ქალაქის მმართველმა ხოსრო-მირზამ შეკრიბა მოქალაქენი, რომელნიც შეაირალა. შემდეგ მან ქართველი ყულები ჩააყენა ქალაქის ცენტრში, ხოლო შაჲის ხაზინას საიმედო მცველები მიუჩინა. ამ ღონისძიებებით ხოსრო-მირზამ ქალაქში თავიდან აიცილა არეულობა, შემდეგ კი სეფი ტახტზე აიყვანა.

შაჲ სეფი I-ის ტახტზე ასვლის შესახებ ზემოთმოტანილ ცნობებს ერთგვარად ავსებს დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, რომელიც მოგვითხრობს, რომ „სპარსეთის ხელმწიფე დიდად დავალებული იყო, რადგან მისი მეშვეობით სპარსეთის ტახტზე ავიდა. სპარსელებს უკვე ჰყავდათ ხელმწიფე და არ მოისურვეს შაჲ სეფის ცნობა, რადგან მას დედა ქართველი ჰყავდა, რომელიც დღესაც ცოცხალია. შაჲ სეფი ქართველების რაზმის დახმარებით დაეპატრონა ტახტს“ (მილანელი, 1964:34).

ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ: ხოსრო-მირზამ (როსტომმა) დიდი როლი შეასრულა საამ-მირზას (სეფი I-ის) ტახტზე აყვანის საქმეში.

როგორც ზემოხსენებული წყაროებიდან ჩანს, ხოსრო-მირზას ყულარაღასის (ყულის ჯარის სარდლის) თანამდებობაც ჰქონია. საინტერესოა, როდის მიიღო მან ეს მაღალი თანამდებობა, შაჲ აბას I-ის თუ შაჲ სეფის დროს?

„სწავლულ კაცთა“ კომისიის ნაშრომის მიხედვით, ხოსრო-მირზას ყულარაღასობა შაჲ აბას I-ის დროს მიუღია („ქართლში რომ კარგად ყოფილიყო და ბევრს გარჯილიყო, მისად მაგიერად მიეცათ ყულარაღასობა და იყო ყულარაღასი“). ე. ი. შაჲ აბას I-ის გარდაცვალების დროისთვის ხოსრო-მირზა უკვე ყულარაღასია (ბერი ეგნატაშვილი, 1940:160; A კუთხი 2, 328).

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ხოსრო-მირზა ყულის ჯარს შემოიკრებს („შემოიკრიბნა ყულნი...“). საფიქრებელია, რომ ყულის ჯარზე განკარგულების უფლება მას იმიტომ ჰქონდა, რომ იგი ყულარაღასი იყო, თუმცა ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ყულის ჯარის ქართველ გვარდიელებზე მას გარკვეული ზეგავლენა ჰქონდა (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973:434, 436).

მსგავსი ცნობა არის „კარმელიტების ქრონიკაში¹⁷“ (მან ქართველი ყულები ჩააყენა ქალაქის ცენტრში...).

სპირისპირო ცნობაა სპარსულ წყაროში – ისქანდერ მუნშის „ზეილ-ე თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასიში“. ზემოხსენებულ თხზულებაში ვკითხულობთ: „როსტომ-ხანი – საქართველოს ვილაიეთის მფლობელების შთამომავალი და ბაგრატ-ხანის ძმა იყო. მარადიული სასულთნოს ყვავილოვან გაზაფხულზე ხოსრო-მირზად იწოდა და ისფაპანის ტარულა გახდა. როდესაც მისმა უდიდებულესობამ მეფობისა და სახელმწიფოს მართვის გვირგვინი და ტახტზე ასვლით ციური მაღალი მდგომარეობა მოიპოვა, თავისი სამსახურით შაპის კეთილგანწყობილება, წყალობა, როსტომ-ხანის სახელი და ყულარაღასის მაღალი თანამდებობა დაიმსახურა [იგი] უმაღლეს ხარისხამდე ამაღლდა“ (ისქანდერ მუნში, 1969:289).

სპარსული წყაროს ზემოთმოტანილი ცნობიდან ისეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ხოსრო-მირზას (როსტომს) ყულარაღასობა შაპ სეფი I-ის დროს მიუღია.

რომელ ცნობას მივცეთ უპირატესობა?

ჩვენი აზრით, ისქანდერ მუნშის ცნობები უფრო ანგარიშგასაწევია და აი, რატომ: შაპ აბას I-ის დროს ყულარაღასი,

¹⁷ „კარმელიტების ქრონიკა“ – კარმელიტების და სხვა ქრისტიანული მისიონერული საქმიანობის ანონიმური ცნობა 1588-1722 წლების ირანში, მათ შორის სეფიანთა დინასტიის დაცემის ჩათვლით. ქრონიკა, უპარველეს ყოვლისა, ეხება კარმელიტების მიერ კათოლიციზმის პოპულარიზაციას სპარსეთში და მათ მიერ პაპის დიპლომატიურ წარმომადგენლობას სეფიანთა ირანში.

ალავერდი-ხანის სიკვდილის შემდეგ (1613 წ.) იყო მისი ვა-ჟუშვილი იმამყული-ხანი. მისი სარდლობით პორტუგალიელები განდევნეს ორმუზიდან (1623 წ.). იგი შაპის უსაყვარლესი პირი იყო. ასე რომ, საეჭვოა შაპ აბას I-ს მისთვის ჩამოერთმია ეს დიდი თანამდებობა და ხოსრო-მირზასათვის მიეცა. ამასთანავე, მოვიგონოთ ისიც, რომ ისქანდერ მუნში შაპ აბას I-ის კარის ისტორიკოსი იყო, ზემოხსენებული ამბების თვითმხილველი და თანამედროვე (მან მოღვაწეობა გააგრძელა შაპ სეფი I-ის დროსაც). ასე რომ, მისი ცნობები უდავოდ ანგარიშგასაწევია.

შაპ სეფი I კიდევ უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობოდა ხოსრო-მირზას. კარმელიტების ქრონიკის, ისქანდერ მუნშის და ოფიციალური სპარსული საბუთების მიხედვით, ირანის შაპი მას „ჩემს ძმას“ უწოდებდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იგი ქართველ ბატონიშვილს როგორც თანასწორს ისე უყურებდა და ძალზე დიდ პატივს სცემდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით კი შაპ-სეფი ხოსრო-მირზას უწოდებდა („ნიჭვიდა¹⁸ ყაენი ურიცხვსა და უხმობდა მამად“) (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973:438).

როსტომი (ხოსრო-მირზა) გამოჩენილი და ნიჭიერი სარდალიც იყო; ცნობილია, თუ როგორ ბრნყინვალედ გაიმარჯვა ხოსრო ფაშაზე როსტომის სარდლობით სპარსელთა ჯარმა.

ხოსრო-მირზას ალზევების შემდეგ, უნდილაძეთა ფეოდალური სახლის გავლენა ირანში შეირყა. მათ შორის ჯერ ფარული, ხოლო შემდეგ აშკარა ბრძოლა გაიმართა, რაც უნდილაძეთა დამარცხებით დამთავრდა (ამის შესახებ ზემოთ გვქონდა ვრცლად საუბარი).

თეიმურაზ-დაუდ-ხანის ერთობლივმა აჯანყებამ შაპ სეფი I-ს საბაბი მისცა საქართველოს შინაურ საქმეებში აქტიურად ჩარევისა; მან ქართლში გამოაგზავნა ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე ჯარით, ხოლო ქართლის ვალად კი ხოსრო-მირზა (როსტომ-ხანი) დანიშნა.

18 ნიჭვიდა – ასაჩუქრებდა

ხოსრო-მირზას (როსტომის) ქართლში გამეფების შესახებ „სწავლულ კაცთა კომისია“ მოგვითხრობს: „მაშინ იყო ესე სააკაძე როსტომ კაცი გამოჩენილი და დიდად პატივცემული ყიზილბაშთაგან. და მისცა მას სპასალრობა და გამოაყენა ქართლსა ზედა და წარმოატანა თანა ბატონად ქართლისა ხოსრო-მირზა, ძე დაუთ-ხანისა, რომელი პირველ ვახსენეთ, რამეთუ ამა ხოსრო-მირზას მისცა ყაენმან ქართლი და უწოდა როსტომ-ხანი და წარმოაგზავნეს ორნივე ზოგად როსტომ-ხან და როსტომ სპასალარი სააკაძე“ (ბერი ეგნატაშვილი, 1940:169; A კ~იჳ 16).

შაჲ სეფი I-მა გააგრძელა შაჲ აბას I-ის „კომპრომისული პოლიტიკა საქართველოს მიმართ: მან საქართველოში გამოაგზავნა მოკლული სიმონ II-ის ბიძა და დაუპირისპირა თეიმურაზს. შაჲ სეფი I-ის აზრით, როსტომ-ხანი (ხოსრო-მირზა) ირანისათვის ქართლის ტახტზე ძალიან ხელსაყრელი კანდიდატი იყო. თუ რა განზრახვა ჰქონდა ირანის შაჲს და რა იმედებს ამყარებდა იგი როსტომ-ხანზე (ხოსრო-მირზაზე), ეს კარგად ჩანს უან შარდენის მონათხრობიდან: „აბასის მემკვიდრემ, მისმა შვილიშვილმა შაჲ სეფიმ, 1631 წელს თეიმურაზის წინააღმდეგ ჯარი გამოაგზავნა როსტომ-ხანის მეთაურობით. იგი ქართველი იყო, იმ მეფისნაცვლის სიმონ-ხანის¹⁹ ვაჟი, რომელიც ქართველებმა მოკლეს. აბასის სიკვდილის შემდეგ იგი მთავარი მოსამართლე იყო ისპაპანში და ხოსრო მირზად იწოდებოდა. ხელმწიფე სეფი მას მამაც მებრძოლად თვლიდა და ფიქრობდა, რომ იგი მეტად გაჯავრებული უნდა ყოფილიყო ქართველებზე. ამიტომაც დანიშნა იგი თავისი ჯარის მხედართუფროსად და საქართველოს მეფისნაცვლად მისი მამის ადგილზე. როსტომ-ხანმა ქართველები მრავალ ბრძოლაში დაამარცხა, კვლავ დაეპატრონა მთელ ქართლს და კახეთის სამეფოს ერთ ნაწილს და გამოედევნა თეიმურაზს, რომელიც

19 უან შარდენი აშეარად ცდება: როსტომ ქართლის ვალის სიმონ I-ის ბიძა იყო და არა ვაჟიშვილი.

იძულებული იყო კავკასიის მთის გამაგრებულ ადგილებს შეფარებოდა“ (შარდენი, 1975:315).

შაჲ სეფის „კომპრომისული“ პოლიტიკის ერთგული გამტარებელი საქართველში 1633 წლიდან როსტომ ქართლის ვალი იყო. იგი ორბუნება პოლიტიკას ატარებდა ქართლში: ქართველობას აშკარა ბრძოლას არ უცხადებდა, ამავე დროს, შესაძლოა მოჩვენებითაც, „ყიზილბაშობის“ დანერგვისათვის იღწოდა.

როსტომი 1658 წელს გარდაიცვალა საქართველოში. იგი წაასვენეს და დიდი პატივით დაკრძალეს შიიტების წმინდა ქალაქ ყუმში.

ირანში მოღვაწეობდა შაჲ აბას I-ის დროს გამოჩენილი ქართველი სარდალი – „დიდ მოურავად“ წოდებული გიორგი სააკაძე. იგი დაიბადა XVI საუკუნის 70-იან წლებში. დაწინაურდა XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში. 1606 წლიდან თბილისის მოურავი იყო. 1609 წელს მისი ხელმძღვანელობით ქართველთა ლაშქარმა ტაშისკართან ომში ბრწყინვალედ გაიმარჯვა ყირიმელი თათრების და თურქების ჯარზე, რამაც მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო გაზარდა. საქართველოში მიმდინარე შინაფეოდალური ბრძოლის გამო, 1612 წ. გიორგი სააკაძე იძულებული გახდა, ოჯახთან და უერთგულეს პირებთან ერთად საქართველოდან ირანს გადახვეწილიყო.

შაჲ აბას I-მა სიხარულით მიიღო ირანში ჩასული ქართველი სარდალი, რომელიც ძალიან დაიახლოვა. მალე გიორგი სააკაძე შაჲ აბას I-ის ერთ-ერთი უახლოესი მრჩეველი გახდა (განსაკუთრებით საქართველოს საკითხებში). შაჲი ამ პერიოდში მას უფრო ენდობოდა, ვიდრე მასთან ყველაზე უფრო დაახლოებულ ქართველ ალავერდი-ხან უნდილაძეს. შაჲ აბას I-ის კარის ისტორიკოსი ისქანდერ მუნში ასე იხსენიებს ქართველ სარდალს: „საპატიო და საყვარელი კაცი... შედიოდა შაჲ აბასის ნდობით აღჭურვილ და დაახლოვებულ პირთა რიცხვში. ის იყო მოღვაწე, რომელმაც ყველაფერი იცოდა საქართველოს

ავ-კარგის შესახებ. თავისი გამშედაობისა და კეთილი სამსახურის წყალობით მან შაჲის დიდი პატივისცემა დაიმსახურა.“

გიორგი სააკაძემ კარგად იცოდა სპარსული და თურქული ენები. ამავე დროს იგი სასიამოვნო მოსაუბრე და მჭერმეტყველი ყოფილა. გამოირჩეოდა აგრეთვე სამხედრო საქმის დიდი ცოდნითა და განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭით.

შაჲ აბას I გიორგის ხშირად ასაჩურებდა ხოლმე. „დიდმოურავიანში“ მოტანილია ცნობა, რომლის მიხედვითაც, ერთხელ შაჲმა გიორგის უბრძანა: იმდენ ტომარა ვერცხლს გიბოძებ, რამდენის აწევასაც შეძლებო. გიორგის, მცირედი ყოყმანის შემდეგ, თითო ტომარა იღლიაში ამოუდვია, ერთი თავზე დაუდევს, ერთიც კბილებით დაუჭერია, თითო ტომარა კი თითო ხელში დაუჭერია და კარამდე მიუტანია. სულ ოთხასი თუმანი ყოფილა. „დიდმოურავიანში“ ეს ამბავი ასეა აღწერილი:

„თვითო მხარზედან გარდვიგდე, ერთი თავზედ ვჰქენ დებული, თვითო ღლიასა შევიგდე, ორი ვჰქენ ხელკიდებული, ერთი კბილშიგან მივიეც, მით ვიქმენ აზიდებული, ავდეგ, კარამდის წარვიღე, არვისგან არ რიდებული.“

(ტფილელი, 1939:28)

იოსებ ტფილელი, რა თქმა უნდა, აჭარბებს გიორგი სააკაძის ფიზიკური შესაძლებლობების შესახებ თხრობას, მაგრამ სხვა წყაროებითაც მტკიცდება, რომ დიდი მოურავი ძალიან ღონიერი კაცი ყოფილა.

ირანში ყოფნის დროს გიორგი სააკაძემ დაიახლოვა გაჭირვებაში ჩავარდნილი ქართველი ბატონიშვილი ხოსრო-მირზა (დაუთხანის ძე) და ყოველნაირად ხელი შეუწყო მის აღზევებას ირანში.

1616 წელს შაჲ აბას I-მა გიორგი სააკაძე ქართლის მეფის სიმონ II-ის (მაჲმადიანი მეფე) კარზე რწმუნებულად, ვექილად (ფაქტობრივად მეთვალყურედ) დანიშნა.

საინტერესოა, რომ ამის შემდეგ გიორგი სააკაძეს კვლავ ირანში ვხედავთ. გიორგი სააკაძის ირანში მოღვაწეობის შესა-

ხებ საინტერესო ცნობებია დაცული იოსებ ტფილელის „დიდ-მოურავიანში“.

გიორგი სააკაძეს ირანში დიდი პატივით შეხვედრიან:
„თურმე შაჰაბაზ ხელმწიფე იყო მისვლისა მდომელი.
მიველ, დამიხვდა კეთილად, არა გუნებით მწყრომელი.
ხანი რო დავჰყავ, მიბოძის, რისაც არ ვიყავ მდომელი,
მაგრამ სევდა მწვავს სახლისა, მით ვიყავ ცრემლთა მშრობელი.“
(ტფილელი, 1939:26).

„დიდმოურავიანის“ მიხედვით, გიორგი სააკაძეს მონაწილეობა მიუღია შაჰ აბასის ლაშქრობაში ყანდაარის დასაბრუნებლად (1622 წ.).

„მერმე ყანდაარს წაბდანდა, მტრად გამოუჩნდა ინდია,
თან წავჰყევ, კარგა ვიბრძოლე, მათ დღენი დაუბინდია,
გამარჯვებული დაბრუნდა, ან, ცრემლო, ნუღარ მდინდია,
მაშინც მოვჰყდები, ბოლოჟამ ნეტარ რას შეუშინდია?!“
(ტფილელი, 1939:27)

ყანდაარის ლაშქრობის წარმატებით დამთავრების შემდეგ
შაჰ აბას I კვლავ იბრძვის ირანის საზღვრების გაფართოები-
სათვის; ამ ბრძოლაში მონაწილეობს გიორგი სააკაძეც: 1624
წელს შაჰ აბას I-მა ისარგებლა თურქი დიდმოხელის ბექირ სუ-
ბაშის აჯანყებით და ბალდადი დაიპყრო. ამ ლაშქრობაშიც მიუ-
ღია მონაწილეობა „დიდ მოურავს“ (ძმასთან ერთად, რომელიც
იქ დაღუპულა):

„ბალდადს წაბდანდა, თან ვახლდი, აღება ბრძანა ციხისა,
ძმა მყავდა გულ სრულ, მამაცი, ხმის ამომლები, რიხისა,
მან ერთი კაცი საბრძოლად ადვილად არ შეიხისა,—
ის იქ მომიკლეს ომშიგან, კაცები შექმნეს თიხისა“.
(ტფილელი, 1939:27)

1625 წელს შაჰ აბას I-მა გადაწყვიტა „გურჯისტანის საკით-
ხის“ ირანის სასარგებლოდ საბოლოოდ გადაჭრა (ქართლ-კახე-

თის აოხრება, ქართული მოსახლეობის ფიზიკური განადგურება, ნაწილობრივ ირანში გადასახლება და ქართლისა და კახეთის სახანოების შექმნა). ამ უკეთური განზრახვის განსახორციელებლად ირანში შაპმა ყიზილბაშთა ლაშქარი გამოგზავნა ყორჩიხა-სანის სარდლობით. ამ ლაშქარში იმყოფებოდა გიორგი სააკაძეც.

საისტორიო წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ მას ყიზილბაშთა წინააღმდეგ აჯანყება ირანშივე გადაუწყვეტია. „დიდ-მოურავიანის“ მიხედვით, როდესაც შაჲ აბას I-მა მას გაანდო თავისი განზრახვა საქართველოს აოხრების შესახებ, იგი მოე-თათბირა მასთან ერთად ირანში გადახვენილ ზურაბ არაგვის ერისთავს ანტიყიზილბაშური აჯანყების თაობაზე:

„მოვიდა, ეს ვთქვი: ქვეყნისას ეს აოხრებას ბედავსა?!
ზურაბს გავენდევ ერისთავს, უთხარ, თუ „ვერვინ ხედავსა,
ჩემის ხელითა ეკალსა მოგლეჯს, მიძახდნე: „ბედ ავსა!
ვირემ დაგვხოცდენ. მე დავჭროც, ვიტვირთებ სისხლსა ქედავსა.“
(ტფილელი, 1939:29)

ზურაბ არაგვის ერისთავი, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, დათანხმდა.

საინტერესოა პორტუგალიელი მისიონერის დუშ ანუშშის ცნობა: ქეთევან დედოფლის საშინელი წამების ამბავი მოახ-სენეს შაჲ აბას I, „როცა შაჲს წმინდა დედოფლის მონამებრივ სიკვდილსა და მის სულიერ სიმტკიცეზე მოახსენეს, უთხრეს, როგორ იტანჯებოდა თავისი რწმენისათვის და არ ისურვა გა-მაპმადიანება. იმ დროს სპარსეთში იყო ერთი ქართველი, სახე-ლად მოურავი-ბეგი. იგი შაპის კარზე ყველაზე მნიშვნელოვანი კაცი იყო და შაპი მას არასოდეს იცილებდა. როდესაც შირაზი-დან დაბრუნებულმა მსაჯულებმა ქეთევან დედოფლის ამბავი შაჲს მოახსენეს, შაჲი მოურავს მიუბრუნდა და უთხრა: – დიახ, ის ქალბატონი მოკვდა რწმენისათვის და არა თქვენო, და სილა გააწნა. ქართველს ძალიან ეწყინა ეს სიტყვები და დედოფლის სიკვდილი. მართალია, მოურავი რჯულიდან გადამდგარი იყო,

მაგრამ ბუნებამ თავისი გაიტანა და მაინც გადაწყვიტა შური ეძია. შურისგება ისე მოაწყო, რომ შაპს მთელი თავისი მეფობის განმავლობაში ასეთი საშიშროება არ ენახა.“

ჩვენ ვერ დავიჩემებთ, რომ დუშა ანუშის ცნობა უეჭველია, მაგრამ ის კი ფაქტია: 1625 წლის 25 მარტს გიორგი სააკაძის მეთაურობით აჯანყებულმა ქართველებმა მარტყოფის ველზე ყიზილბაშები გაანადგურეს. თვითონ გიორგიმ ყიზილბაშთა სარდალი ყორჩიხა-ხანი მოკლა. მოკლეს ყორჩიხა-ხანის შვილი იმამვერდი-ბეგი, შირვანის ამირა ოუსუფ-ხანი და სხვები. დაიწყო საქართველოში შემოსული ყიზილბაშების ულეტა. შაპაბას I-მა საქართველოს დასასჯელად ახალი ლაშქრობა მოაწყო. 1625 წლის 1 ივლისს მარაბდასთან გამართულ სისხლის-მღვრელ ომში ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ ყიზილბაშთა ლაშქარიც განახევრდა (60 000 კაცი დაიღუპა). გიორგი სააკაძემ ყიზილბაშთა წინააღმდეგ პარტიზანული ომი დაიწყო.

მალე გიორგი სააკაძესა და თეიმურაზ I-ს შორის წინააღმდეგობამ იჩინა თავი, რაც შემდეგ აშკარა ბრძოლაში გადაიზარდა. ბაზალეთთან ომში დამარცხებული „დიდი მოურავი“ ოსმალეთში გადაიხვენა, სადაც 1629 წელს მოშურნეობის ნიადაგზე თავის ვაჟთან და მხლებლებთან ერთად თავი მოჰკვეთეს. „ასე დაიღუპა ეს დიდი პიროვნება, თავისი დროის უკუღმართობის მსხვერპლი“ (ბერძენიშვილი).

საანტერესოა, თუ როგორ აფასებენ იმ დროინდელი საისტორიო წყაროები გიორგი სააკაძის პიროვნებას.

ისქანდერ მუნში მოგვითხრობს, რომ გიორგი სააკაძე მოჩვენებით აღიარებდა ისლამს: იგი ქრისტიანად რჩებოდა და ემზადებოდა აჯანყებისათვის. იგი თითქოს აცდუნებდა ქართველებს და ქართველებიც მას უჯერებდნენ, რადგანაც იგი შაპის კარზე მიღებული იყო.

ისქანდერ მუნში „დიდ მოურავს“ უწოდებს „ბედუკუღმართს“, „წყეულს“, „არამზადა მოღალატეს“, „ბედშავს“ და სხვ. ამავე დროს აღნიშნავს, რომ ქართველ მოურავს „მისი

უდიდებულესობის ქვეყნის დამპყრობლის სამსახურში მაღალი წოდება და პატივი ჰქონდა.“

პატრი დონ ქრისტეფორო კასტელი ასე ახასიათებს გიორგი სააკაძეს: „ქართველთა ჯარის სარდალი, არაჩვეულებრივად ძლიერი და ყველაზე უფრო მტკიცე კაცი, მრავალ ომში სახელგანთქმული დიდი მოურავი. იბერიის სამეფოში [მომხდარი] ომის გამო, გაიქცა სპარსეთის შაჰთან. ბოლოს, ავისმომასწავლებელი ბედის წყალობით, მოკავშირეებისაგან მიტოვებული, გარბის სულთნის მფარველობაში. იქ, მისი სიმამაცითა და გამარჯვების შურით აღვსილებმა, მოწამლეს იგი.“

წმ. ავგუსტინეს ორდენის პორტუგალიელი ბერი ამბროზიო დუშ ანუშში წერს: „იმ დროს სპარსეთში იყო ერთი ქართველი, სახელად მოურავ-ბეგი. იგი შაჰის კარზე ყველაზე მნიშვნელოვანი კაცი იყო და შაჰი მას არასოდეს იცილებდა.“

სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიულეცი მოგვითხრობს: „ლუარსაბ მეფის ბრძანებით ვიღაც კაცი დაინიშნა ქალაქ თბილისის მოურავის თანამდებობაზე, რომელსაც ეხლა ტარულას უწოდებენ. მოურავად დანიშნული ეს კაცი იყო ბრძნი სიტყვით, ძლიერი გონებით, გამოცდილი თავის საქმეში და აგრეთვე წარმოსადეგი, ძლიერ მამაცი, დიდი მებრძოლი და უძლეველი მეომარი. ის მხარე, რომელსაც ის მიუდგებოდა, მეორე მოწინააღმდეგე მხარეს სძლევდა მტრის ჯარს, მსგავსად მოცელილი ბალახისა, მიმოფანტავდა ხოლმე მინდორ-ველზე“ (არაქელ დავრიულეცი, 1974:17).

იმავე ისტორიკოსის სიტყვით, შაჰი თურმე ხშირად ეთათბირებოდა მოურავს განსაკუთრებით საქართველოს საკითხებთან დაკავშირებით: „ყოველ მარჯვე უამს შაჰი ესაუბრებოდა მოურავს და იგებდა მისგან ქართველთა ქვეყნისა და ქართველი ხალხის მდგომარეობას, ქვეყნის სიმტკიცეს, მეფეთა და დიდებულთა სიბრძნეს, ხალხის სიმრავლეს, ლაშქრის სიმხნევესა და ყველაფერს რისი შეტყობაც მას სურდა“ (არაქელ დავრიულეცი, 1974:21).

საინტერესოა პიეტრო დელლა ვალეს ცნობა, რომლის მიხედვითაც 1620 წლის 20 სექტემბერს ისპაპანის კარმელიტთა ეკლესიაში მას გაუცვია ეკლესიაში წირვის მოსასმენად მოსული „ბატონი მეპრაბი“, რომელიც გიორგი სააკაძე – დიდი მოურავი უნდა იყოს.

იტალიელი მოგზაურის სიტყვით, თუმცა იგი ჯიუტად და მტკიცედ დგას ქრისტიანულ რჯულზე, შაჲ აბასი მაინც კარგად ეპყრობა მას და წყალობას არ აკლებს. ამჟამად „ბატონ მეპრაბს“ ემორჩილება ყველა ჯარი თბილისსა და გორში, რომელიც მისი მშობელი მხარე არისო.

ამ ცნობაში ჩვენთვის ისაა საინტერესო, რომ მიუხედავად გამუსლიმებისა, გიორგი სააკაძე ფარულად მაინც ქრისტიანია, ე. ი. საქართველოს ერთგული.

თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი (1574-1650 წნ.) წერს: „ხსენებულ მოურავად წოდებული მელიქი დიდი მელიქი იყო, რომელიც სრულიად საქართველოს სახელმწიფოს ქეთხუდად და შაჲ აბასის მეგობრად იყო ცნობილი“ (იბრაჰიმ ფეჩევი, 1964:25-94).

მეორე თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას²⁰ ცნობით, „მოურავი ჭეშმარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაჟკაცი და დევის ღონე იყო“ (მუსტაფა ნაიმა, 1979:4-6).

ქიათიბ ჩელები²¹ ძალზე დადებითად ახასიათებს გიორგი სააკაძეს, უწოდებს მას საქართველოს ერთ-ერთ სახელოვან გამგებელს. იგი ლანძღავს ხოსრო-ფაშას, რომლის ბრძანე-

20 მუსტაფა ნაიმა (1655-1716 წნ.) – ოსმალეთის იმპერიის ჩინოვნიკი და ისტორიკოსი. მას ეკუთხის ქრისტიანი „თარიხ-ე ნაიმა“, რომელშიც აღნერს მოვლენებს მისი წინამორბედების ჩანაწერების საფუძველზე, ამჟამად დაკარგულად რომ ითვლება. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მუსტაფა ნაიმა ოსმალეთის იმპერიის პირველ ოფიციალურ ისტორიკოსად ითვლება.

21 ქიათიბ ჩელები (1609-1657 წნ.) – ოსმალეთის იმპერიის ისტორიკოსი, რომლესაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი ნაშრომი „ჯიპან ნუმა“ სადაც აღნერს საქართველოსა და ამიერკავკასის ქვეყნებს.

ბითაც გიორგი სააკაძეს და მის მხლებლებს თავები მოჰკვე-
თეს.

დიდი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის აზ-
რით, „იესე მოურავი გიორგი იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი და
შემმართებელი უშიში“ (ვახუშტი ბაგრონიშვილი, 1973:421).

ირანში შაჲ აბას I-ის და შაჲ სეფი I-ის დროს მოღვაწეობდა
როსტომ-ხან სააკაძე – ირანის სპასალარი. როსტომ-ხანის მა-
მა ბეჟანი (ბეჟან-ბეგი) 1590 წლიდან ყიზილბაშთა სამსახურში
იყო, მას დიდი პირადი სიმამაცის გამო ყარა-ბეჟანად იცნობ-
დნენ. ეს ყარა-ბეჟანი ქართლის მეფის აზნაურთა რიგებში ყო-
ფილა შაჲ თამაზ I-ის დროს (საფიქრებელია, დაუდ-ხანის დროს.
როდესაც ოსმალთა შემოსევების შემდეგ ქართლში არეულობა
დაიწყო, ყარა ბეჟანს, სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად
(მათ შორის დაუდ-ხანის ერთ ვაჟიშვილთან ერთად) საქართვე-
ლო დაუტოვებია და ირანში შაჲის კარზე მისულა. ფარსიდან
დაბრუნებული შაჲ აბას I-ს იგი კარგად მიულია და საკმაოდ
მაღალ თანამდებობაზეც – სასახლის ქეშიკად (მცველად) დაუ-
ნიშნავს. ეს ამბავი 1590/1591 წელს მომხდარა.

შემდეგ, ყარა ბეჟანი შაჲ აბას I-მა საქართველოში გაის-
ტუმრა. მან გორის სანახებში, მდ. მტკვრის პირას ერთი დარბა-
ზი ააშენა საცხოვრებლად. შემდეგ მას მტრები დაესხნენ თავს
და მოკლეს. სხვათა შორის, როსტომ-ხანს ეს ამბავი გაახსენდა
და როდესაც იგი ხოსრო მირზასთან ერთად საქართველოში
შემოვიდა, მამის ნასახლარი მოინახულა, იქაურ კაცებს და ქა-
ლებს ბევრი წყალობა უყო. იგი ერთ კვირას დარჩა იქ.

მამის (ყარა-ბეჟანის) სიკვდილის შემდეგ, როსტომი თავის
ორ ძმასთან და დედასთან ერთად საქართველოდან ირანში წა-
ვიდა. „რადგანაც ვერ შევძელით ამ ქვეყანაში (საქართველოში)
დარჩენა ჩვენს პატიოსან დედასთან ერთად, „შაჲისადმი მონო-
ბისა და მსახურების სამოსი ჩავიცვით“ და ურნმუნოთა ქვეყ-
ნიდან გავედითო,“ – უამბობს როსტომი ნათესავებს.

როსტომი 1587–88 წელს დაბადებულა საქართველოში.

10–12 წლისას შაჰის კარზე დაუწყია სამსახური. პირველ ხანებში ის შაჰის პირადი ღოლამი ყოფილა. ერთგული სამსახურით მან შაჰის ყურადღება და კეთილგანწყობილება დაიმსახურა. თვრამეტი წლის ასაკში სოპბათიასაულობა მისცეს.²² როგორც ჩანს, როსტომმა დაკისრებულ მოვალეობას კარგად გაართვა თავი, ამიტომაც იგი დაანინაურეს და 1626/27 წელს მას მდივნის მაღალი თანამდებობა მისცეს. ექვსი წლის შემდეგ, ე. ი. 1632 წელს, მას სარდლობა და დივანბეგობა, ამავე დროს თოფანგჩიაღასობაც (მეთოფეთა, მუშკეტერთა უფროსობაც) უზოდეს. 1634/35 წელს როსტომ-ხან სააკაძე აზერბაიჯანის ბეგლარბეგი და უმაღლესი სამხედრო ხელისუფალი – ირანის სპასალარი გახდა.

როსტომ-ხან სააკაძე შესანიშნავი სარდალი და გამოჩენილი სამხედრო პირი იყო მისი სარდლობით ყიზილბაშებმა ექვს ომში ბრწყინვალედ გაიმარჯვეს „რჯულისა და სახელმწიფოს მტრებზე.“ ეს ომები იყო: ვანის ციხეზე გალაშქრება, ქურთების დამარცხება და აკლება; ბალდადის ალება და თურქების იქიდან გარეკვა, ჰამადანთან ომი ხოსროვ-ფაშასთან, შემდეგ ჰელეს ციხის აღება, საქართველოს ვილაიეთის დაპყრობა (იგულისხმება ხოსრო-მირზასთან ერთად საქართველოში შემოსვლა). სპარსელი ავტორის სიტყვით, „არავის ასეთი გამარჯვება არ მოუპოვებია ქვეყანაში“. ამ ომში მან დაამარცხა დაუდ-ხან უნდილაძე და ქართლის ტახტზე განამტკიცა როსტომი (ხოსრო-მირზა). 1634/35 წელს როსტომ-ხან სააკაძემ (ამჟამად უკვე ირანის სპასალარმა) აიღო ერევანი. კიდევ მრავალი ომი გადაუხდია მას და უთვალავი საქმე შეუსრულებია – მოგვითხრობს მისი ბიოგრაფი ბეჟანი. ირანის შაჰები მას დიდ პატივს სცემდნენ. „სწავლულ კაცთა“ კომისიის ცნობით, იგი იყო „კაცი გამოჩენილი და დიდად პატივცემული ყიზილბაშთაგან.“

22 სოპბათიასაულის მოვალეობა იყო უცხო სახელმწიფოების ელჩიბის შემოყვანა შაჰის სასახლეში, ცალკეულ პროვინციათა მმართველების მიერ მიძღვნილი ფეშქაშისა და მისართმეველის წარდგენა შაჰისათვის და მისი ბრძანების შესრულება და სხვ.

(ბერი ეგნატაშვილი, 1940, 169; A კ~იჳ 16) აღსანიშნავია, რომ როსტომ-ხან სააკაძე თვის ნათესავებს საქართველოში ძვირ-ფას საჩუქრებს და ოქრო-ვერცხლს უგზავნიდა. იოსებ ტფილელი თავის „დიდმოურავიანში“ მოგვითხრობს:

„ქაიხოსრო პეტრე მოყვარედ როსტომ-ხან სპასალარია,
მრავალჯერ გამოუგზავნა ოქრო, ვერცხლი და ლარია.“
(ტფილელი, 1939:38)

როსტომ-ხან სააკაძე სამხედრო საქმის დიდი მცოდნე ყოფილა. მისი ბიოგრაფი აღნიშნავს, რომ მან პირველმა შემოიღო ახალი ტაქტიკური წესი, რომლის მიხედვითაც თოფანგჩიები (მეთოფენი) და მეზარბაზნენი (თოფჩიები) წინა ხაზზე იყვნენ (ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა ზარბაზნებითურთ).

მიუხედავად დიდი დამსახურებისა, როსტომ-ხან სააკაძე 1642 წელს ღალატში ბრალდებით გაუსამართლებიათ და ქ. მემპედში სიკვდილით დაუსჯიათ. ორმოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში მას „სამოთხეში განუსვენებია მონამეებთან ერთად“. ბეჭანის ისტორიისა და მირზა მოპამედ თაპერის მიხედვით, როსტომ-ხან სააკაძის დალუპვის მიზეზი ყოფილა შაპ-აბას II-ის ვეზირი მირზა-თაყის ცრუ დასმენა; ასე დაილუპა კიდევ ერთი ნიჭიერი ქართველი სარდალი უცხოეთში.

XVII საუკუნის ირანში, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, სხვა ქართველებიც მოღვაწეობდნენ. ზოგიერთი მათგანი საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაშიც იღებდა მონანილეობას: მაგალითად, ადამ-სულთან ანდრონიკაშვილი. მოპამედ თაპერი²³ მოგვითხრობს: „გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი, რომ „მმართველობის საფარველი“ ადამ-სულტანი, სუფის მმართველი, რომელიც როსტომის დის-შვილია და ცნობილია, როგორც გამოცდილი კაცი, აზერბაი-

23 მოპამედ თაპერ ვაპიდ ყაზვინი (1666-1694 წწ.) – ირანელი ჩინოვნიკი, პოეტი, ისტორიკოსი, რომელიც სეფიანთა ორი შაპის: სოლემანისა და სულტან პოსეინის მთავარი ვეზირი იყო. მას ეკუთვნის შაპ აბას II ქრონიკის ისტორია.

ჯანის, შირვანის, ყარაბაღისა და ერევნის ბეგლარბეგებთან ერთად და იუზბაშების, ყორჩიების, ღულამებისა და მეთოფეების რაზმის თანხლებით, რომელთა სამყოფელი ადგილი აზერბაიჯანი და შირვანია, გაემართოს იმ ურნმუნოთა ასაკლებად, დასახოცად და დასარბევად, რომელთაც თავის უღმერთოებას და ურნმუნოებას კიდევ ურჩობა დაუმატესო. ის „მმართველობის საფარველი“ ბედნიერ საათში [მაჰის] ფეხთა კოცნის პატივით იქნა ამაღლებული და საქართველოსაკენ გაემართა“ (მოჰამედ თაპერი, 1954:381).

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ქართველი უცხოეთ-შიც არ ინდობდა თავის თანამოძმეს. მაგ., მოჰამედ თაპერის აქვს ცნობა იმის თაობაზე, რომ „... ამ წელს ისე ერისთავი-ქართველი მოჰკლა ყაზინში ბადადა (პაატა) – ქართველმა, ამილახვრის შვილმა“ (მოჰამედ თაპერი, 1954:382).

უნდა ითქვას, რომ ქართველთა უმრავლესობა ირანში თავისი პირადი ნიჭითა და უნარით დაწინაურდა, მაგრამ სამშობლოდან გადახვეწილ ქართველთა შორის ისეთებიც ყოფილან, რომლებიც ქრთამითა და დიდმოხელეთა უზნეობით ცდილობდნენ დაწინაურებას. ირანში მოღვაწე ქართველ ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძეს აქვს ცნობა იმის თაობაზე, რომ ეთო-მადდოვლე (დიდი ვეზირი) მირზა თაპერი ძალიან მექრთამე ყოფილა (სხვათა შორის, ეს ის მირზა მოჰამედ თაპერია, რომელმაც დაწერა საისტორიო ნაშრომი „თარიხ-ე შაჰე აბასს-ე სანი“ – „შაჰე აბას მეორის ისტორია“). „და ვითაც შიხ ხან ეჰტიმადოვლე მიცვალებულიყო და მირზა თაპერ ძველი ვა-ყანავისი ეჰტიმადოვლეთ შექმნილიყო, ამის ცდაში იყო, რომ შხალი ხანის ნაქმარი საქმეები ავათ გაშინჯოს წემნიფეს. საბოლოოს არა შინჯევდა, ამისათვის რაიმე თვად იყო ოთხმოცდაათის ნლისა და მერმე ასეთი მექრთამე იყო, რომ სხვა მისებრივ არც ძველით და არც ახალი მისებრივ მექრთამე არ გაგონილიყო“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925:289).

ეთემად-ად-დოულეს ამგვარი უზნეობით უსარგებლიათ

კარის დიდებულებს, რომლებსაც ქრთამის აღება თვითონაც დაუწყიათ. ამ განუკითხაობას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ხელმწიფე (შაჲ აბას II) ლხინის მოყვარული კაცი იყო და სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა აგრე რიგად არ აწუხებდა. ბოლოს და ბოლოს „ვეზირს მექრთამეობისათვის პატივი ახა-დეს და მის ნათქვამს აღარავინ დაუჯერებდიან და აირივნეს კარიცა და ნაპირის ალაგიცა“.

შაჲის კარზე შექმნილი არაჯანსალი ვითარებით უსარგებ-ლიათ ქართველებსაც. „რა ქართველთ ეს იცნეს, რომე ქრთა-მით საქმე გარიგდების, ვინც ერთი ტყვე მოჰვარის, რაც უნ-დოდა გაირიგის და წემნიფისას არას ნაღვლობდის“. პირველი ვეზირი (ეთიმადდოვლე) უქრთამოძ არაფერს აკეთებდა. იგი თავისიანებსაც არ ივიწყებდა. „ერთ წელიწადში თვითონ და თავისი შვილნი და მეყვისნი და ნათესავნი ასრე მორჭმულნი და საქონლიანი შექნა, რომ სხვათ ეპტიმადოვლეთ²⁴ ოცს წე-ლიწადში ვერ ეშოვნათ. მღთის შიში არ აქონდა და არც გან-კითხვა სწამდა. და რა გინდა გლახა კაცი ენახა, წელში მზერას დაუწყებდა და თუ მისთვის არა მოეტანა რა, ტუქსვასა და გინებას დაუწყებდა“. ასე გვიხატავს ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე XVII საუკუნის მეორე ნახევარში ირან-ში შექმნილ ვითარებას (კაკაბაძე, 1926).

24 ეპტიმადოვლეთ – სახელმწიფოს მმართველი, პირველი ვეზირი სპარსეთის სამეფო კარზე.

თავი III. ქართველები XVIII საუკუნის ირანში

1633 წლიდან ქართლის ტახტზე გამაჰმადიანებული ბაგრატიონების მეფობა იწყება; 1658 წელს, როსტომის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე ავიდა თეიმურაზ მუხრან-ბატონის შვილი ვახტანგ V, რომელიც შაჳ აბას II-მ დამტკიცა შაჳნავაზის სახელწოდებით. იგი 1676 წლამდე მეფობდა. ვახტანგ V შაჳნავაზი მარჯვედ იყენებდა ირანის ხელდებულობას: ირანის შემწეობითა და მხარდაჭერით მან ბრძოლა გამოუცხადა ერისთავებს, მოინდომა სათავადოების შემომტკიცება, ილაშქრა დასავლეთ საქართველოში და გაამეფა თავისი ვაჳუ არჩილი ჯერ იმერეთში, ხოლო შემდეგ კახეთში. ერთი სიტყვით, იგი საქართველოს გაერთიანებასა და გაძლიერებას ცდილობდა, რაც, ცხადია, ირანის შაჳს გულზე არ ეხატებოდა.

შაჳ სულეიმანმა ვახტანგ V შაჳნავაზი ირანს იხმო და იგიც იძულებული გახდა, გამგზავრებულიყო ათასკაციანი ამალით. მაგრამ ქართლის მეფემ ისპაპანს ვერ ჩააღწია: იგი ხოშქარუს ქარვასლაში ავად გახდა და გარდაიცვალა. ქართული წყაროების მიხედვით (ფარსადან გორგიჯანიძე, ვახუშტი ბატონიშვილი), ვახტანგ V-ის გარდაცვალება საიდუმლოებათაა მოცული. ფარსადან გორგიჯანიძე წერს, რომ შაჳნავაზი ხოშქარუს ქარვასლაში გარდაცვლილა („ყაზვინით ავადმყოფი წავიდა და ხოშქარუს ქარვასლაში ძლივას ჩაანივა და იქ მიიცვალა“. „შთავიდა ხოშქარს მუნ სალმობიერ იქმნა და მოკვდა,“ – ბატონიშვილი ვახუშტი (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973, 456). ე. წ. „პარიზის ქრონიკა“ მოკლედ გვამცნობს, რომ ქორონიკონსა 364 მეფე შაჳნავაზი წავიდა ისფაპანს 25 ივნისს, იმავე ქორონიკონის სექტემბერში იგი გარდაიცვალა ხოშქარუს. არის კიდევ ერთი ქართული წყაროს ცნობა, რომელშიც ვახტანგ V-ის სიკვდილზეა ლაპარაკი, მაგრამ ავტორი მის ავადმყოფობას არ

ახსენებს; ჩხეიძე მოგვითხრობს: „მუხანათმა და მიუნდობელმა სოფელმან მოაპრუნა უკუღმა ბორბალი, რა ხოშკაროს ქარ-ვასლაში მიბძანდა, ამა სოფლისაგან მიიცვალა“ (სეხნია ჩხეიძე, 1854:309).

უცხოური წყაროების ცნობით, ვახტანგ V-ის სიკვდილში ირანის ხელი ურევია. საქართველოში მყოფი იტალიელი მი-სიონერი ჯუზეპე 1677 წლის 1 აპრილს რომში გაგზავნილ წე-რილში აღნიშნავდა, რომ ქართველი მეფე ყიზილბაშთაგან იყო მოწამლული.

სომეხი ვაჭარი ზაქარია აქულისელი თავის დღიურში წერს: „1676 წლის 14 აგვისტო. მე, ზაქარია, დღეს ვიყავი ძველ ჯუ-ღაში. თბილისიდან აქ დიდი ზემით მოვიდა შაჰნავაზ ხანი, დიდი ჯარით, ბევრი მსახურითა და მხევლით. ისინი გადავიდ-ნენ მდინარე ერასხზე (არეზზე – დ. კ.) და ისპაპანისაკენ გაე-მართნენ. მიზეზი ის იყო, რომ მეფე შაჰ-სულეიმანმა უბრძანა თავის ყორჩიბაში, მუსტაფა-ყული ბეგს, რომელიც მესტუმრედ დაინიშნა, წასულიყო თბილისში და გამოეცილებინა ხანი. დღეს ისინი აქ მოვიდნენ. [ხანს] თან ახლდა უფროსი და უმცროსი შემადგენლობის ათასი მხედარი, ხოლო შაჰთან მიჰყავდა სა-მოცი აქლემით მსახურები და მხევლები. ასეთი საჩუქრების მირთმევა [შაჰისათვის] მთელ ქვეყანას ევალებოდა.

ხანმა მიაღწია ხოშკარუს და იქ გარდაიცვალა. მთელი იმი-სი ქონება ისპაპანს გაგზავნეს“.

ზაქარია აქულისელი კიდევ უბრუნდება შაჰნავაზის სიკ-ვდილის ამბავს და წერს: „1676 წლის 15 აგვისტო. შაჰნავაზ ხანი, ტომით ქართველი იყო, ჯერ კიდევ შაჰპასმა წაიყვა-ნა ისპაპანში, გაამუსლიმანა და თბილისის ხანობა უბოძა. ამ წელს მეფე შაჰ-სულეიმანმა ყორჩიბაშის შვილს მუსტაფა-ყუ-ლი ბეგს უბრძანა, წასულიყო თბილისში და შაჰნავაზ ხანისათ-ვის მემადარბაშობა გაეწია. დღეს დიდი ჯარით, რომლისთვი-საც ათას ცხენამდე ხორბალი იქნა გაღებული, მოვიდნენ ისინი ძველ ჯუღაში, რათა ისპაპანში წასულიყვნენ. მათთვის ულუ-

ფის მოგროვება ყველა ქალაქსა და სოფელში ხდებოდა მტა-
ცებლობით და მოძალადეობით. მან მიაღწია ხოშკარუდ წოდე-
ბულ სადგურს და იქ გარდაიცვალა. ზოგნი ამბობენ თვითონ
მოკვდაო, ზოგნიც მონამლესო, სიმართლე ღმერთმა გაიგოს!
ის წაასვენეს ქალაქ ყუმში და იქ დაკრძალეს. მთელი ჯარი
ისპაპანში წავიდა. შაპმა თბილისში კაცი გააგზავნა, რათა იმი-
სი შვილი გიორგი მირზა მოეყვანა. როდესაც ხანი თბილისიდან
მოდიოდა, თავის შუათანა შვილი, გიორგი მირზა მოადგილედ
დანიშნა, შაპის გაგზავნილმა კაცმა ეს გიორგი მირზა წაიყვნა
ისპაპანში. [შაპმა] ის გამუსლიმანა, სახელი შეუცვალა შაპბან-
დი ხანი უწოდა და მამის ადგილი მისცა. ოცდაათი წლისა იყო.

ასეა თუ ისეა, ვახტანგ V შაპნავაზი 1676 წლის აგვის-
ტოში ისპაპანს მიმავალი ხოშკერუდში (ქ. ხოშკერუდი – მდ.
სერუდზე, თეირანის სამხრეთ-აღმოსავლეთით) გარდაიცვალა.
იგი დიდი პატივით დაკრძალეს შიიტების წმინდა ქალაქ ყუმში,
მისი მამობილის, როსტომის (ხოსრო მირზას) გვერდით.

შაპ სულეიმანმა ქართლის ტახტზე ვახტანგის შუათანა ვა-
ჟი გიორგი XI დაამტკიცა, შეუცვალა მას სახელი და შაპნავაზ
II უწოდა. იგი 1677-1688 წლებში იჯდა ქართლის ტახტზე.

ირანთან ურთიერთობა გამწვავდა. გიორგი XI ირანისაგან
საქართველოს განთავისუფლებაზე ზრუნავდა, რაც ცხადია,
ირანის შაპს არ გამოეპარა. 1688 წელს კახეთის მოსახლეობამ
თხოვნით მიმართა გიორგის და შესთავაზა ერთობლივი ძალით
კახეთის მმართველის განდევნა. გიორგი დათანხმდა ამ წინა-
დადებას და გადაწყვიტა ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერ-
თიანება. მაგრამ მისი ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა: შაპ
სოლეიმანმა იგი ტახტიდან გადააყენა და მის ადგილზე ერეკ-
ლე ბატონიშვილი, რომელიც შაპის კარზე იყო, ქართლის ტახ-
ტზე დასვა. ერეკლე I (ნაზარალი-ხანი) თეიმურაზ I-ის შვილის,
დავითის ძე, ქართლში 1688 წლიდან 1703 წლამდე მეფობდა.

გიორგიმ შაპის მოთხოვნას ყური არ ათხოვა და ისპაპანში
არ გაემგზავრა, იგი იმერეთში გადავიდა. გიორგიზე განაწყე-

ნებულმა შაჰმა გიორგის ძმა ლევანი და მისი ერთ-ერთი შვილი ბაგრატი დაპატიმრა და ჰერეთის ციხეში გამოამწყვდია, ხოლო მისი ძმები ალექსანდრე და ძალით გამაჰმადიანებული ლუარსაბი ქირმანის ციხეში ჩასვეს.

ერეკლე I ნაზარალი-ხანმა ქართლში ფეხი ვერ მოიკიდა, მისი უნიჭო მმართველობით არც ქართული ფეოდალური საზოგადოება იყო კმაყოფილი და არც შაჰის კარი. ირანში საშინაო და საგარეო ვითარება სულ უფრო და უფრო გაუარესდა: ეკონომიკური კრიზისი გადაეჯაჭვა პოლიტიკურ კრიზისს. მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა ახალი შაჰის სულთან-ჰუსეინის (1694-1722 წწ.) პიროვნულმა თვისებებმა: იგი უფრო მეტს ზრუნავდა თავისი პირადი სიამოვნების დაკმაყოფილებაზე, ვიდრე სახელმწიფოს ბეჭ-ილბალზე. ფრანგი მისიონერი დიუ სერსო წერს: „მეტად მძიმე ტვირთად დააწვა სახელმწიფოს ჰარამხანის შენახვა იმ მდგომარეობაში, რომელსაც მან მიაღწია ამ შაჰის მმართველობის დროს. წინაპრებთან შედარებით მან გაასამკეცა ხარჯები. ვერცერთი მისი წინაპარი ვერ შეედრებოდა მას ვერც ჰარამხანაში ქალთა სიმრავლით და ვერც იმ არაჩვეულებრივი ფუფუნებითა და ბრნყინვალებით, რომელშიც იგი ამ ქალებს ინახავდა. ტახტის დაკავებისთანავე მისი საზრუნავი ჰარამხანისათვის ლამაზი ქალების მონახვა იყო. ის საჯაროდ ტრაპახობდა, რომ არ დაზოგავდა ფულს, რათა ეჯობდა ყველა იმ ავხორცი მეფეებისათვის, რომელიც კი ოდესმე მსოფლიოს ჰყოლია.“

ახალი შაჰის უნიათობით სარგებლობდნენ მის კარზე მოკალათებული მოხელეები, რომლებიც, თამამად შეიძლება ითქვას, ძარცვავდნენ ხაზინას (მაგ. ეთემად-ად-დოულე დიდი ვეზირი, რომელსაც არტემი ვოლინსკი ახასიათებს, როგორც ბრიუვს, და შაჰის პირადი ექიმი (ჰაქიმბაში)).

თავი აიშვეს შიიტმა სასულიერო პირებმაც. გაძლიერდა შიიტური ფანატიზმი, რამაც სეფიანთა სახელმწიფოში მცხოვრები სუნიტებისა და ქრისტიანების დიდი უკმაყოფილება გა-

მოიწვია, რაც აშეკარა ამბოხებაში გადაიზარდა. ასეთ ვითარებაში შაჰმა საქართველოსთან დამოკიდებულების ფორმა რამდენადმე შეცვალა: გიორგი XI-ის ძმები, ლევანი და ლუარსაბი, პატიმრობიდან გაანთავისუფლა, ბაგრატი ციხეში გარდაიცვალა; ქაიხოსრო ლევანის ძე ისპაჲანში წავიდა თავის მამა-ბიძასთან (ლევანსა და ლუარსაბთან).

ამასობაში კვლავ გამწვავდა ყანდაარის საკითხი. ყანდაარი საცილობელი პუნქტი იყო „დიდ მოგოლებს“ შუაზიელ ოზბეგებს და სეფიანებს შორის: იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის იგი სეფიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო. იქ მცხოვრები ავლან-გილზაები ირანის შაჰს არ ემორჩილებოდნენ. და აი ასეთ ვითარებაში ირანში გადაწყვიტეს მეამბოხე ავლანური ტომების დამორჩილება ქართველთა ხელით. ქართველების საქეყენოდ განთქმულმა მამაცობამ განაპირობა შაჰის გადაწყვეტილება, გიორგის შერიგებოდა. ნიჭიერი და მამაცი მხედართმთავარი, ქართლის ყოფილი მეფე გიორგი XI, რომელიც 1688 წლიდან ტახტის დაბრუნებისათვის იბრძოდა, შაჰ სულთან ჰუსეინმა 1695 წელს ირანში გაიწვია. იგი დიდი პატივით მიიღეს ირანში. შაჰმა ქართლის მეფედ მის მიერ დანიშნული ერეკლე I, რომელიც ქართლის ფეოდალურ საზოგადოებაში მაინდამაინც კარგი სახელით არ სარგებლობდა, ირანში გამოიძახა. აქ მას კახეთის მეფობა და ირანის ყულარალასობა უბოძა, ისპაჲანში დატოვა და კახეთში მის ნაცვლად (მოადგილედ) მისი ვაჟიშვილი დავითი დანიშნა. ქართლი გიორგი XI-ს გადასცა, ისიც ისპაჲანში დატოვა და ქართლში მის მოადგილედ – „ჯანიშინად“ 1703 წელს ვახტანგ ლევანის ძე დანიშნა.

გიორგი XI შაჰის ამ წინადადებას დათანხმდა. როგორც ჩანს, იგი ცდილობდა ირანში თავისი მაღალი მდგომარეობა თავისი სამშობლოს განთავისუფლებისათვის გამოეყენებინა. ინგლისელი ჯონ ჰანვეი წერს: „იგი ცდილობდა ესარგებლა თავისი მდგომარეობით, რათა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მიეღწია“.

შაჲ სულთან-ჰუსეინმა გიორგი ქირმანის ბეგლარბეგად დანიშნა. გიორგიმ თავისი ძმის ლევანისა და ქართველების ხელით ამბოხებული ქირმანელები დაამშვიდა, ლევანი ისპაჲანს დაბრუნდა, ხოლო თვითონ 1704 წლის გაზაფხულამდე ქირმანს დარჩა.

ირანის შაჲმა ლევანსა და გიორგის სამსახური დაუფასა: ლევანი ირანის დივან ბეგად (მსაჯულთუხუცესად) დანიშნა (ლევანი 1709 წლის 13 ივლისს ისპაჲანში გარდაიცვალა), ლევანის შვილი ქაიხოსრო – ისპაჲანის ტარულად, ხოლო გიორგი XI – ყანდაარის ბეგლარბეგად და ირანის ჯარის მთავარ სარდლად.

როგორც ჩანს, შაჲი ცდილობდა, გიორგი XI რაც შეიძლება შორს ყოლოდა საქართველოდან. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თანამედროვეებს: ქართველი მეფე გიორგი XI შაჲ სულთან-ჰუსეინმა „ყანდაჲარის პროვინციის მმართველად გაგზავნა, რათა საქართველოდან შორს ყოლოდა,“ – აღნიშნავს ერთერთი ფრანგი მოგზაური ჟან ოტე.

გიორგი XI (შაჲნავაზ II, გორგინ ხანი) 1704 წლის მაისში ოცი ათასიანი ლაშქრით, რომელშიც ოთხი ათასი ქართველი იყო, ყანდაარისკენ დაიძრა. გზად მან ჰერათზე გაიარა, დაიკავა ჰერათის ცნობილი ციხესიმაგრე ყალა-ი იქ თირუდინი, შემდეგ გზა გააგრძელა და მიუახლოვდა ყანდაარს. მისმა მოახლოვებამ ბევრი უკმაყოფილო შეაშინა და გააჩუმა. გიორგი XI ფიქრობდა, რომ ეს სიჩუმე მოჩვენებითი იყო.

გიორგი XI ყანდაარში ჩასვლისთანავე სასტიკად გაუსწორდა აჯანყების მონაწილეებს და ერთი შეხედვით, წესრიგი დაამყარა ქალაქში, მაგრამ ეს სიმშვიდე და წესრიგი მოჩვენებითი იყო: ყანდაარში სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყება მზადდებოდა, რომელსაც ავლანთა ერთ-ერთი ტომის – გილზაების ბელადი, ყანდაარის მემკვიდრეობით ქალანთარი, ენერგიული და ნიჭიერი კაცი მირ-ვეისი ხელმძღვანელობდა.

არსებობს ცნობა, რომ ავლანელთა საიდუმლო ორგანიზაციამ შაჲ სულთან-ჰუსეინთან დელეგაცია გააგზავნა. ამ დე-

ლეგაციას შაჰისათვის უნდა მოეხსენებინა ყანდაარის ბეგლარ-ბეგის გიორგი XI-ის (შაჰნავაზ II, გურგენ ხანი) დესპოტიზმის შესახებ და უნდა ეთხოვა მოსახლეობის დაცვა ბეგლარბეგის მხრიდან შევიწროებისაგან. გიორგი XI-ის მეგობრებმა ისპაჲან-ში ეს დელეგაცია შაჰის კარამდე არ მიუშვეს, მაგრამ ავღანელ დელეგატებს მაინც მოუხერხებიათ შაჰისათვის ყანდაარის მოსახლეობის საჩივრის გადაცემა.

არის სხვა ვერსიაც: გიორგი XI-ს მირ-ვეისი სპეციალური დავალებით გაუგზავნია ისპაჲანში. მის მეთვალყურეებად თან გაუყოლებია ქართველები, რომლებსაც ეთემად-ად-დოულეს-თან (პირველ ვეზირთან) მიჰქონდათ გიორგი XI-ის საიდუმლო წერილი, რომელშიც მირ-ვეისის საეჭვო მოქმედება იყო აღნიშნული.

ასეა თუ ისე, ირანის შაჰმა გაიგო გიორგი XI-ის მიერ ყანდაარის მცხოვრებთა შევიწროების შესახებ.

გიორგი XI-მ, არცთუ უსაფუძვლოდ, ამ დაბეზლებაში ბრალი მირ-ვეისს დასდო, იგი დააპატიმრა, გააგზავნა ისპაჲანში და შაჰის კარს შეატყობინა მისი საეჭვო მოქმედების შესახებ. მაგრამ მირ-ვეისის წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი არ იყო: იგი ჭკვიანი და ეშმაკი კაცი იყო; იგი დაუკავშირდა ისპაჲანში გიორგი XI-ს მოწინააღმდეგებს. ინგლისელი ქართველოლოგი დ. მ. ლენგი სავსებით მართებულად აღნიშნავდა: „მირ-ვეისი საკმაოდ ეშმაკი და ჭკვიანი იყო იმისათვის, რათა არა-მარტო თავიდან მოეხსნა ყველა ბრალდება, არამედ გიორგის ქცევა შაჰისა და მისი მინისტრების თვალში საეჭვო გაეხადა. ამის გაკეთება ძნელი არ იყო ისპაჲანში, რამდენადაც შაჰის სამეფო კარზე არსებობდა ძლიერი ანტიქართული კოალიცია, რომელშიც ქართველების წარმატება ეჭვსა და სიძულვილს იწვევდა.“

მირ-ვეისმა 30 ათასი თუმნის (75 ათასი გიორგანქა სტერლინგის) საჩუქრებით მოქრთამა გიორგი XI-ის მოწინააღმდეგები ისპაჲანში, რომლებმაც თავის მხრივ, შაჰი სულთან-ჰუ-

სეინი დაარწმუნეს მირ-ვეისის ერთგულებაში. ასე რომ, ირანის შაჰი მირ-ვეისთან შეხვედრის დროს უკვე კეთილად იყო გან-წყობილი მისდამი (Hanway, 1753:33).

ამავე დროს აღსანიშნავია ერთი გარემოებაც; ცბიერმა მირ-ვეისმა შაჰთან საუბრისას ერთი სიტყვაც კი არ თქვა გურ-გენ-ხანის (გიორგი XI-ის) სანინააღმდეგოდ; პირიქით, იგი ყო-ველთვის ქებით მოიხსენიებდა ყანდაარის ბეგლარბეგს, მაგრამ თითქოს სხვათაშორის „ჩაურთავდა სიტყვებს იმის შესახებ, რომ ის, ვინც ერთდროულად საქართველოს მეფეა და ქირ-მან-ყანდაარის გუბერნატორი, არ შეიძლება შაჰის კარისათვის საშიში მოწინააღმდეგე არ იყოს. იგი ხშირად მოაგონებდა შაჰს და მის მინისტრებს სპარსეთის წინააღმდეგ ქართველების გა-ნუწყვეტელ ბრძოლაზე“. მირ-ვეისმა დაარწმუნა შაჰი და მისი გარემოცვა თავის ერთგულებაში. თადეუშ კრუშინსკის ცნო-ბით, ცბიერ მირ-ვეისს მოუხიბლავს არა მარტო კარის მექ-რთამე მოხელეები, არამედ თვით გიორგი XI-ის უმცროსი ძმა, ირანის დივანბეგი ლევანი. იგი უფროს ძმას უთვლიდა ყან-დაარში (აღსანიშნავია, რომ წერილი თვითონ მირ-ვეისს გაა-ტანა ისპაპანიდან ყანდაარს): „ნეტავ ვიცოდე, ამ კაცმა ისეთი რა დაგიშავა, უღვთოდ რომ გასწირეო. შენი ერთგული არის, ისპაპანში შენი ქების მეტი არაფერი დასცდენიაო...“ (ნატროშ-ვილი, 1995:68; კაციტაძე, 2001:409).

მირ-ვეისი შაჰის ნებართვით მექაში გაემგზავრა. იქ სუ-ნიტი ღვთისმეტყველებიდან მიიღო „ფეთვა“ (საღვთისმეტყვე-ლო-იურიდიული დასკვნა, თანხმობა) თავის მომავალ მოქმე-დებაზე – „საღვთო ომზე“ ყანდაარის განთავისუფლებისათვის (ტაბაღუა, 1982:159).

მირ-ვეისის განთავისუფლებას ისპაპანში ერთმა გარე-მოებამაც შეუწყო ხელი. მირ-ვეისის ისპაპანში ყოფნის დროს, 1708 წელს იქ ჩავიდა რუსეთის ელჩობა ისრაელ ორის – ცნო-ბილი სომეხი ნეგოციანტის მეთაურობით.

წყაროების ცნობით, ისრაელ ორის ირანში ჩასვლა ჭკვიანმა

და ეშმაკმა მირ-ვეისმა თავისი მიზნების განხორციელებისათვის მარჯვედ გამოიყენა. ჯ. ჰანვეის მიხედვით, მირ-ვეისი შაპ-თან დაახლოებულ პირებს ეუბნებოდა: „სახელმწიფო უდიდესი საშიშროების წინაშე იმყოფება, რამდენადაც არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ რუსეთის მეფემ, რომლის სიძლიერე და პატივმოყვარეობა მსოფლიოში ცნობილია, გადაწყვიტა გაათავისუფლოს სპარსეთის ბატონობისაგან ხალხი, რომელიც მისი თანამორწმუნება. ელჩი უქველად წარმოადგენს საიდუმლო ემისარს, რომელიც თავისი რწმუნების სიგელის საფარველქვეშ მოდის იმისათვის, რათა გააღვივოს უკმაყოფილების მბუუტავი ნაკვერცხალი სახელმწიფოს თვით შუაგულში. სხვანაირად – რატომ აირჩიეს სომეხი? ნუთუ ამ მბრძანებლებმა ვერ შეძლეს თვიანთ უზარმაზარ სამფლობელოებში ეპოვნათ თავიანთი ქვეშევრდომი...“ (Hanway, 1753:38).

თადეუშ კრუშინსკის ცნობით, მირ-ვეისი შაპ სულთან ჰუსეინს იმით აშინებდა, რომ რუსეთი მხარს დაუჭერს ქართველებსა და სომხებს ირანის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში.

მირ-ვეისის ხრიკებმა გაჭრა: შაპი სულთან ჰუსეინი დარწმუნდა იმაში, რომ გიორგი XI-ს უნდა ჩამოაშოროს შაპს მისი ერთგული მირ-ვეისი, ხოლო შემდეგ აჯანყდეს ირანის წინააღმდეგ. შაპმა მირ-ვეისი თავის უფლებებში აღადგინა, საპატიო ხალათი უბოა და ყანდაარში დააბრუნა (1709 წლის დასაწყისში).

მირ-ვეისმა გიორგი XI-ის წინაშე გააძლიერა პირფერობა და მლიქვნელობა, რითაც მისი სიფხიზლე მოადუნა. საჭირო იყო, გიორგი XI-ის ისედაც შეთხელებული ლაშქრის რამე საბაბით თავიდან მოცილება. აღსანიშნავია, რომ მისი ლაშქრის დიდი ნაწილი, რომლითაც იგი ყანდაარში ჩავიდა, ირანში უკან დააბრუნეს. მასთან დარჩა ათასამდე რჩეული ქართველი მებრძოლი, რომლებიც ჯ. ჰანვეის ცნობით, „უკეთეს ჯარის ნაწილად ითვლებოდა აღმოსავლეთში. იგი იყო გადაულახავი ზღუდე მირ-ვეისის გეგმის განხორციელების წინაშე“ (Hanway, 1753:47-50).

ცბიერმა მირ-ვეისმა იმდენი იღონა, რომ გიორგი XI-მ თავისი ლაშქრის საუკეთესო ნაწილები გააგზავნა ერთ-ერთი აჯანყებული ავლანური ტომის დასასჯელად. ასე რომ, გიორგი XI მცირერიცხოვანი დაცვის ამარა დარჩა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ პროფ. დ. მ. ლენგის აზრით, „ალბათ, გიორგის დაზვერვა არ იყო სათანადო სიმაღლეზე, რადგან მას არავითარი ეჭვი არ ჰქონდა ავლანელთა შეთქმულების შესახებ“.

მირ-ვეისმა ორი ავლანური ტომის ბელადების შერიგებასთან დაკავშირებით გამართა ნადიმი ყანდაარიდან 3 თუ 4 ლიეზე (15-20 კმ-ზე), რომელზეც გურგენ-ხანიც (გიორგი XI, შაჰნავაზი) მიიპატიუა.

1709 წლის 21 აპრილი იყო. გიორგი XI „დიდი ზეიმით და ბრნყინვალებით გაემგზავრა მირ-ვეისის ბანაკისაკენ“ (Hanway, 1753:46-51).

ავლანელებმა მას დიდებული შეხვედრა მოუწყეს, მისი სიფხიზლე შეასუსტეს და ლხინის შემდეგ ქართველები ამოხოცეს. ჯ. ჰანვეი წერს, რომ სიცხემ და ლვინომ იმოქმედა ქართველებზე. გიორგი XI დაიძინა. მისი დაცვა ცალკე მიიპატიუეს და დაათვრეს. ამ დროს თვითონ მირ-ვეისი, შუბებით შეიარაღებულ ორმოცდაათ კაცთან ერთად, თავს დაესხა მძინარე გიორგის. იგი მოკლეს. სეხნია ჩხეიძე ასე აგვინწერს ამ ამბავს: „...მეფემან, ედვა ქარქაში სარჩისა გვერდსა მისსა, გაიკრა ხელი, თავმან მისმან, სანამდის ისარი ჰქონდა, არც ერთი არ დააცდინა, რა ისარი დაელია, გაიკრა ხმალს ხელი; როგორც დევი, ისე იბრძოდა, ჰკრეს თოფი ამა მორქმა დიდების პატრონსა და მოკლეს, ვინცა-ვინ ქართველნი დარჩომილ იყო, ამოწყვიტეს“ (სეხნია ჩხეიძე, 1854:324-325).

გიორგი XI-ის მოღალატურად მოკლის შესახებ ცნობებს გვაწვდიან დ'ანდრეზელი, თურქული სამახსოვრო ბარათის ანონიმი ავტორი, იოსებ ქართველი და სხვანი.

საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომლის მი-

ხედვითაც გამუსლიმებული გიორგი XI-შაჰნავაზი ფარულად ისევ ქრისტეს რჯულს აღიარებდა. „შემდგომად მოერტყა მირვეიზი მეფესა სპითა და ბრძვეს ძლიერად მეფისათა. არამედ არღუევითა ბანთათა მოკლეს გიორგი ქადაგი, ქარ. ტუში, დიდსა ხუთშაბათს. და აჟყარნა ჟამსა მას, და წარმოუვლინა ყენსა მეტყუელმან: „ესრეთ გაცდუნებდა მეფე“. მერმე მოიქცა ყანდაარს და მცველთა ციხისათა მიუთხრა ყენისა-მიერობა, სიკუდილი მეფისა, ამისათვის მისცეს ყანდაარი და დაიპყრა მან“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973:484).

ზოგიერთი ცნობის მიხედვით, როდესაც მოკლულ გურგენ-ხანს ტანსაცმელი გახადეს, მას გულზე ჩამოკიდებული ჯვარი უპოვეს. ერთი ჯვარიც მისი საომარი დროშის ბუნიკში აღმოჩნდა დამალული.

არის გადმოცემა, რომ გიორგი XI-ის პირადი მსახური სპარსელი მურადი მას ღალატობდა. იგი მირ-ვეისს უმტკიცებდა: გიორგი ქრისტიანია; მე ბევრჯერ მინახავს ფარულად როგორ ღოცულობდაო.

ავლანელები დახოცილი ქართველების ტანსაცმელში გამოეწყვნენ (მირ-ვეისმა გიორგი XI ხალათი ჩაიცვა) და მოტყუებით შევიდნენ ყანდაარში.

სამი დღის შემდეგ ყანდაართან გამოჩნდნენ აჯანყებული ავლანელების დასაშოშმინებლად გაგზავნილი ქართველთა რაზმები. ავლანელებმა მირ-ვეისის ბრძანებით გზა გაიკაფეს და ირანის გზას დაადგნენ. ქართველები დიდი გაჭირვებით მიდიოდნენ ირანისაკენ: აკლდათ ფურაუი, საჭმელ-სასმელი, მაგრამ მაინც არ გაჩერებულან.

ისპაჲანში გაიგეს გიორგი XI-ის დაღუპვის და ავლანელთა აჯანყების ამბავი. 1710 წელს შაჲ სულთან-ჰუსეინმა აჯანყებული ყანდაარის წინააღმდეგ გააგზავნა ჰერათის ხანი 15 000-იანი ლაშქრით, რომელიც მირ-ვეისმა დაამარცხა. 1710 წლის სექტემბერში თავრიზის ბეგლარ-ბეგი მოჲამედ-ხანი 5 000-იან ლაშქრით გაემართა ყანდაარისაკენ აჯანყებული ავლანელთა

დასასჯელად, მაგრამ ავლანელებმა ეს ჯარიც დაამარცხეს: მოჰამედ-ხანი თავისი სამი ვაჟით ტყვედ ჩაიგდეს.

შაპი სულთან-ჰუსეინი როგორც იქნა მიხვდა, რომ ავლანელთა ამბოხება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ირანს. შაპმა ამ ამბოხების ჩასახშობად ახალი დიდი ლაშქრობა ბრძანა. მრავალრიცხოვანი ლაშქრის სათავეში ჩააყენა ქაიხოსრო ლევანის ძე, რომელიც ისპაპანის ტარულა იყო (1707 წლიდან). ისპაპანში ქაიხოსრომ შაპის ერთგულებით გამოიჩინა თავი: მან სასტოკი ღონისძიებებით ჩააქრო ისპაპანის მცხოვრებთა აჯანყება. სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს: „რა სცნეს მისულა ქაიხოსროსი წინათ ამისად კიდევ ბევრი ნასალი ექნა და დაეცათ შიში დიდი შეიყარა ქალაქი და მოეგებნენ წინა და ლოცვიდნენ შიმშილის მორჩენისათვის“ (სეხნია ჩხეიძე, 1854:322-323). შემდეგ: „ნაიკითხეს რაყამი კარსა ხელმწიფისასა, ჩავიდა სადგომსა, შეჯდა მეორესა დღესა ცხენსა და ქნა ნასალი უცხო და საკვირველი: ზოგი დახივა მუცელზედა, ზოგი ყორით მიაბა დარაბასა, ზოგი დასჭედა ნალ-ლურსმნითა. თქვენმა მზემა, მეორე დღეს გენახათ ქუჩა-და-ქუჩა ხვარბლით აივსო და აღებინა ღამით ყაისარა, თხუთმეტს ღამეს სულ ბაზარი ღია იყო, რომ მცველი კაცი არ უდგათ, იყო ჩირახოვანი. იარებოდა სარდასტასა შიგან ქვეითათ მალვით, არა თუ ვინმე დააშაოს რამე, შეიქნა ისპანში სიმშვიდე და იეფობა“ (სეხნია ჩხეიძე, 1854:323).

აი, ეს ქაიხოსრო ლევანის ძე დანიშნა შაპმა გიორგი XI-ის დაღუპვის შემდეგ ქართლის მეფედ, ამავე დროს მას უბოძა ირანის სპასალარობა და თავრიზისა და ბარდის გამგებლობა. „... ებოძა ყაენს ბატონის შვილის ქაიხოსროსათვინ ქართლი, ერანისა სპასალარობა, თავრიზი და ბარდა,“ – წერს სეხნია ჩხეიძე (სეხნია ჩხეიძე, 1854:325).

ქართლის მეფედ ქაიხოსრო ნომინალურად იყო. ფაქტობრივად ქართლს ისევ ვახტანგი მართავდა, რომელმაც ქაიხოსროს მისი მოთხოვნის საფუძველზე 1500 ქართველი მხედარი გაუგზავნა. სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს: „ებოძა ყაენს ბატო-

ნის-შვილის ქაიხოსროსათვინ ქართლი, ერანისა სპასალარობა, თავრიზი და ბარდა: მოვიდა ხელმწიფისაგან ხალათი და ისევ ნაიბობა. დაებარებინა ხოსროხანს ქართველნი ჯარი და შეყარა ბატონისშვილმა ვახტანგ ჯარი, უთავა მუხრანის ბატონი პაპუა, და თითო სახლის დარბაისლის შვილები, ჩავიდნენ მაშათსა, იქიდამ მობრძანდა ხოსრო, მისცეს ბატონისშვილს იესეს ქირმანის ბეგლარბეგობა, დაარქევს ალიყული, ხან, როსტომს ძესა ლევანისასა ხარჭას მისცეს ისპაპანის ტარულობა“ (სეხნია ჩხეიძე, 1854:325).

ირანის შაპის კარზე მოკალათებული ანტიქართული დაჯგუფება ყოველნაირად ხელს უშლიდა ავღანელთა წინააღმდეგ ლაშქრობის წარმატებით დაგვირგვინებას. „სპარსელებმა დიდხანს შეაჩერეს ქაიხოსრო და ბოლოს ყანდაპარს ისე გაისტუმრეს, რომ ჯარს სრული ჯამაგირიც არ მისცეს. ქაიხოსროს მრჩევლად დაუნიშნეს ვინმე იმამყული-ბეგი, რომელმაც მას უდალატა,“ – წერს აკად. მ. ბროსე.

1710 წლის ნოემბერში ქაიხოსრო თავისი ლაშქრით ხორას-ნისაკენ გაემართა, შემდეგ კი შეიჭრა ავღანეთის ტერიტორიაზე და მიუახლოვდა ყანდაარს. ქაიხოსრომ თავდაპირველად სცადა მირ-ვეისთან მოლაპარაკება, მაგრამ უშედეგოდ. ქაიხოსროს ლაშქრის მოახლოებისთანავე მირ-ვეისმა დახოცა 30 მეტევლად აყვანილი ქართველი, გაანთავისუფლა ბატონისშვილი ალექსანდრე და ნება დართო პატუნა და ნოდარ ციციშვილების თან წაყვანისა. ამასათნავე, მირ-ვეისმა მათ თან გაატანა გიორგისა და მისი თანმხლები პირების გვამები.

ქაიხოსროსა და მირ-ვეისს შორის რამდენიმე ბრძოლა გაიმართა, რომლებიც ქაიხოსროს გამარჯვებით დამთავრდა; ყანდაარის გარნიზონმა მას ქალაქის ჩაბარებაც კი შესთავაზა, მაგრამ ქაიხოსრომ ეს წინადადება არ მიიღო. მაგრამ შემდეგ გამარჯვების სასწორი მირ-ვეისისაკენ გადაიხარა, რომელმაც ბელუჯის ტომის ავღანელებს დახმარება სთხოვა, ამავე დროს ბრძანა სურსათ-სანოვაგისა და ფურაჟის მოსპობა. ქაიხოსროს

ლაშქარში ლალატმაც იჩინა თავი (სპარსელთა ერთ-ერთი სარ-დალი მაჰმად-ხანი მირ-ვეისს დაუკავშირდა). იგი იძულებული გახდა, ახლობლების რჩევით, უკან დაეხია, მაგრამ სპარსელთა ჯარის სამარცხვინო გაქცევის გამო, ორგანიზებული უკანდა-ხევა ვერ შეძლო.

1711 წლის 27 სექტემბერს ავღანელებთან ბრძოლაში თან-მხლებ ქართველებთან ერთად დაიღუპა ბატონიშვილი ალექ-სანდრე; რამდენიმე დღის შემდეგ გმირულად დაიღუპა თვით ქაიხოსრო, რომელმაც სამარცხვინო გაქცევას სახელოვანი სიკვდილი არჩია. სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს: „ქორონიკონს ტუთ, ენკენისთვის კზ, დაუმარცხდა ბატონიშვილს ალექსან-დრეს, მეწინავედ იდგა, სანამდი აქედამ ჯარი მიესწრებოდა, მოკლეს ბატონიშვილი ალექსანდრე, ჩხეიძე, თეიმურაზ, თარ-ხანი და ზოგნი სხვა ვინმე თათარნი: გამოხდა მცირედი დღენი, გამოვიდა ციხიდამ მირვეისი ჯარითა სრულითა, აქეთ სპასა-ლარი, შეიქნა ომი ფიცხელი, თავმან თქვენმან, ნახავთათვის საზარი იყო, გამოექცა თათრის ჯარი მეფესა, დარჩინენ ზოგნი ვინმე ქართველნი: მოახსენა ცალქალამიძემ იასემ: „ხელმწი-ფეო, გაგვეცალა ჯარი და ალარცა ჩანს ძმა თქვენი, ნუ მოიკ-ლავ თავსა“. უბრძანა მეფემ „ჩემისა სიცოცხლისათვის არა მოვაყივნო თავი, არცა გვარი ჩემი“. მიქუსლა ცხენი, შეერია შიგა, ვითარცა ქორი კაკაბსა გუნდისასა, ჩამოაგდო შუბითა ორი კაცი, დახუდა ნათხარი რუ, წაექცა ცხენი, რა ჰსცნეს ცხენის წაქცევა წამოეხვივნენ, დაჩეხეს ხმლითა, ცალქალამიძე იესე წინ მოუკლეს“ (სეხნია ჩხეიძე, 1854:325-326).

ვ. ჰანვეი მოგვითხრობს: „ქაიხოსრო სათავეში ჩაუდგა ორას ქართველს, რომლებიც მის გარშემო იმყოფებოდნენ, შეიჭრა მოწინააღმდეგის მთავარ ძალებში, გამოიჩინა სასწაუ-ლებრივი ლირსება და მამაცობა, ვიდრე ძალა შესწევდა. ბო-ლოს ვიღაცამ მას რკინის კომბლით თავი გაუტეხა. ყველა, ვინც ამ ბრძოლაში მონაწილეობდა, ნაკუნ-ნაკუნ აქციეს.“

ალსანიშნავია ერთი გარემოებაც: ქაიხოსრო, ისევე რო-

გორც გიორგი XI, გამაჰმადიანებული იყო, მაგრამ ისიც გიორგის მსგავსად ფარულად ქრისტიანად რჩებოდა და კათოლიკე მისიონერებს ყოველთვის ეხმარებოდა. ჯ. ჰანვერის ცნობით, ქაიხოსრო „ყოველთვის ფიქრობდა, რომ თავისი წინაპრების სარწმუნოებას დაუბრუნდებოდა, მაგრამ გარეგნულად ცდილობდა, თავი მაჰმადიანად მოეჩვენებინა“. არსებობს გადმოცემა, რომ თითქოს მის საბრძოლო დროშაზე ჯვარი იყო გამოსახული.

ქაიხოსროს მიწერ-მოწერა ჰქონია რომის პაპთან, 1708 წელს მას რომის პაპისთვის წერილი მიუწერია, რომელიც უპასუხოდ არ დაუტოვებიათ:

1711 წლის 24 იანვარს კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდეს“ მისთვის პასუხი გამოუგზავნია.

გიორგი XI-ისა და ქაიხოსროს ღვანლი სეფიანთა სახელმწიფოს ძლიერების დაცვის საქმეში სათანადოდაა აღნიშნული ევროპულ წყაროებში და თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში. ინგლისელი ისტორიკოსი ვ. ალენი წერს, რომ „გიორგი XI-ის, მისი შვილებისა და ძმების სამხედრო სიმამაცემ უკანასკნელ ათეულ წლებში შეინარჩუნა სეფიანთა დინასტია სპარსეთში და მისი ბატონობა ავღანეთში.“

გიორგი XI-ისა და ქაიხოსროს დალუპვის შემდეგ ირანის სამხედრო ექსპედიციები აჯანყებული ავღანელების წინააღმდეგ მარცხს-მარცხზე განიცდიდნენ. სეფიანთა ირანი დალუპვის გზაზე თავქვე მიექანებოდა.

XVIII საუკუნის 10-20-იან წლებში სეფიანთა ირანში მოღვაწეობდა ვახტანგ VI-ის ნახევარძმა ისპაპანის ტარულა და ირანის ყულარაღასი როსტომი. სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს, რომ როსტომს ძესა ლევანისასა ხარჭას მისცეს ისპაპანის ტარულობაო.

როსტომმა დიდი როლი შეასრულა ავღანელთაგან ისპაპანის დაცვის საქმეში და თავის ქართველ მებრძოლებთან ერთად გმირულად დაიღუპა გულნაბადთან ბრძოლაში.

ლევან ბაგრატიონის ვაჟებს შორის როსტომი უმცროსი

იყო. იგი ირანში დაიბადა დაახლოებით 1690 წელს (ნატროშვილი). ირანში დაბადებული და გაზრდილი როსტომი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან და ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიასთან. მან შესანიშნავად იცოდა ქართული ენა და ქართული ზნე-ჩვეულებები. 1709 წ. ისპაპანის ტარულად დანიშნეს, ხოლო 1718 წელს კი ირანის ყულის ჯარის სარდლად – ყულარალასად.

სეფიანთა ირანს დღე ელეოდა. ავღანელთა ბელადმა მირვეისმა თავის თანამოძმებს უანდერძა: თუ ყიზილბაშები ყანდარს შემოადგებიან, ყოველგვარ პირობაზე დათანხმდით და დაეზავეთ, მაგრამ თუ ომი გადადეს, მაშინ თქვენ თვითონ შეუტიერ ისპაპანის კარიბჭემდეო.

შაჰი სულთან-ჰუსეინი განცდილი მარცხის შემდეგ აღარ აპირებდა ყანდარის დასაპრუნებლად ლაშქრობას; ასე რომ, ავღანელთა წინამდლოლმა, მირ-ვეისის შვილმა მირ-მაჰმუდმა გადაწყვიტა ისპაპანზე გალაშქრება. მირ-მაჰმუდი ქირმანისა და სისტანის გზით ისპაპანს მიუახლოვდა და სოფ. გულნაბადში დაბანაკდა. ყიზილბაშთა ჯარი კარგად იყო შეიარაღებული; რეგულარულ ჯარს ეხმარებოდა აგრეთვე სახალხო ლაშქარი, რომლის აღჭურვილობაც წერაქვები და ნიჩბები იყო. სპარსელთა ჯარს 24 ზარბაზანი ჰქონდა, დიდი რაოდენობით – ტყვია-წამალი.

შაჰი სულთან-ჰუსეინი თავისი ახლობლებით, რომელთა შორისაც იხსენიება „ყულარალასი ვახტანგ-ხანის ძმა მეჰმედ რუსტემ-ხანი“ (ე. ი. როსტომი) ქალაქში დარჩა.

მიუხედავად შაჰის სარდლებს შორის აზრთა სხვადასხვაობისა, მაინც მოხერხდა ავღანელებთან ომის გეგმის შემუშავება: „სამი ფლანგი შეიქმნა. მარჯვენა ფლანგი ეთემად ად-დოულემ, ლორისტანის ხანმა, ჰამადანის ხანმა და აშიქალას ბაშმა აირჩიეს; მარცხენა ფლანგზე დადგნენ ყულარალასი და ხუიზა ხანი. ცენტრში დადგნენ ყორუჯი ბაში, თუფენქჩი აღასი და თოფშიბაში.“

ბრძოლის დაწყებამდე გამართულ თათბირზე ეთემად-ად-

დოულემ (პირველმა ვეზირმა) მოჰამედ ყული-ხანმა განაცხადა: მტერს თავს ნუ დავესხმით, სანგრებში გავმაგრდეთ და მტერს ვუთვალთვალოთ (იოსებ ქართველის ცნობა²⁵). მაგრამ ყულარალასმა როსტომმა და არაბისტანის ვალიმ გადაწყვიტეს მტერზე თავდასხმა. „ახლა იმის დრო არ არის, რომ ვიდაოთ. საჭიროა ვიომოთ. სირცხვილი იქნება უკანდახევა ასეთი უზარმაზარი არმიით, რომელთა რიგებში იმპერიის რჩეულთა წარმომადგენლებია, მძარცველთა და ამბოხებათა ბანდების წინაშე“ (მამიე კლერაკი).

ირანის ჯარი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, შეიარაღებით და რიცხვითაც ბევრად სჯობდა ავღანელებისას, მაგრამ იგი არ იყო მომზადებული და საბრძოლველად განწყობილი. ძვირფასი იარაღი და ტანისამოსი, ლამაზი ცხენები, ოქროთი და ძვირფასი ქვებით მორთული აბჯარ-უნაგირი – აი, რითი იყვნენ გატაცებულნი ირანის არმიაში. მათ წინააღმდეგ იყვნენ დალლილი, დამშეული, ძმნებში ჩაცმული ავღანელები; „მათ არაფერი ჰქონდათ ბრჭყვიალა, გარდა შუბებისა და ხმლებისა,“ – შენიშნავს თანამედროვე და თვითმხილველი.

პადერი აღნიშნავს, რომ მირ-მაჰმუდს ჰყავდა სულ 8-10 ათასიანი ლაშქარი. ამ მცირე ძალით მან საოცარ წარმატებას მიაღწია, რადგან მონინააღმდეგე აღმოჩნდა საოცრად არაბ-რძოლისუნარიანი.

ირანელებმა მირ-მაჰმუდის დასახვედრად გამოიყვანეს 40 000-იანი არმია, მთელი კავალერია, გამოიტანეს ზარბაზ-

25 იოსებ ქართველი იგივე აბესალამიანი, აბესალამაშვილი იმ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც სამშობლოდან მოშორებით მოუწიათ საქმიანობა. მისმა ოჯახმა 1697-1698 წწ. თბილისში კათოლიკეების საწინააღმდეგო გამოსვლების გამო ქალაქი დატოვა. იოსებ ქართველის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, რომელიც მის წარმომავლობას უკავშირდება. ზოგიერთი მეცნიერი (ლოკართი) თვლის, რომ ის იყო სომხური წარმომავლობის კათოლიკე, რის დასადასტურებლადაც სომეხი მემატიანის სარგის გილანურცის ცნობას ეყრდნობა. თუმცა არსებობს XVII-XVIII საუკუნეების თბილისური დოკუმენტი, რომელშიც იოსების გვარის წარმომადგენლები ქართველად იხსენიება. იოსებ ქართველი ასევე ქართველად მოიხსენიება მისი თანამედროვე ავტორების მიერ.

ნები. „მაგრამ რა სახე ჰქონდა ამ არმიას?! ძვირფასი ქვების, ოქროსა და ვერცხლის გამო ყველაფერი ბრწყინავდა; ყოველივე ეს იმას ჰგავდა, თითქოს ისინი გამოდიოდნენ შუბებით შეჯიბრებისათვის,“ – შენიშნავს თვითმხილველი.

გადმოგვცემენ, რომ ამ უზარმაზარი არმიის დანახვისთანავე, მირ-მაპმუდმა გადაწყვიტა უკან დახევა, მაგრამ მისმა ერთ-ერთმა სარდალმა ამან-ოლამ გადაწყვეტილება შეაცვლევინა.

მოწინააღმდეგესთან პირველი შეჯახებისთანავე თავი გამოიჩინა ყულარალასმა როსტომმა, რომლის კავალერიაში 400 ქართველი იყო. მათ ვაჟუაცურად შეუტიეს მტერს, მაგრამ ირანის სხვა ნაწილებისაგან ვერ მიიღეს საჭირო მხარდაჭერა. როსტომი თავისი ქართველებით ალყაშემორტყმული აღმოჩნდა ავღანელთაგან. „გარშემორტყმული ყოველი მხრიდან როსტომი და მისი ქართველი მხედრები თავგანწირვით იკაფავდნენ გზას არხისაკენ. სწორედ არხზე გადახტომისას როსტომის ცხენს ფეხი დაუცდა და დაეცა. სანამ ცხენს ამოათრევდა არხის ტალახიანი ფსკერიდან, ავლანები თავს დაესხნენ და წუთისოფელს გამოასალმეს როსტომ ყულარალასი. ოთხასი ქართველი მხედრიდან არც ერთი არ გადარჩენილა“.

„მოწინააღმდეგეს არ ნებდებიან“ – ასეთი იყო ქართველების დევიზი – შენიშნავს პადერი. პადერი ეხება როსტომის დალუპვის ამბავსაც და წერს: „ამ ბრძოლაში ქალაქის ერთ-ერთი წინამძღვრილი, ახალგაზრდა გენერალი, ქართველი უფლისწული ეცემა ისრით განგმირული“.

თანამედროვენი ქართველთა რაზმების ბრძოლას ავღანელებთან მაღალ შეფასებას აძლევენ. ინგლისელი ჯ. ჰანვეი ავღანელების გამარჯვებას ირანელებზე უშუალოდ უკავშირებს ქართველთა რაზმის დამარცხებას. „ქართველთა ამ რაზმის დამარცხებამ გადაწყვიტა ავღანელების გამარჯვების საკითხი“ (Hanway, 1753:50-51).

XVIII საუკუნის ირანელი ისტორიკოსი მოჰამედ მოჰსინი ძალზე მაღალ შეფასებას აძლევს ქართველების ბრძოლას

გულნაბადთან. იგი წერს: „სხვა მეთაურები რომ არ ყოფილიყვნენ მშიშარნი და მხარი დაეჭირათ შაჰის გვარდის უფროსი-სათვის, ავღანელები დამარცხდებოდნენ.“.

გულნაბადთან სპარსელების დამარცხების შემდეგ მთელს ირანს მოედო არეულობა. შაჰ სულთან-ჰუსეინს არ შესწევდა ქვეყანაში წესრიგის დამყარების ძალა და უნარი.

გულნაბადთან ბრძოლაში სპარსელებმა 6 000 კაცი დაკარგეს, ავღანელებმა – 800-ით ნაკლები. შაჰმა გადაწყვიტა თავის სამეფო კართან ერთად ყაზვინში გადასვლა, მაგრამ მისმა მრჩეველებმა იგი დაარწმუნეს, რომ მირ-მაჰმუდი თავისი მცირე ლაშქრით ქალაქში (ისპაჰანში) შემოსვლას ვერ გაბედავდა.

ირანში შექმნილი გართულებული ვითარებით შეშინებულ-მა შაჰმა სულთან ჰუსეინმა დახმარება სთხოვა ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი შეუთვალა: ვახტანგს ფიცი ჰქონდა დადებული, აღარ ამოელო ხმალი ირანის დასაცავად.

შაჰმა სულთან ჰუსეინმა გულნაბადთან გმირულად დაღუპული ყულარალას როსტომის ნაცვლად, ყულარალასად დანიშნა ვახტანგ VI-ის შვილი ბაქარი, რომელმაც საკმაოდ დიდი ჯარით 1722 წლის მაისში გასწია ირანისაკენ, მაგრამ მამამისმა (ე. ი. ვახტანგ VI) იგი გზიდან დაბრუნა.

საინტერესოა, როგორ აფასებდნენ თანამედროვენი ვახტანგ VI-ის უარს ირანისათვის დახმარების განევაზე?! როგორც ჩანს, თანამედროვეებს ირანის გადარჩენის ერთ-ერთ იმედად ქართველები (ე. ი. ვახტანგ VI) მიაჩნდათ. საფრანგეთის კონსული ისპაჰანში დე გარდანი ალყაშემორტყმული ისპაჰანიდან თავის მთავრობას ატყობინებდა: „ხალხი ამტკიცებს, რომ ქართველი მეფე გზავნის აქეთ თავის შვილს 12 000 ქართველით. ეს ერთადერთი გზაა, გადარჩენილ იქნას შაჰის სამეფო და აიძულონ ავღანელები უკან დაიხიონ, ვიდრე შეშინებულებმა გასწიონ რისკი და იბრძოლონ ქართველთა ლაშქრის წინააღმდეგ.“

ამ ამბების თანამედროვე და თვითმხილველი პეტროს დე სარგის გილანენცი აღნიშნავს, რომ ავლანელებს განსაკუთრებით ქართველების ეშინოდათ.

თადეუშ კრუშინსკი²⁶ ხაზგასმით აცხადებს, რომ მირ მაჰმუდის არმიაში მაშინვე დაინტებოდა არეულობა, როგორც კი გაიგებდნენ ქართველების მოახლოვების ამბავს.

ვ. ჰანუე (და XIX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსი მალკოლმი) მიუთითებს, რომ როცა ირანში შეიტყვეს ვახტანგ მეფის დახმარებაზე უარის შესახებ, „შაჰის მთელი სასახლე სასონარკვეთილებაში ჩავარდა. მართლაც, მალე დაემხო ისპაპანი და მთელი ირანი ავლანელებმა დაიპყრეს“ (Hanway, 1753:132-133).

სეხნია ჩხეიძე გადმოგვცემს: „ამა ამბავსა შიგან გამოუგზავნა ყენემა ხალათი და ყულარაღასობა მეფის ბაქარისათვის და ხვეწნა მიშველებისა: მოინდომა მეფემ ბაქარ წასულა და დადგა ტაშირზედ. მაგრამ არ ამჯობინა მეფემ ვახტანგ წასულა ძისა თვისისა, დააბრუნა“ (სეხნია ჩხეიძე, 1854:329).

ინგლისელი ქართველოლოგი პროფ. დ. ლენგი ხაზგასმით აღნიშნავს: „ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს იმაში, რომ შაჰის დამარცხების მთავარი მიზეზი იყო ქართველი მეფის უარი, გაენთავისუფლებინა ისპაპანი.“

XVIII საუკუნის ირანში კიდევ სხვა მრავალი ქართველი მოღვაწეობდა: მაგ., ალექსანდრე ვახტანგის ძე, რომელიც შაჰმა სულეიმანმა ისპაპანის ტარულად დანიშნა. სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს: „გამოხდა ხანი, ქორონიკონს... მიიცვალა შააბაზ და დაჯდა შაჰ-სულაიმან. მოუვიდა წყალობა აურაცხელი მეფეს შანაოზს, ეთხოვნა ძე და ასული: აახლო ძე მისი ალექსანდრე და ასული ანუკა. რა ისპაპანს ჩავიდა, მიაპყრა ყაენმა უშურველი წყალობა ალექსანდრეს, მისცა ისპაპანის ტარულობა და ასული მეფისა შეიყვანა სახლად თვისა, მრავალი

26 თადეუშ კრუშინსკი (1675-1765 წწ.) – პოლონელი მისიონერი, რომელიც 1707-1728 წლებში სეფიანთა ირანში ცხოვრობდა.

და აურაცხელი წყალობა ებოძა მეფისათვინ“ (სეხნია ჩხეიძე, 1854:308).

ალექსანდრე ვახტანგის ძე 1711 წელს დაიღუპა ავლანე-ლებთან ბრძოლაში; მისი ბედი გაიზიარეს სხვა ქართველებ-მაც. „ქორონიკონს ტუ უნკენისთვის კუ ზ, დაუმარცხდა ბატონიშვილს ალექსანდრეს, მენინავედ იდგა, სანამდი აქედამ ჯარი მიესწრებოდა, მოკლეს ბატონიშვილი ალექსანდრე, ჩხეიძე, თეიმურაზ თარხანი და ზოგნი სხვა ვინმე თათარნი“ (სეხნია ჩხეიძე, 1854:325).

ქირმანის ბეგლარბეგად დანიშნეს ვახტანგ VI-ის ძმა, იესე ბატონიშვილი. „მისცეს ბატონიშვილს იესეს ქირმანის ბეგლარბეგობა, დაარქვეს ალი-ყული ხან“ (სეხნია ჩხეიძე, 1854:325). იესე მამასთან (ლევანთან ერთად) წავიდა ირანში. „დაიბარა ყაენმა ქართლიდამ მდივანბეგი შაჰიულიხან და წაბრძანდა, ძე მისი იესე თან წაიყვანა, ძე ბატონიშვილი ვახტანგ გამგებლად საქართველოსად დაადგინა“ (სეხნია, ჩხეიძე, 1854: 321). შემდეგ, ყაენმა, რომელსაც მოეწონა „სიმხნე და სიმშვენიერე მისი“ იესე გაუგზავნა ყანდაარს ბიძამისს, გიორგი XI-ს (სეხნია, ჩხეიძე, 1854:321).

იესე ბატონიშვილი აქტიურად მონაწილეობდა აჯანყებულ ავლანელებთან ბრძოლებში. სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს: „გამოხდა ხანი, იყო ქვეყანა ავლანთა უკუ-მდგარი, არა ინებეს სამსახური მეფისა, გაუსია ძმის წული თვისი იესე და აახლო ქართველთა ჯარი, მიუხდენ ორად, ქვეით თათრის ჯარი და ზეით ქართველნი, შეიქნა ომი ფიცხელი“ (სეხნია ჩხეიძე, 1854:322).

ამ ბრძოლაში იესეს დიდი ვაჟკაცობა გამოუჩენია. სეხნია ჩხეიძე აღტაცებული წერს: „თქვენმა მზემა და თავმა მისმა, იმ დღეს ბატონიშვილი იესე გენახათ ამას ბრძანებდი, კაცთა შვილი ამის – თანა რა ინახებოდა, გაიმარჯვეს, ამოსწყვიტეს, ცათა ღმერთი შეარისხეს, გამობრუნდნენ გამარჯვებულნი“ (სეხნია ჩხეიძე, 1854:322). გიორგი XI-მ ძალზე ისიამოვნა იესე

ბატონიშვილის ვაჟკაცობით, მეჯლისში მიიჩვია, წელზე ძვირფასი ხმალი შემოარტყა, მისი მხლებლები ძვირფასი ტანსაცმლით დაასაჩუქრა, ხოლო მას ვექილობა უბოძა.

ირანში მოღვაწეობდა ერთხანს ერეკლე I – ნაზარალისანი. სეხნია ჩხეიძე გადმოგვცემს: „ჩაბრძანდა მეფე ერეკლე ისპაანს, დახუდა ხელმწიფე მხიარულად. მიაპყრა წყალობა და უბოძა ყულარალასობა“ (სეხნია ჩხეიძე, 1854:320).

შაპმა ერეკლე I-ის შვილებიც დაასაჩუქრა: დავით-იმამ-ყული ხანს უბოძა კახეთი, ხოლო მეორე ვაჟს, კონსტანტინეს – ისპაპანის ტარულობა; სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს: „და ძესა მისსა იმან-ყულიხანს წინათ ერქვა დავით, მისცა კახეთი. მეორესა ძესა მისსა ხარჯას კონსტანტილეს უბოძა ისპაპანის ტარულობა“ (სეხნია ჩხეიძე, 1854:320).

ირანში დიდ თანამდებობებზე არიან ქართველი ფეოდალებიც: მაგ., ვახტანგ VI-ის მეფობაში ირანის ყულარალასია მანსურ-ხან ბარათაშვილი. ირანში ქართველები მოღვაწეობდნენ ნადირ-შაპის დროსაც. ნადირ-შაპი მათ იყენებდა თავისი დაპყრობითი ომების დროს. სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს, რომ ნადირი „წავიდა ერევანს და კახი ბატონი კახეთს, დაჭერილი თავადები გაგზავნა ისპაანს: კახი ბატონი თეიმურაზ, არაგვის ერისთავი ბარძიმ, ამილახვარი გივი, თარხანი ლუარსაბ. რა ჩავიდნენ, უყო წყალობა ყაენმა, მისცა ხალათები და ინამი, თითვან წავიდა ყანდაარს საბრძოლად და ესენიც თან წაიყვანა“ (სეხნია ჩხეიძე, 1854:341).

ნადირ-შაპი ყანდაარის ლაშქრობაში ქართველებს ამის შემდეგაც იბარებდა. 1737 წელს „დაეპარებინა ყაენს ყანდარს ქართველნი, ამილახვარი ოთარი, სარდალი საბარათაშვილო ყაფლანის-შვილი, ქაიხოსრო ჯავახის-შვილი, ავთანდილ ფალავანდისშვილი, ფეშანგი ლორეს მელიქი, ფარსადანა სომხეთის მელიქი, ბადურ, ალიყულიბეგ ამირეჯიბი (სეხნია ჩხეიძე, 1854:342).

1738 წლის 4 მარტს (ქორონიკონს უკვ, მარტს დ) ნადირ შაპმა ყანდაარი აიღო და ინდოეთს წავიდა სალაშქროდ. იმავე წლის მაისის შვიდს ყაენმა ყანდაარს მყოფი ქართველები გამოისტუმრა. სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს: „ამავ ქორონიკონს, მაისს შვიდსა, ყანდაარიდამ გამოისტუმრა ვინცა-ვინ ქართველნი იყვნენ“ (სეხნია ჩხეიძე, 1854: 342).

ამ ამბებს უფრო ვრცლად მოგვითხრობს ომან მდივანბეგი ხერხეულიძე: 1736 წელს ნადირ-შაპმა სარდალი სეფი-ხანი გამოაგზავნა ქართლში. თეიმურაზ მეფე დაიბარა კახეთიდან, ქართლელები კი შეკრიბა სოფ. ფხვენისს, სადაც ყიზილბაშებმა თეიმურაზი ღალატით დაიჭირეს. მასთან ერთად შეიპყრეს გივი ამილახორი, არაგვის ერისთავი ბარამ და თარხანი ლუარსაბ. აგრეთვე კახელებიც: ჩოლოყაშვილი სახლთუხუცესი გივი, ქიზიყის მოურავი ქაიხოსრო. დაპატიმრებული ქართველები ისპაჟანს წაიყვანეს, სადაც ისინი გაათავისუფლეს და პატივისცემით ექცეოდნენ.

ომან მდივანბეგი იქვე განმარტავს, თუ რატომ ექცეოდნენ ყიზილბაშები ქართველებს ასეთი პატივისცემით: „გარნა იმუამად შაპ-ნადირ ყანდაარს წარვიდა და მეფე თეიმურაზიცა თან წარიყვანა, რაიცა ქართლ-კახნი თან ახლდნენ, ისინიც თან იახლნა ყანდაარს“ (ომან მდივანბეგი ხერხეულიძე, 1854:477).

ყანდაარს მისვლისას ნადირ-შაპს განუცხადებია თეიმურაზ კახთ ბატონისათვის: „რომელ შენი შვილი დაიბარე და რა ის შთამოვა, შენ მაშინ დაგითხოვთო.“ (ომან მდივანბეგი ხერხეულიძე, 1854:477).

ნადირ-შაპი, როგორც ჩანს, აფასებდა ქართველთა მხნეობას და ვაჟკაცობას, ამიტომაც თვითონ პირადად მიუწერია წერილი თეიმურაზის შვილის ერეკლესათვის და თავისთან დაუბარებია სხვა ქართველებთან (ქართლელ-კახელებთან) ერთად. ქართლელები და კახელები ერთსულოვნად უშლიდნენ ერეკლეს ნადირ-შაპთან წასვლას, მაგრამ მას უთქვამს: „მამაჩემი

იქ უნდა ჰყვანდესთ და ჩემი იქ მისვლით გამოუტევებდნენ და მე ამაზედ დავბრკოლდე და არა წარვიდე, ეს ჩემგან შეუძლოდ არისო“ (ომან მდივანბეგი ხერხეულიძე, 1854:477).

1737 წელს ერეკლე ყანდაარს წავიდა და ნადირ-შაპს ეახლა. ნადირს ყანდაარი უკვე აღებული ჰქონდა. როდესაც ერეკლე წარუდგინეს, მან საკმაოდ მკაცრად მას გამუსლიმება შესთავაზა, ერეკლემ უპასუხა: „ჩემი სიკვდილი შესაძლებელი არს და სულისა ვერვის ძალუძსო და არც მე გავმაჰმადიანდებიო“ (ომან მდივანბეგი ხერხეულიძე, 1854:477).

ნადირ-შაპს, როგორც ჩანს, მოეწონა ვაჟეკაცური პასუხი და უთქვამს ერეკლესათვის: „ნუ გეშინინ, მე აღარ გაიძულებო“ (ომან მდივანბეგი ხერხეულიძე, 1854:477-478). მეორე დღეს თეიმურაზ მეფე და დატყვევებული ქართველები მოაყვანინა, გაათავისუფლა და გამოისტუმრა სამშობლოში.

ნადირ-შაპს ინდოეთის დაპყრობა ჰქონდა განზრახული: 1739 წელს იგი ინდოეთის დასალაშქრად წავიდა და ერეკლეც თავისი ქართველებით თან წაიყვანა. ნადირმა ინდოეთი დაიპყრო და სასტიკად გაძარცვა. „დიდ მოგოლთა“ სახელმწიფო იძულებული გახდა უზარმაზარი კონტრიბუცია გადაეხადა: 6 მილიონი რუპია ფულად, 500 მილიონი რუპიას საფასური ძვირფასი ქვები (ევროპული მონაცემებით 30-დან 87 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე). კონტრიბუციაში შედიოდა ცნობილი ბრილიანტი „ქუპ-ე ნურ“ („სინათლის მთა“)²⁷ და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ე. წ. „ფარშევანგის ტახტი“²⁸. ნადირის ჯარის ნადავლს აფასებდნენ სულ მცირე 700 მილიონ რუპიად.

ამ ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცე გამოუჩენია ერეკლეს თავისი ქართველებით.

ინდოეთის დაპყრობის შემდეგ ნადირი სინდეთს წავიდა სა-

27 ერთ-ერთი ყველაზე დიდი ალმასი მსოფლიოში 105.6 კარატს იწონის.

28 ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ტახტი, რომელიც მოგოლთა იპერატორის შეკვეთით დამზადეს. ის დელის „ნითელი ციხე-სიმაგრის“ აუდიენციის დარბაზში იდგა.

ლაშქროდ; ამ ლაშქრობაშიც მას თან ახლდა ერეკლე. ომან მდივანბეგი ხერხეულიძე მოგვითხრობს: „თვით ნადირ ინდოეთზედ განიმსედრა და ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი თან წარიყვანა. შთავიდა ინდოეთს და ინდოეთის ხელმწიფე ამად-შაჰ შემოება 300 000 კაცითა, გარნა ნადირ შაჰს გაემარჯვა და მთელი ინდოეთის სახელმწიფო დაიპყრა. მუნით დაბრუნდა და სინდეთს შევიდა და სინდეთის სამეფოცა დაიპყრა, გარნა მუნ დიდნი ბრძოლანი გარდაიხადნა, რომელსაცა ყოველთა ამათ ბრძოლათა და ომებთა შინა თან-დასწრებულ-ჰყვა და ყოველთვის თვალითა თვისითა უწარჩინებულეს მხნედ ჰედვიდა ძესა მეფის თეიმურაზისა ირაკლის და ამის სიმბნისა და სიკისკასისათვის ფრიად შეიყვარა. მუნით გამობრუნდა და მოვიდა ყანდაარს შაჰ-ნადირ“ (ომან მდივანბეგი ხერხეულიძე, 1854:478).

აქვე გვინდა, მყითხველს მოვუთხროთ სინდეთის ომში ერეკლეს გამჭრიახობის შესახებ. ეს ამბავი ომან მდივანბეგ ხერხეულიძის თხზულების ერთ-ერთ ნუსხაშია შეტანილი.

როგორც ზემოთ გვქონდა მოთხრობილი, ნადირ-შაჰმა ინდოეთის დაპყრობის შემდეგ სინდეთზე გაიღაშქრა. ინდოეთისა და სინდეთის საზღვარზე აღმართული ყოფილა ქვა, რომელზე-დაც ამოტვიფრული იყო წყევლა-კრულვის სიტყვები იმათ მისამართით, ვინც საზღვარს გადალახავდა. ნადირ-შაჰი ძალზე შენუხდა: სინდეთის დაპყრობაც უნდოდა და ქვაზე წარწერილი წყევლა-კრულვაც აშინებდა. მოიხედა ჩაფიქრებულმა და დაინახა ერეკლე. „ამად ჰრევა ირაკლის: შენ რასა იტყვი ქვისა ამისათვის, რომელსაცა ზედა წყვეტა დიდი სწერია? უკანქცევა სჯობს თუ ფიცის ამისა გატეხა და სინდეთს შესვლა?“ ერეკლე ცხენიდან ჩამომხტარა და უშიშრად მოუხსენებია: „წელმწიფეო, რად შეიჭირვებ საქმისა ამისათვის, თავმან თქვენმან, ვგონებ ქუა ესე არა იყოს ტვირთი მძიმე; სპილოთა ზედა შევსდვად, ვიდოდეს სპილო იგი ყოველთა წინ და მას შეუდგებოდეს მხედრობა თქვენი ვიდრეცა გენებოსთ.“

ნადირ-შაჰს ერეკლეს რჩევა მოეწონა და მას ოცი ათასი

ოქრო უბოძა ჯილდოდ. დაიყენა მარჯვენა მხარეს ხანებზე წინ და მრავალი წყალობაც აღუთქვა.

ნადირ-შაჰის ბრძანებით ქვა სპილოზე შედეს, სპილო წინ წამდლვარეს და ლაშქარი უკან მიჰყვა. ასე და ამგვარად შევიდნენ სინდელში და დაიპყრეს იგი.

1739 წელს ნადირ-შაჰი ყანდაარს მოვიდა. მან დაუფასა ერეკლეს თავდადება და ერთგულება. ირანის შაჰს უთქვამს ერეკლესათვის: „მეფის ძევ ირაკლი, შენ შენს ქვეყანას ეჭირვები და ნება მომიცია შენს ქვეყანაში წასვლისა და მარადის ჩვენის წყალობის მოიმედე იყავიო.“ (ომან მდივანბეგი ხერხეულიძე, 1854:478).

1744 წელს ნადირ-შაჰმა თეიმურაზი ქართლის და ერეკლე კახეთის მეფებად ქრისტიანობით დასვა ტახტზე. ასზე მეტი წლის განმავლობაში ქართლსა და კახეთს მაჰმადიანი ბაგრატიონები მართავდნენ, ახლა კი ქრისტიანი მეფები დასხდნენ სამეფო ტახტზე.

1762 წელს თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ერეკლემ ქართლის ტახტიც დაიკავა და ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფე გახდა.

დამოწმებული ლიტერატურა

არაქელ დავრიულეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1974.

არჩილიანი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, ტომი მეორე, ძველი ქართული მხატვრული მწერლობა, საქართველო.

ბატონიშვილი, ვახუტში, აღნერა სამეფოსი საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1973.

ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, XVIII ს. დამდ. I: ტექსტი, ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, სსრკ მეც. აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, თბილისი, 1940.

ბითლისი, შარაფ-ხან, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, სპარსული წყაროები საქართველოს შესახებ, 1962.

გაბაშვილი, ვალერიანი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში., თბილისი, 1958.

გაბაშვილი, ვალერიანი, „უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში“ (ქართული წყაროების მიხედვით), მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები 2, 1972, გვ. 64-84.

გელაშვილი, ნანა, „სიმონ მეფე ყიზილბაშთა ტყვეობაში“, ცისკარი, 6, 1984, გვ. 151-154.

გორგიჯანიძე, ფარსადანი, საისტორიო მოამბე, წიგნი II, სა-
მეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობა, პოლიგ-
რაფიული ტრესტის მე-3 სტამბა, ტფილისი, 1925.

იბრაჟიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის
შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შე-
სავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ, უცხოური
წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XV, გამომცემლო-
ბა „მეცნიერება“, თბილისი, 1964.

ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული
ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოს-
ცა ვლადიმერ ფუთურიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“,
თბილისი, 1969.

კაკაბაძე, სერგი, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ამონა-
ბეჭდი „საისტორიო მოამბიდან“, წ. II, 1925 წ., ტფილისი,
1926.

კაციტაძე, დავითი, „ქართველები XVI საუკუნის ირანში“, დრო-
შა, 46, (690), თბილისი, 1997.

კაციტაძე, დავითი, ირანის ისტორია III-XVIII სს. თბილისის უნი-
ვერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001.

კუცია, კარლო, „ისფაპანის ქართველი ტარულები (1618-1722)“,
მახლობელი აღმოსავლეთი და საქართველო, 1972.

მამისთვალიშვილი, ელდარი, „სეფიანთა სახელმწიფოში მიმ-
დინარე პოლიტიკური ბრძოლა და ქართველები“, მაცნე,
ისტორიის, არქოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების
ისტორიის სერია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
მაცნე, 4, თბილისი, 1977; გვ. 107-117.

მილანელი, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, წერილები საქართველოზე
XVII საუკუნე, (თარგმნა ბეჟან გიორგაძემ), გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964.

მინადოი, ტომაზო, ისტორია ომისა ოსმალთა და სპარსელთა შორის ოთხ წიგნად აღწერილი, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, საქართველოს ისტორიის დასავლეთ ევროპული წყაროები, ტურინი, 1588.

მოჰამედ თაჟერის ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1954.

მუნში, ისქანდერ, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, ცნობები საქართველოს შესახებ (1939 წელი) – სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა – საქართველოს ისტორიის წყაროები 24, საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები XIII, თბილისი, 1981.

მუსტაფა, ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანი, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, საქართველოს ისტორიის წყაროები 14, საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები VIII, თბილისი, 1979.

ნათანზი, „ნაყავათ ალ-ასარ“-ის ცნობები საქართველოს შესახებ

ნატროშვილი თამაზი, მოყვასი შორეული რომიდან თბილისი, მეცნიერება ISBN: 5520016178, თბილისი, 1995.

ნატროშვილი, თამაზი, მაშრიყით მაღრიბამდე, „ნაკადული“, თბილისი, 1991.

ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ) – ფრან-

გულიდან თარგმნა, გამოკვლევები და კომენტარები დაურ-თო მზია მგალობლიშვილმა, უცხოური წყაროები საქართვე-ლოს შესახებ, წიგნი XXXVIII, თბილისი, 1975.

სვანიძე, მიხეილი, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., საქართველოს სსრ მეცნიერება-თა აკადემია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბი-ლისი, 1971.

ტაბაძეა, ილია, მასალები XVIII საუკუნის საქართველოს ისტო-რიისთვის, თბილისი, 1982.

ტაბაძეა, ილია, საქართველო ევროპის არქივებისა და წიგნსაცავებში, (XII-XX სს-ის პირველი მეოთხედი), III (1628-1633 წწ.), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1987.

ტფილელი იოსებ, დიდმოურავიანი, გიორგი ლეონიძის რედაქ-ციით, სახელგამი, 1939.

ფალსაფი, ნასროლა, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება (სპარსუ-ლიდან თარგმანი ლ. უორუოლიანისა), თბილისის უნივერსი-ტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003.

ქართლის ცხოვრება დასაბამით-გან მეათცხრამეტე საუკუ-ნემდის, ნაწილი მეორე, ახალი მოთხრობა, 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე, გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან, სანკტ-პეტერბურლი, 1854.

ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, ტომი II, XVI-XVIII საუკ. (აღორძინების პერიოდი), რედაქტორი: ია ეკალაძე, ტფილისი, 1928.

ყაზვინი, ბუდაყ, ჯავაპერ ალ-ახბარ, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, დორნის კატალოგი.

ხინთიბიძე, ელგუჯა, „რუსთველის ვეფხისტყაოსანი – კულტუ-რული ხიდი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და სეფიანთა ირანის ქართველები“, ქართველოლოგი, The Kartvelologist,

Journal of Georgian Studies, <http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/46467400.pdf>

ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლა-დიმერ ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1966.

Brosset, Marie-Félicité, *Chronique géorgienne*, Société royale asiatique de France, Paris, 1830.

Della Valle, Pietro, *I viaggi di Pietro della Valle, Lettre della Persia*, vol. I, EDs. F. Gaeta and L. Lockhart, Roma 1972.

Gouvea, Antonio, *Relations des grandes guerres et victoires obtenues par le roi Perse de Chah-Abbas contre les empereurs de Turquie Ahmet et Muhamet*. Traduit de partouzais, A Roven, chez Nicolas Loyselet, 1646.

Hanway J., *The Revolutions of Persia. Containing the Reign of Shah Sultan Hussein, with the Invasion of Afghans, and the Reigns of Sultan Mir Maghmud and His Successor Sultan Ashreff*, Vol.1 London, 1753.

Herbert, Thomas, *Relation du Voyage de Perse et de Indes Thomas Herbert*, Paris, 1663.

Relations de Don Juan de Persia dirigidas a la Magestad Chatolica de Don Philippe III, Rey de las Espanos. Valladolid, 1604.

პირთა საძიებელი

ა

- აპას-მირზა – 21
აბესალამაშვილი, იოსებ (ქართველი) – 80, 87
აბულ-ყასემ-ბეგ ეიკა ოღლი – 53
ავიტაბილე, პიეტრო – 48, 50
ალათაყ-ჩერქეზი – 9
ალენი, ვ.ე.დ. – 4, 26, 85
ალი-მირზა – 12
ალი-ყული ხან შამლუ – 21, 22
ალიხან-გურჯი – 14
ამბროზიო, დუშ ანუში – 27, 35, 62, 63, 64
ამილახვარი, ანდეყაფარ – 30, 52
ამილახვარი, გივი – 92
ამილახვარი, ოთარ – 92
ამირეჯიბი, ბადურ ალიყულიბეგ – 46, 92
ანდრონიკაშვილი, ადამ-სულთან – 68
არაგვის ერისთავი, ბარძიმ – 92
არაგვის ერისთავი, ბარამ – 93
არაგვის ერისთავი, ზურაბ – 51
არაგვის ერისთავი, თარხანი ლუარსაბი – 93
ასლან-ბეგ ავშარი – 13
აქულისელი, ზაქარია – 72
ალა ხანუმი – 12
აჭმად მირზა – 12

ბ

- ბაგრატიონი, ლევანი (კახთა მეფე) – 8, 9, 10, 85, 91
ბაგრატ-ხანი – 52, 53, 56
ბარათაშვილი, მანსურ-ხანი – 92
ბატონიშვილი, ალექსანდრე – 84, 91
ბატონიშვილი, ვახუშტი – 18, 19, 33, 47, 50, 54, 56, 57, 66, 71, 80, 81, 91
ბატონიშვილი, იესე – 8, 9, 10, 15, 91, 92
ბაჰრა ბაჟი – 12

- ბეჟან ბეგი (ყარა-ბეგი) – 66
 ბერი ეგნატაშვილი – 18, 19, 32, 33, 47, 48, 50, 54, 55, 58, 68
 ბექირ სუბაში – 61
 ბიგვერდი ბეგი – 31, 47
 ბითლისი, შერეფ-ხან – 8, 9, 14
 ბრაუნი, ედვარდ გრენვილ – 16
 ბროსე, მარი – 54, 83
 ბუზაქ-მირზა (ხოდაბენდე მირზა) – 41

გ

- გაბაშვილი, ვალერიანი – 4, 27, 28, 34, 37, 38, 40, 42, 43
 გილანენცი, პეტროს დე სარგის – 90
 გორგი XI (გორგენ ხანი, შაჰნავაზ II) – 73, 75, 76, 77, 78, 79, 80,
 81, 82, 85, 91
 გოვეა, ანტონიო – 20, 25, 29
 გორგიჯანიძე, ფარსადან – 11, 18, 20, 42, 47, 53, 69, 70, 71

დ

- დ'ალესანდერი – 12
 დ'ანდრეზელი – 80
 დადიანი, ლევან – 43
 დავრიუეცი, არაქელ – 64
 დაუდ-ბეგ-გურჯი – 43
 დე გარდანი – 89
 დელლა ვალე, პიეტრო – 27, 32, 34, 35, 65
 დიუ სერსო – 74
 დონ ხუან სპარსელი (იგივე ურუჯ-ბეგი) – 16, 26, 27
 დარბინიანი, მელიქიან – 27

ჟ

- ეთემად-ად-დოულე – 69, 74, 77, 86, 87
 ერეკლე I (ნაზარალი-ხანი) – 73, 74, 75, 92

ვ

- ვახტანგ V შაჰნავაზი – 71, 72, 73
 ვახტანგ VI – 85, 89, 91, 92
 ვედელი – 42

ზ

- ზაალ, გურჯი – 14
 ზეინ, ოლ-აბედინ მირზა – 12
 ზეინაბ, ბეგუმი – 12

თ

- თამაზ-ყული, ხანი – 26
 თარხანი, ლუარსაბ – 92
 თევდორე, ივანეს ძე – 23
 თეიმურაზ I – 30, 34, 35, 39, 40, 43, 63, 73
 თეიმურაზ, მუხრან-ბატონი – 71

ი

- იბრაჰიმ, მირზა – 13
 იბრაჰიმ-ხანი – 46
 ივანოვი, მ. ს. – 27
 იმამვერდი-ბეგი – 63
 იოთამ სულთან ქართველი – 46, 47
 ისმაილ II (ისმაილ მირზა) – 10, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19
 ისრაელ ორი – 78
 იუსუფ-ხანი (შირვანის ამირა) – 63

კ

- კანაკერცი, ზაქარია – 39, 43
 კასტელი, პატრი დონ ქრისტეფორე – 64
 კირილე, მთავარეპისკოპოსი – 92
 კრუშინსკი, თადეუშ – 78, 79, 90
 კუცია, კარლო – 4, 27, 51

ლ

- ლენგი, მ. დევიდ – 4, 27, 77, 80, 90
 ლუარსაბ I, (ქართლის მეფე) – 8, 47
 ლუარსაბ II, (ქართლის მეფე) – 34, 48, 50, 64

გ

- მალენგრი, კლოდ – 29
 მალკოლმი, ჯონ – 36

მაპმუდ-მირზა – 12
მინადოი, ჯიოვანი ტომაზო – 15
მინორსკი, ვლადიმერ – 4, 27
მირ-ვეისი – 76, 77, 78, 79, 80, 81, 83, 86
მირ-მაპმუდი – 86, 87, 89
მირზა სალმანი – 20
მოჰამედ მოჰსინი – 88
მოჰამედ-ხანი – 81, 82
მუნში, ისქანდერ – 8, 10, 16, 18, 20, 30, 31, 33, 38, 39, 40, 45, 46,
47, 48, 52, 53, 56, 57, 59, 63
მურად-მირზა – 12
მურშიდ, ყული ხან უსტაჯლუ – 21, 22
მუსა-მირზა – 12
მუსტაფა, ლალა ფაშა – 16, 19
მუსტაფა, მირზა – 12, 13
მუსტაფა-ყული ბეგი – 72
მუჰამედ ბაყერ-მირზა – 40
მუჰამედ მირზა – 12, 41

ნ

ნადირ-შაჰი – 92, 93, 94, 95, 96
ნათანზი, მაპმუდ – 16
ნაიმა, მუსტაფა – 65
ნატროშვილი, თამაზ – 4, 27, 32, 33, 37, 88

ო

ოლეარიუსი, ადამ – 37, 41, 68
ოტე, უან – 76
ოღურლუ-ხანი – 44

პ

პერი, უილიამ – 27
პეტრუშევსკი, ი. პ. – 4, 27

რ

როსი, ედვარდ დენისონი – 26, 27
რუმლუ, ჰასან – 8, 9

ს

სააკაძე, ალი ყული ბეგი – 30, 43, 46
სააკაძე, გიორგი – 43, 48, 49, 59, 60, 61, 62, 63, 65, 66
სააკაძე, იოსებ (ტფილელი) – 49, 60, 61, 68
სააკაძე, როსტომ-ხანი – 57, 58, 66, 67, 68
საიდ წაფისი – 4
სარკავაგი, ზაქარია – 43
სეფი I (საამ-მირზა) – 10, 38, 41, 44, 45, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 66
სეფიყული-ხან ქართველი – 45, 46
სვანიძე, მიხეილ – 13, 27
სიმონ I – 10, 11, 15, 18, 20
სიმონ II – 40, 58, 60
სტროვა, ლ. – 27
სულთანამი – 12, 19
სულთან ალა ხანუმი – 12
სულთან-ზადე ხანუმი – 12
სულეიმან მირზა – 12

ტ

ტავერნიე, ჟან ბატისტ – 36

უ

ულია, მაჰდი – 17, 18
უნდილაძე, ალავერდი-ხანი – 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 33, 38, 39, 40, 45, 57, 59
უნდილაძე, დაუდ-ხანი – 18, 30, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 47, 48, 57, 66
უნდილაძე, იმამყული-ხანი – 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 41, 43, 44, 45, 46, 57
უნდილაძე, სეფი ყული-ხანი – 45, 46
უნდილაძე, ფათალი-ბეგი – 46

ფ

ფალავანდიშვილი, ავთანდილ – 92
ფალსაფი, ნასროლა – 4, 11, 13, 20, 27, 29, 44, 51
ფერიხან, (ფერიჯან) ხანუმი – 12, 14, 18

ფარსადანა, სომხეთის მელიქი – 92

ფეშანგი, ლორეს მელიქი – 92

ფეჩევი, იბრაჟიმ – 65

ქ

ქაიხოსრო, ლევანის ძე – 75, 76, 82, 83, 84, 85

ქაიხოსრო, ქიზიყის მოურავი – 93

ქაიხოსრო ჯავახიშვილი – 92

ქეთევან დედოფალი – 32, 33, 34, 35, 36, 62

ქელბალი-ბეგ, აშიკალასი – 43

ყ

ყაზაყ-ხანი – 52

ყაზინი, ბუდაყ – 8, 9, 10

ყაზინი, თაჟერ მოჰამედ – 68, 69

ყარაყალ-ხანი – 52

ყაფარი, ყადი მოჰამედ – 8, 9

ყაჯარი, ზიად-ოლლი – 38, 39

ყორჩიხა-ხანი – 62, 63

შ

შალიკაშვილი, ოთარ – 18, 19

შამხალ-ხან, ჩერქეზი – 14

შარდენი, უან – 38, 48, 58, 59

შაჳ აბას I (აბას მირზა) – 6, 16, 17, 21, 22, 23, 24, 25, 28, 29, 30, 32, 34, 35, 36, 38, 39, 40, 41, 45, 46, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 66

შაჳ აბას II – 26, 68, 70, 71

შაჳ თამაზ I – 6, 9, 10, 12, 13, 14, 15, 17, 18, 66

შაჳ მოჰამედ-ხოდაბენდე – 10, 15, 17, 18, 19, 21

შაჳ სულეიმანი – 71, 73

შაჳ სულთან-ჰუსეინი – 74, 77, 79, 82, 86

შაჳპენდე ხანი (აზერბაიჯანის ბეგლარბეგი) – 52

შაჳვერდი-სულთან ზიად-ოლლი – 8, 38, 39

შერლი, ანტონი – 24, 26, 27

შერლი, რობერტ – 24

ც

- ციციშვილი, ნოდარ – 83
ციციშვილი, პაპუნა – 83
ციციშვილი, ქაიხოსრო – 92

ჩ

- ჩელები, ქიათიძ – 65
ჩხეიძე, სეხნია – 72, 80, 82, 84, 85, 90, 91, 92, 93

ბ

- ხანფარვარ, ხანუმი – 12, 13
ხერხეულიძე, ომან მდივანბეგი – 93, 94, 95
ხოსრო-მირზა – 41, 42, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58,
60, 66, 67

ჯ

- ჯემშიდ სულთან ქართველი – 46
ჯუდიჩე, ჯუზეპე მილანელი – 48, 55, 98
ჯუსტო პრატო – 27, 46

ჰ

- ჰამზა-მირზა – 20, 21
ჰანდი ბეგი – 23
ჰანვეი, ჯონ – 75, 79, 80, 84, 85, 88, 90
ჰასან-მირზა – 40
ჰაფეზ აჰმად ფაშა – 45
ჰეიდარ მირზა – 12, 13, 14, 15
ჰერბერთი, თომას – 17, 31, 32
ჰოსეინ-ყული ხულაფა რუმლუ – 13

სურათები


ალავერდი-ხანის მიერ ისპაჰანში აგებული ხიდი („სი ო სე ფოლ“ – „ოცდაცამეტმალიანი ხიდი“), რომელიც „ახალ ჯულ-ფას“ აერთებს ისპაჰანთან. დღესაც მოქმედი ხიდია.





ისპაჰანი, „ჩეჰელ-სუთუნის“ („ორმოცსვეტიანის“) სასახლე. ფრესკაზე გამოსახულია შაჰ-აბას I თავისი დიდებულებით. შაჰის მარჯვნივ ზის ალავერდი-ხანი.





ჩეპელ სუთუნის სასახლე 1647 წელს აიგო შაჰ აბას II-ის მმართველობის დროს. რეალურად სასახლეს აქვს ოცი სვეტი, თუმცა სასახლის წინ აუზში არეკვლის გამო ორმოცი სვეტის იღუზიას ქმნის. სასახლე მორთულია სეფიანთა დინასტიის მმართველების ფრესკებით. სასახლის ცენტრალური ნაწილი კი აბას II დარბაზს უკავია, რომელიც მორთულია ძვირფასი თვლებით და მოხატულია ოქროს ტონებით.





„Շաքիս մերիտու“ օլովագանո, XVII ს.



ალავერდი ხანის ბიუსტი ისფაჰანში



ალი-უსული ჯაბადარის (ქართული წარმოშობის მხატვრის) მინიატურა. მარცხნივ როგორც თვლიან არჩილ მეფე და გივი ამილახვარია გამოსახული

